

ადინისტრაციული პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2018, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2018, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2018, №12

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2018, №12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. მხარეები

საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა	4; 12
მინის საკუთრების აღიარებისას	
მესამე პირად ჩაბმის კანონიერება	23

2. სარჩელის უზრუნველყოფა და გადაწყვეტილების აღსრულება

სააღსრულებო ფურცელში მოვალის საცხოვრებელი ადგილის	
მითითების აუცილებლობა	31
სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების საფუძველი	36
გასაჩივრებელი აქტის შეჩერება, როგორც	
სარჩელის უზრუნველყოფის საშუალება	40
სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე	
მოთხოვნის მეორედ წარდგენის დაუშვებლობა	48
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების	
გამოყენების წინაპირობები	53; 61
სააღსრულებო ბიუროს მიერ	
ყადაღადადებული ქონების განკარგვის კანონიერება	66

3. გადაწყვეტილების განმარტება

გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები	86; 89; 97
გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე	
მოთხოვნის საფუძვლიანობა	101
გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობები	109; 119

4. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დაცვა

გზავნილის არაუფლებამოსილი პირისათვის	
ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა	128
სააპელაციო საჩივრის შეტანის	
ვადის გაგრძელების წინაპირობები	133; 142
სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების	
თარიღის გათვალისწინება	150
შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა	154
ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის დენის	
დანყების წინაპირობები	160

5. სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურება

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლისას	
სასამართლო ხარჯების განაწილების შეცვლა	164
წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების	
ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა	169; 190
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან	
გათავისუფლების პირობები	204

1. მხარეები

საქმეში სავალდებულო მოწვევის მესამე პირის ჩაბმა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1133-1127(კს-17)

22 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 30 სექტემბერს ნ. ბ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ზ. ღ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ... ქუჩა №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ზ. ღ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ზ. ღ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილე-

ბის გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა ადმინისტრაციულ საქმეში ი. ა-ას მესამე პირის სტატუსით ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს „რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლითაც ქ.თბილისში, ... №3-ში მდებარე უძრავი ქონება, მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლებით, აღირიცხა ზ. ღ-ის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქმეში მესამე პირად ი. ა-ას ჩაბმის თაობაზე შუამდგომლობს იმ მოტივით, რომ დღეის მდგომარეობით ზ. ღ-ის კუთვნილ ნილზე, ზ. ღ-ის უფლებების ნაცვლად რეგისტრირებულია ი. ა-ას უფლება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით, აღნიშნული კი მოსარჩელის მიერ არ არის გასაჩივრებული.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ვერ შეეხებოდა ზემოაღნიშნული პირის უფლებას, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით პირის ჩართვისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს საერთო გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა, ვინაიდან ი. ა-ას უფლება რეგისტრირებულია დამოუკიდებელი სარეგისტრაციო წარმოებით და მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე მიღებულია დამოუკიდებელი 2016 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ი. ა-ას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის

საფუძველზე მესამე პირად ჩართვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, რის გამოც, აპელანტს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში მესამე პირად ი. ა-ას ჩაბმა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმის წარმოების ეტაპზე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ იშუამდგომლა საქმეში მესამე პირად ნ. ე-ას ჩართვის თაობაზე და განმარტა, რომ სადავო უძრავ ნივთზე (ს/კ ...) ზ. ლ-ის კუთვნილ წილზე რეგისტრირებულია ნ. ე-ას საკუთრების უფლება (ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე). შესაბამისად, ნ. ე-ა ჩართული უნდა ყოფილიყო საქმეში მესამე პირად. თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილებით, სადავო უძრავ ნივთზე, 2016 წლის 28 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. ე-ას კუთვნილ წილზე დარეგისტრირდა ი. ა-ას საკუთრების უფლება. სწორედ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაყენებულ იქნა ი. ა-ას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმის შუამდგომლობა. კერძო საჩივრის ავტორი არ იზიარებს სასამართლოს დასაბუთებას, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს გასაჩივრებული აქვს მხოლოდ ზ. ლ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება და სადავოდ არ ხდის რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილებას, შესაბამისად, სადავო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ მოახდენს გავლენას აღნიშნული პირის უფლებებზე. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დასაბუთება არასწორია და ი. ა-ა ჩართულ უნდა იქნეს საქმეში მესამე პირად, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე არ ხდის სადავოდ ი. ა-ას საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, დავა ეხება იმ წილზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ბათილად ცნობას, რომლის მესაკუთრეს ამჟამად წარმოადგენს ი. ა-ა. რის გამოც, იგი ინფორმირებული უნდა იყოს აღნიშნული დავის თაობაზე, ვინაიდან შემდგომში სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტი-

ლებამ შესაძლოა იმოქმედოს მის კანონიერ ინტერესებზე.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 დეკემბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა შემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე – ნ. ბ-ი რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ითხოვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ზ. დ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილება ქ.თბილისში, ... №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ზ. დ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ზ. ლ-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა ადმინისტრაციულ საქმეში ი. ა-ას მესამე პირის სტატუსით ჩაბმის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მიღებული გადაწყვეტილება ვერ შეეხებოდა ზემოაღნიშნულ პირის უფლებას, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით პირის ჩართვისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს საერთო გადაწყვეტილების მიღების საჭიროება, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დგინდებოდა, ვინაიდან ი. ა-ას უფლება რეგისტრირებულია დამოუკიდებელი სარეგისტრაციო წარმოებით და მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ რეგისტრაციის თაობაზე მიღებულია დამოუკიდებელი 2016 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სასამართლოს გააჩნია, როგორც უფლებამოსილება, ასევე აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესის დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირის ინსტიტუტი ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მესამე პირებს დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალიზება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში. მესამე პირების ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს ქმნის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი. აღნიშნული მუხლის თანახმად, კანონმდებელი განას-

ხვავეებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მოწვევის მარტივი ფორმა შინაარსობრივად განსხვავდება აუცილებელი, სავალდებულო ფორმისაგან. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირთა ადმინისტრაციულ პროცესში მარტივი ფორმით ჩაბმა საქმის განმხილველი სასამართლოს უფლებაა, ხოლო მესამე პირთა აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმა კი ვალდებულება კონკრეტული გარემოების არსებობისას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი კი – აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადაწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლოს გადანყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებაშიც მხოლოდ საერთო გადანყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადანყვეტის შედეგად მიღებული გადანყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის კანონიერება. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია ქ.თბილისში, ... ქუჩა №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ზ. ლ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სადავო უძრავ ნივთზე (ს/კ ...) ზ. ლ-ის კუთვნილ ნილზე ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იყო ნ. ე-ას საკუთრების უფლება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ კი, რეგისტრაციის შესახებ №... გადაწყვეტილებით, სადავო უძრავ ნივთზე, 2016 წლის 28 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. ე-ას კუთვნილ ნილზე დარეგისტრირდა ი. ა-ას საკუთრების უფლება.

საქმეში არსებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილების მიხედვით, გარიგების საფუძველზე ი. ა-ას სახელზე განხორციელდა რეგისტრაცია ქ. თბილისი, ... ქუჩა №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (ზონა: თბილისი, სექტორი:...). საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ირკვევა, რომ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 2016 წლის 28 დეკემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებასთან მიმართებით, მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილის – ზ. ლ-ის უფლებამონაცვლე ჯერ გახდა ნ. ე-ა, ხოლო შემდგომ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. ე-ას უფლებამონაცვლე – ი. ა-ა, რომელიც დღეის მდგომარეობით სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მონვევის მესამე პირთა საქმეში ჩართვის უმთავრესი მიზანი იმ პირთა ინტერესების დაცვაა, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეთ. მესამე პირის სავალდებულო მონვევის (16.2 მუხ.) წინაპირობის გარკვევა ხდება პირის დავაში არა აბსტრაქტული, არამედ რეალური, კანონით დაცული, პატივსაღები ინტერესის დადგენით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზემოქმედებას ახდენს ი. ა-ას არათუ სამართლებრივ ინტერესზე, არამედ

საკუთრების უფლებაზეც, რამდენადაც დღეის მდგომარეობით, იგი წარმოადგენს იმ უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომლის თაობაზეც მიმდინარეობს დავა. თუკი სააპელაციო სასამართლო ძალაში დატოვებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისში, ... ქუჩა №3-ში მდებარე უძრავ ქონებაზე ზ. ლ-ის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 7 ივნისის №... გადაწყვეტილება, დადგინდება, რომ ზ. ლ-ი არ იყო ნივთის მესაკუთრე, ფართის განკარგვაზე უფლებამოსილი პირი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ი. ა-ას უფლებრივ მდგომარეობაზეც. შესაბამისად, ი. ა-ას ინტერესი განსახილველ დავაში არა აბსტრაქტული, არამედ კანონით დაცული და სამართლებრივად მნიშვნელოვანი ინტერესია.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მართალია, ფორმალური გაგებით ი. ა-ა არ არის მოცემული სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე, ვინაიდან რეგისტრაციის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 28 დეკემბრის №... გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებული და მოცემულ საქმეზე არ წარმოადგენს დავის საგანს, თუმცა იმდენად, რამდენადაც დღეის მდგომარეობით, ქ.თბილისში, ... ქუჩა №3-ში მდებარე სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე სწორედ ი. ა-აა, სადავო უძრავი ქონების საკუთრების უფლებასთან მიმართებით, ი. ა-ა მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილის უფლებამონაცვლეა, რა გზითაც, იგი ამ სამართალურთიერთობის მონაწილე ხდება, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. ა-ა წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით განსაზღვრულ სავალდებულო მოწვევის მესამე პირს. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინება არ ეფუძნება სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებს, რის გამოც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე, საქმეში ი. ა-ას მესამე პირად ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად, უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-16 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინება და საქმე, საქმეში ი. ა-ას მესამე პირად ჩაბმის საკითხის გადასაწყვეტად, დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმეში სავალდებულო მონაწივის მესამე პირის ჩაბმა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-585-585(კს-18)

20 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 18 სექტემბერს ნ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის მიმართ.

მოსარჩელემ სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შეხახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონულ-

ლი ოფისის 2017 წლის 13 ივნისის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე ნ. ქ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, ნ. ქ-ის მიერ წარდგენილი შპს „...“ მიერ 2017 წლის 31 მაისს შესრულებული აზომვითი ნახაზის მიხედვით კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარების დავალება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ბმა „...“.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 13 ივნისის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე ნ. ქ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარება ნ. ქ-ის მიერ წარდგენილი შპს „...“ მიერ 2017 წლის 31 მაისს შესრულებული აზომვითი ნახაზის მიხედვით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბმა „...“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინებით ბმა „...“ სააპე-

ლაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ბმა „...“ მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ჩაბმა არ მოუთხოვია. ამასთან, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბმა „...“ 2008 წლის 10 იანვრის №4 კრების ოქმის საფუძველზე ნ. ქ-ეს გადაეცა 54.96 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, დაუზუსტებელი მონაცემით დაირეგისტრირა საჯარო რეესტრში და გახდა ამ უძრავი ქონების მესაკუთრე. საკუთრებაზე უფლების დამდგენი დოკუმენტისა და უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერება სადავოდ არ გამხდარა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ბმა „...“ მოცემული სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე არ იყო და არც მის ინტერესებს შეიძლება შეხებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ბმა „...“ არ გააჩნდა მხარის უფლებამოსილება, გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბმა „...“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ბმა „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებად მიჩნევა მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიუთითებს, რომ ბმა „...“ მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ჩაბმა არ მოუთხოვია. სააპელაციო სასამართლომ ჯეროვნად არ შეამოწმა ის საკითხი, თუ რამდენად სწორად იქნა ჩაბმული საქალაქო სასამართლოს მხრიდან ბმა „...“ მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და უნდა ყოფილიყო თუ არა იგი მოცემულ საქმეში ჩაბმული მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თუ საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბმა „...“ არ წარმოადგენდა იმ უფლებამოსილ პირს, რომელსაც შეეძლო ესარგებლა მხარის უფლებით და გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება, მაშინ საქალაქო სასამართლოს არც მისი შესაგებელი არ უნდა მიეღო და არც მისი, როგორც მხარის (მესამე პირის) პოზიცია უნდა გაეთვალისწინებინა გადაწყვეტილებით.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 10 იანვრის №4 კრების ოქმის კანონიერებას ამხანაგობის წევრთა უმრავლესობამ

სობა არ ცნობს იმ საფუძვლით, რომ მათ ნ. ქ-ისათვის ეზოს ნაწილის გადაცემაზე თანხმობა არ განუცხადებიათ. ამხანაგობის წევრებმა თანხმობა მხოლოდ აივინის მიშენებაზე განაცხადეს, რაც განხორციელდა კიდევ. ამხანაგობის მიერ წარდგენილ შესაგებებელში, ასევე, მითითებულია, რომ ამხანაგობის კრების ოქმი არის გაყალბებული.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს სწორედ იმ წინაპირობაზე, რაც სამართლებრივად ბმა „...“ საქმეში მესამე პირად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არასწორად ჩაბმასა და ამავე კოდექსის ამავე მუხლის მე-2 ნაწილით ჩართვის უპირობო აუცილებლობაზე მიუთითებს, რაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ყურადღების მიღმა და სამართლებრივი შეფასების გარეშე დარჩა. კერძოდ, საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოა შეხებოდა ბმა „...“ ინტერესებს, თუმცა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით მან არასწორად ჩააბა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საქმეში, რისი აღმოფხვრაც უნდა განეხორციელებინა სააპელაციო სასამართლოს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინებით დასტურდება, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიღო განჩინება სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ და უსაფუძვლოდ ხელყო მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. აღნიშნულით ბმა „...“ მოესპო საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ განჩინებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმის ფაქტს, რითაც უხეშად დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის ფუძემდებლური დებულებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით ბმა „...“ კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბმა „...“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნა-

ნილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე – ნ. ქ-ე სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 13 ივნისის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე ნ. ქ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, ნ. ქ-ის მიერ წარდგენილი შპს „...“ მიერ 2017 წლის 31 მაისს შესრულებული აზომვითი ნახაზის მიხედვით კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარების დავალებას ითხოვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ბმა „...“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევას ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული მესამე პირთა მოწვევის ინსტიტუტი ემსახურება. ხსენებული ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლოსათვის მინიჭებულ საპროცესო-სამართლებრივ შესაძლებლობას, უზრუნველყოს უშუალოდ მხარეებს შორის წარმოშობილი დავის ყოველმხრივი განხილვა და გადაწყვეტა იმ მესამე პირთა უფლებებისა თუ კანონიერი ინტერესების დაცვით, რომლებიც არ წარმოადგენენ პროცესის მხარეებს, თუმცა დაკავშირებულნი არიან სადავო სამართლებრივ ურთიერთობასთან იმგვარად, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამ შესაძლოა უშუალო გავლენა იქონიოს მათ სამართლებრივ ინტერესებზე. ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მონაწილეობა, ერთი

მხრივ, სასამართლოს მხრიდან საქმის ყოველმხრივი განხილვასა და მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, მიზნად ისახავს სამართლებრივ უზრუნველყოფასა და პროცესის ეკონომიურობის შენარჩუნებას. ამასთან, მესამე პირის ინსტიტუტი შესაძლებლობას აძლევს თავად მესამე პირებს, დაიცვან თავიანთი კერძო, სუბიექტური ინტერესები და რეალიზება განახორციელონ ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ინსტიტუტის საკანონმდებლო საფუძველს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ქმნის. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, კანონმდებელი განსხვავებს მესამე პირების მარტივ და სავალდებულო (აუცილებელ) ჩაბმას. ჩაბმის ხსენებულ ფორმებს შორის შინაარსობრივი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირთა მარტივი ფორმით ჩაბმა სასამართლოს უფლებამოსილებაა, ხოლო სავალდებულო (აუცილებელი) ჩაბმა – ვალდებულება შესაბამისი საფუძველების არსებობისას. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილი სწორედ მესამე პირთა მარტივი ჩაბმის ფორმულირებას შეიცავს, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი კი – აუცილებელი, სავალდებულო ჩაბმის ფორმულირებას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივ და სავალდებულო ფორმით ჩაბმას შორის განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება სწორედ მათთვის საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მინიჭების თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმის დროს გადაწყვეტია მესამე პირთა სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივი ინტერესის პარალელურად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები შეიძლება განისაზღვროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი მესამე პირებად საქმეში ჩაბმის აუცილებლობას ადგენს იმ პირების მიმართ, რომლებიც არიან სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეები, რომელთან მიმართებითაც მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ანუ ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ ამ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გავლენას მოახდენს ამ ურთიერთობას-

თან დაკავშირებულ, კანონით დაცულ მათ უფლებებსა და ინტერესებზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოწვევის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირი (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი) სარგებლობს მოსარჩელისა და მოპასუხის ყველა უფლებით და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი სტატუსის მესამე პირი აღჭურვილია მხარის ყველა საპროცესო უფლებით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 13 ივნისის №... გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 18 ივლისის №... გადაწყვეტილები-სა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 აგვისტოს №... გადაწყვეტილების კანონიერება, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე ნ. ქ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, ნ. ქ-ის მიერ წარდგენილი შპს „...“ მიერ 2017 წლის 31 მაისს შესრულებული აზომვითი ნახაზის მიხედვით კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გატარების დავალება.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2008 წლის 10 იანვრის №4 კრების ოქმის კანონიერებას ამხანაგობის წევრთა უმრავლესობა არ ცნობს იმ საფუძველით, რომ მათ ნ. ქ-ისათვის ეზოს ნაწილის გადაცემაზე თანხმობა არ განუცხადებიათ. ამხანაგობის წევრებმა თანხმობა მხოლოდ აივნის მიშენებაზე განაცხადეს, რაც განხორციელდა კიდევ. კერძო საჩივრის ავტორი, ასევე, მიუთითებს, რომ ამხანაგობა წარდგენილი შესაგებლით ეჭვქვეშ აყენებს ამხანაგობის კრების ოქმის კანონიერებასაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ პროცესში სავალდებულო მოწვევის მესამე პირთა საქმეში ჩართვის უმთავრესი მიზანი იმ პირთა ინტერესების დაცვაა, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებით შესაძლოა გარკვეული შეზღუდვები დაუწესდეთ. მესამე პირის სავალდებულო მოწვევის წინაპირობის გარკვევა ხდება პირის დავაში არა აბსტრაქტული, არამედ რეალური, კანონით დაცული, პატივსაღები ინტერესის დადგენით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ სა-

მართალწარმოებაში დამკვიდრებულია როგორც მხარეთა და პოტენციურ მესამე პირთა საპროცესო უფლება – მიმართონ სასამართლოს საქმეში მესამე პირის ან მესამე პირად ჩაბმის მოთხოვნით, აგრეთვე, ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით, სასამართლოს გააჩნია როგორც უფლებამოსილება, ასევე, აკისრია პროცესუალური ვალდებულება მესამე პირის ჩაბმის თაობაზე, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავების მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება. ამ მუხლის მე-2 ნაწილთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ჩაბმულ იქნა საქმეში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მესამე პირად ჩასაბმელი პირის სტატუსის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. ზემოხსენებული დანაწესი ცხადყოფს, რომ მარტივი ფორმით საქმეში ჩაბმული მესამე პირი მოკლებულია შესაძლებლობას, სადავოდ გახადოს სასამართლოს მიერ მისი სტატუსის განსაზღვრის კანონიერება და გასაჩივრების გზით მოითხოვოს სტატუსის შეცვლა სავალდებულო (აუცილებელი) ფორმით ჩასაბმელ მესამე პირად. საგულისხმოა ისიც, რომ საქმეში მონაწილე მესამე პირის საპროცესო-სამართლებრივი უფლებებისა და ვალდებულებების მოცულობის განსაზღვრა სწორედ ჩაბმის ფორმას უკავშირდება, ხოლო გამომდინარე იქიდან, რომ მარტივი ფორმით ჩაბმულ მესამე პირს თავად არ აქვს ბერკეტი, გაასაჩივროს განჩინება მისი მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ, სწორედ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ეკისრება ვალდებულება, ასეთი მესამე პირის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების დროს მხედველობაში მიიღოს არა მხოლოდ მისი სტატუსი საქმეში, არამედ, ასევე, შეამოწმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული მესამე პირის მარტივი ფორმით ჩაბმის მართლზომიერებაც. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ჩაბმული მესამე პირის სტატუსის შეცვლისათვის შესაბამისი საფუძვლების დადგენის შემთხვევაში, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილი და, ამასთანავე, ვალდებულიცაა, თავადვე განუსაზღვროს მას სავალდებულო ფორმით ჩასაბმელი მესამე პირის სტატუსი და, შესაბამისად, მიანიჭოს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების

უფლებაც.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 394.92 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სახელზე (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი №...).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ 2007 წლის 21 მარტის №1 კრების ოქმის, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ დებულების და შპს „პ...“-ს აზომვითი ნახაზის საფუძველზე, ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 54.96 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სახელზე (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი №...).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ 2008 წლის 10 იანვრის №4 კრების ოქმის საფუძველზე, ქ. ბათუმში, ... ქ. №...-ში მდებარე 54.96 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ნ. ქ-ის სახელზე (მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო ნომერი №...). 2017 წლის 1 ივნისს ნ. ქ-ემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონულ ოფისს, წარადგინა დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი, დისკი და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ცვლილებების რეგისტრაცია მოითხოვა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. №... .

ამასთან, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული ოფისის 2017 წლის 13 ივნისის №... გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთის გამიჯვნა განხორციელდა დაუზუსტებელი მონაცემებით და ასევე გაიმიჯნა დაუზუსტებელი მონაცემებით, რომლის თანახმადაც შეუძლებელია სწორი საზღვრების დადგენა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ცალსახაა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემოქმედება ბმა „...“ არა თუ სამართლებრივ ინტერესზე, არამედ საკუთრების უფლებაზეც. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მიწის ნაკვეთთა გამიჯვნა დაუზუსტებელი მონაცემებით განხორციელდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გა-

დანყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში, ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიდან ერთი მიწის ნაკვეთისათვის ზუსტი საზღვრების დადგენით ავტომატურად განისაზღვრება მისი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საზღვრის გარკვეული ნაწილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება მოიცავს როგორც პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ზუსტ მოცულობას და იცავს მას მესამე პირთა ხელყოფისაგან, ასევე, საკუთრების უფლება უზრუნველყოფს აღნიშნული მიწის ნაკვეთის ზუსტი კონფიგურაციისა და ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესაძლებლობას, აღნიშნული საზღვრების მესამე პირთა დაუსაბუთებელი და უკანონო ხელყოფისაგან დაცვას. ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიდან ორივე მიწის ნაკვეთის ფართობი და საზღვრები დაუზუსტებელია და ამასთან, ერთი ნაკვეთისთვის ზუსტი საზღვრის დადგენით ავტომატურად დგინდება მეორე ნაკვეთის საზღვრის გარკვეული ნაწილიც, ცალსახად იკვეთება ბმა „...“ საკუთრების უფლებასთან შემხებლობა და აღნიშნული უფლების შელახვის რეალური რისკებიც.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ტერმინი „სამართალურთიერთობა“ არ უნდა იქნეს ფორმალურად განმარტებული. სამართალურთიერთობაში მონაწილეობასთან ერთად მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს კანონით დაცული უფლებებისა თუ კანონიერი ინტერესებისადმი რეალური შემხებლობის არსებობა და ამასთან, სასამართლოს მიერ შეფასდეს პირის მიერ დავის გაგრძელების და ამ დავის ფარგლებში საკუთარი კანონით დაცული, რეალურ ინტერესთა დაცვის სამართლებრივი პერსპექტივები. განსახილველ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ბმა „...“ საკუთრების უფლებაზე, ამდენად იგი იმ სამართალურთიერთობის მონაწილე ხდება, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, რის გამოც მას აღნიშნული დავის ფარგლებში უნდა მიეცეს შესაძლებლობა, პროცესში აქტიური მონაწილეობით, ერთი მხრივ, გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით დაიცვას საკუთარი უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბმა „...“ წარმოადგენს საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სავალდებულო მოწვევის მესამე პირს. ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება არ ეფუძნება სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ წინამძღვრებს, რის გამოც ბმა „...“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება და საქმე ბმა „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-16 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ბმა „...“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 აპრილის განჩინება და საქმე ბმა „...“ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მინის საკუთრების აღიარებისას მესამე პირად ჩაბმის
კანონიერება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-601-601(კს-18)

04 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიძე**

დავის საგანი: საქმეში მესამე პირად ჩაბმა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ქ-ემ 10.05.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ, გ. ქ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კომისიის 28.03.2016წ. გადაწყვეტილების (№492 ოქმი) ბათილად ცნობის და კომისიისათვის ქ. თბილისში, ... ქუჩაზე ... საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მინის ნაკვეთის მომიჯნავე 540 კვ.მ. მინის ნაკვეთზე გ. ქ-ის საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.10.2016წ. გადაწყვეტილებით გ. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იმ საფუძველით, რომ სადავო მინის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, ხოლო საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტრო განსაზღვრავს

სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას და წარმართავს მას, აგრეთვე ახდენს პრივატიზებისა და სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვის ხელშეწყობას მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. საჯარო რეესტრის ამონაწერით დასტურდება, რომ სახელმწიფო იმ მიწის ნაკვეთის რეგისტრირებული მესაკუთრეა, რომლის საკუთრების უფლების აღიარებასაც ითხოვს მოსარჩელე. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა წარმოადგენს, მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილე არის სამინისტრო, რის გამოც სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, სამინისტრო საქმეში მესამე პირად უნდა იქნეს ჩაბმული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინება კერძო საჩივრით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაასაჩივრა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონზე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვას ახორციელებს სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას. საკუთრების უფლების აღიარება ხორციელდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ, რაც გამოიწვევს სახელმწიფო ქონების შემცირებას. სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ხდება კერძო პირის საკუთრება, აუცილებელია მსგავს დავებში მესამე პირის ჩართვა. ამასთანავე, მესამე პირად ჩართულ უნდა იქნეს ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვაზე. სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვა ერთმანეთისგან არსობრივად განსხვავებული ფუნქციებია. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო არ არის უფლებამოსილი განახორციელოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციები. სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვის შესახებ მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში. საკუთრების უფლების აღიარების შესახებ მოთხოვნის განხორციელება არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან, რაც გამორიცხავს სამინისტროს მონაწილეობას მსგავს დავებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგა გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ქ-ემ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას და მოითხოვა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე 540 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება. კომისიის 28.03.2016წ. გადაწყვეტილებით გ. ქ-ეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, სწორედ აღნიშნული აქტის კანონიერების შემოწმება წარმოადგენს განსახილველი არსებითი დავის საგანს.

სააპელაციო პალატის 06.03.2018წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იმ დასაბუთებით, რომ დავა ეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას, ხოლო სამინისტრო განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას და წარმართავს მას (საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულებების“ 2.2 მუხ. „ე“ ქვ.პ.). კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ საქმეში მესამე პირის ჩართვა უნდა მომხდარიყო, თუმცა მესამე პირად ჩართული უნდა ყოფილიყო არა სამინისტრო, არამედ – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, როგორც სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის განმახორციელებელი სუბიექტი. საკასაციო პალატა კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს მთავრობა (საქართველოს კონსტიტუციის 78.1 მუხ.), რომელიც ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების მეშვეობით («მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის 4.1 მუხ.). სამინისტროები იქმნებიან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად (კანონის 14.1 მუხ.). სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით, კონკრეტულ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინ-

ნებით. სახელმწიფო პოლიტიკა არის სახელმწიფო მიზნების, ამოცანების, პრიორიტეტების, ძირითადი პრინციპების, სტრატეგიული პროგრამებისა და გეგმების ერთობლიობა, რომელიც მუშავდება და რეალიზდება სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფო პოლიტიკა არის სახელისუფლებო ორგანოების მიზანმიმართულ ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას კონკრეტულ სფეროში მიაღწიოს წინასწარ განსაზღვრულ მიზნებს. სახელმწიფო პოლიტიკას ჰყოფენ მიმართულებებად იმის მიხედვით, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროში ხდება მისი შემუშავება და რეალიზაცია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს და წარმართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 5.7 მუხ., საქართველოს მთავრობის 11.02.2016წ. №70 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების“ 2.2 მუხ. „ე“ ქვ.პ.), რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფეროა სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა (დებულების 2.1 მუხ.). ამდენად, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებელი და სათანადოდ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც განსაზღვრავს არა მარტო სახელმწიფო პოლიტიკას, არამედ, აგრეთვე, კონკრეტული ქმედებების/გადაწყვეტილებების სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში დასახულ მიზნებთან შესაბამისობას. აღნიშნულის გათვალისწინებით დაუსაბუთებელია სამინისტროს მოსაზრება, დავაში მესამე პირად მისი ჩართვის დაუშვებლობის შესახებ.

კერძო საჩივრის საფუძვლიანობას არ ასაბუთებს აგრეთვე სამინისტროს მითითება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის განხორციელებაზე. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი დავის საგანს შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მართლზომიერება, რომლითაც უარი ითქვა სახელმწიფო ქონების განკერძოებაზე, დავა არ ეხება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით განსაზღვრული პროცედურებით სახელმწიფო ქონების განკარგვის კანონიერებას. უფრო

მეტიც, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონი საერთოდ არ ვრცელდება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებზე („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვ.პ.), ამდენად, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის დათქმა, რომ სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ახდენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (მე-6 მუხ.), არ არის განსახილველი დავისათვის რელევანტური, განსახილველი საკითხისათვის არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ქონების განკარგვას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, რადგან სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონიდან, არ ეფუძნება მის დებულებებს. ის, რომ საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიზანია სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა, ასევე არ ასაბუთებს კერძო საჩივრის საფუძვლიანობას, რადგან სააგენტოს აღნიშნული უფლებამოსილება არ არის ყოვლისმომცველი და არ ვრცელდება სახელმწიფო ქონების განკარგვის უკლებლივ ყველა შემთხვევაზე, მაგ.: საქართველოს მთავრობის 20.02.2014წ. №189 დადგენილებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მიხედვით სახელმწიფო ქონების განკარგვას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო („წესის“ მე-3 მუხ.). ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო შექმნილია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის შესაბამისად („დებულების“ 1.1 მუხ.), სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში („დებულების“ 1.3 მუხ.). მნიშვნელოვანია, რომ სააგენტო ახორციელებს არა ნებისმიერი სახელმწიფო ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს,

არამედ თავისი დებულებით დადგენილ კონკრეტულ უფლებამოსილებებს განსაზღვრული სახელმწიფო ქონების მიმართ („დებულების“ მე-3 მუხ.). „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილია შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან) არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია (მე-4 მუხ.), რომლის შემადგენლობაშიც სააგენტოს წარმომადგენლები შედიან რიგით წევრებად (საქართველოს მთავრობის 28.07.2016წ. №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ 6.4 მუხ.). ამდენად, ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონების განკარგვას „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის ფარგლებში ახდენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, არ გულისხმობს სახელმწიფო ქონების განკარგვის ყველა შემთხვევაში სააგენტოს მონაწილეობის საჭიროებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როდესაც გადაწყვეტას საჭიროებს ისეთი პროცესუალური საკითხი, როგორცაა საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მესამე პირად ჩაბმა, ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებისა და სტატუსის დასადგენად გამოყენებულ უნდა იქნეს საკითხის გადაწყვეტისას მოქმედი ნორმატიული აქტები, რადგან სწორედ არსებული კომპეტენციის მოცულობის, ფუნქციების, უფლებამოსილების ფარგლების და სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით წყდება საქმეში კონკრეტული ორგანოს მე-3 პირად ჩაბმის საკითხი. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის უფლებამოსილება არის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (12 მუხ.). „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით კი, სახელმწიფო ზედამხედველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობა,

რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერების და დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა (129.1 მუხ.), მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დარღობრივი ზედამხედველობის ორგანოა ის სამინისტრო, რომლის უფლებამოსილების დელეგირებაც განხორციელდა (130.2 მუხ.). ამასთანავე, დარღობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია არამარტო გამოითხოვოს ზედამხედველობისათვის საჭირო დოკუმენტაცია და გასცეს სარეკომენდაციო ინსტრუქცია, არამედ შეაჩეროს ან გააუქმოს მუნიციპალიტეტის აქტი და ზოგ შემთხვევაში ჩაანაცვლოს კიდეც მუნიციპალიტეტი (133.2 მუხ.). ამავე კოდექსის 135.1 მუხლის მიხედვით, დარღობრივი ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია შეამოწმოს დელეგირებული უფლებამოსილების სფეროში მუნიციპალიტეტის ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ მიღებული/გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და მიზანშეწონილობა და მუნიციპალიტეტს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ კომისია ანგარიშვალდებულია დარღობრივი ზედამხედველის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, რომელსაც წელიწადში ორჯერ ეგზავნება ანგარიში კომისიის საქმიანობის შესახებ (საქართველოს მთავრობის 28.07.2016წ. №376 დადგენილებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის“ 5.3, 20.1 მუხ.), საკასაციო პალატა თვლის, რომ მართლზომიერია სააპელაციო პალატის 06.03.2018წ. განჩინება, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩართვის შესახებ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მითითება, რომ საქმეში მესამე პირად ჩართვით მას დაევალება ქვემდგომი ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ფუნქციების შესრულება და სახელმწიფო ქონების მართვა/განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, არ არის დასაბუთებული. დავაში სამინისტროს მესამე პირად ჩართვა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამინისტრომ, როგორც კონკრეტულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელმა და წარმმართველმა ორგანომ მიიღოს სრული ინფორმაცია სახელმწიფო ქონების განკერძოების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დააფიქსიროს თავისი პოზიცია კომისიის გადაწყვეტი-

ლების კანონიერების, მიზანშეწონილობისა და სახელმწიფო პოლიტიკასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სარჩელის უზრუნველყოფა და გადანყვეტილების აღსრულება;

სააღსრულებო ფურცელში მოვალის საცხოვრებელი ადგილის მითითების აუცილებლობა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-65-65(კს-15)

17 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე
მ. ვაჩაძე**

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.2014 წ. განჩინება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ი-მა 01.05.2014 წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის ზ. ი-ის 09.01.2014წ. №5273/1 განცხადება-საჩივრისა და მისი დანართების შესწავლის შედეგად საქართველოს სახალხო დამცველისათვის საქართველოს პრეზიდენტისადმი წერილობითი მიმართვის ან მიმართვაზე დასაბუთებული უარის თქმის შესახებ პროექტის წარდგენის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.08.2014წ. განჩინებით ზ. ი-ის სარჩელზე შეწყდა საქმის წარმოება, ზ. ი-ს დაეკისრა გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ნახევრის – 50 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურება. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.11.2014წ. განჩინებით ზ. ი-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამავე განჩინებით ზ. ი-ის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 50 ლარის ოდენობით გადახდა. აღნიშნულ განჩინებაზე, სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 25.11.2014წ. გაიცა სააღსრულებო

ბო ფურცელი, სადაც მოვალის – ზ. ი-ის მისამართად მიეთითა: თბილისი, ... ქ. №33. სააღსრულებო ფურცელი აღსრულების მიზნით გაეგზავნა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

18.12.2014წ. ზ. ი-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულ 25.11.2014წ. სააღსრულებო ფურცელში დაშვებული უსწორობის გასწორება, კერძოდ, მოვალის ზ. ი-ის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ქსანი, სასჯელაღსრულების დაწესებულება №15 მითითება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.11.2014 წ. განჩინებით ზ.ი-ის განცხადება სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ კანონმდებელი სააღსრულებო ფურცლის გამცემ ორგანოს არ ავალდებულებს დაადგინოს მოვალის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და ამის შესახებ მიუთითოს სააღსრულებო ფურცელში. სააღსრულებო ფურცლის სავალდებულო რეკვიზიტად კანონმდებელი ადგენს მხოლოდ მოვალის და კრედიტორის დასახელებას, მათ პირად საიდენტიფიკაციო ან საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომრის მითითებას და იმ სხვა რეკვიზიტებს (მაგ: საცხოვრებელი ადგილის მისამართი, რეგისტრირებული მისამართი, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი), რომლებიც ცნობილია სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსათვის. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 25.11.2014წ. სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის დასახელება და რეკვიზიტები შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მასში დაშვებული არ არის რაიმე სახის უსწორობა. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ „პატიმრობის კოდექსის“ მე-10 მუხლისა და სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის გათვალისწინებით, სასჯელაღსრულების დაწესებულება პირის საცხოვრებელ ადგილად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად აირჩევს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია აგრეთვე, რომ განმცხადებელი ვერ უთითებს მისი განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივ ინტერესზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.2014 წ. განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ზ.ი-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა 25.11.2014წ. სააღსრულებო ფურცელში არსებული უსწორობის გასწორების მიზნით საქმის

სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საქმეში არ არსებობს ინფორმაცია მისი ყოფილი საცხოვრებელი სახლის მისამართის შესახებ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ იგი განთავსებულია დაბა ქსანში, №15 დაწესებულებაში. სწორედ აღნიშნულ მისამართზე ეგზავნებოდა და ბარდებოდა მას სასამართლოს კორესპონდენციები. ამდენად, სააღსრულებო ფურცელში მოვალის საცხოვრებელ მისამართად უნდა მიეთითოს სასამართლოსთვის ცნობილი საცხოვრებელი მისამართი: დაბა ქსანი, მე-15 დაწესებულება. კერძო საჩივრის ავტორი თვლის, რომ სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ შეუზღუდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული უფლება და დაუსაბუთებლად უთხრა უარი აშკარა შეცდომის გასწორებაზე.

სსკ-ის 260.2 მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას შეეძლება მიაჩნია ზ.ო-ის საკასაციო საჩივრის განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ.ო-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სკ-ის 20.1 მუხლისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონაწილისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის 3.5 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირის საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ ორი კუმულატიური პირობის არსებობის შემთხვევაში: ერთი მხრივ, პირი უმთავრესად, ძირითადად, ფაქტობრივად უნდა იმყოფებოდეს აღნიშნულ ადგილზე, ხოლო, მეორე მხრივ, სახეზე უნდა იყოს პირის ნება, განზრახვა, რომ მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. პირის გარკვეულ ადგილას მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილს არ აქცევს საცხოვრებელ ადგილად, ასეთ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ფაქტობრივი ყოფნა მოცემულ ადგილზე ავტომატურად, რომ წარმოშობდეს საცხოვრებელ ადგილს, მაშინ ყოველი პატიმრის თუ ავადმყოფის საცხოვრებელ ადგილად მისაჩნევი იქნებოდა ციხე ან საავადმყოფო, თუკი მათი იქ ყოფნა ექვს თვეზე მეტ ხანს გაგრძელდებოდა. კონკრეტული ადგილის საცხოვრებელ ადგილად მიჩნევისთვის

აუცილებელია არსებული გარემოებებიდან თვალსაჩინოდ ვლინდებოდეს, რომ პირი მოცემულ ადგილზე დროებით არ იმყოფება. ამასთანავე, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს, რომ მოცემულ ადგილზე ფაქტობრივი ყოფნა გამოწვეულია პირის ნებით და არა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს გადანყვეტილებით. სკ-ის 20.3 მუხლის თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.

განსახილველ შემთხვევაში ზ. ი-ს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, რის საფუძველზეც განთავსებულია დაბა ქსანში, №15 დაწესებულებაში. პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულების დაწესებულება. ამდენად, ზ. ი-ი №15 დაწესებულებაში განთავსებულია სახელმწიფო აქტის – კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე სასჯელის მოხდის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ზ. ი-ი №15 დაწესებულებაში იმყოფება იძულებით და არა საკუთარი ნების საფუძველზე, ამიტომ შეუძლებელია სასჯელის აღსრულების დაწესებულება მიჩნეულ იქნეს პირის საცხოვრებელ ადგილად. №15 დაწესებულებაში მსჯავრდებულის ფაქტობრივი ყოფნა, არ აქცევს დაწესებულებას საცხოვრებელ ადგილად. მსჯავრდებულის მოცემულ ადგილზე დაფუძნების ნების არარსებობის და სახელმწიფო აქტის საფუძველზე დაწესებულებაში განთავსების გამო, №15 დაწესებულება მიიჩნევა ზ. ი-ის მხოლოდ ფაქტობრივ ადგილსამყოფლად და არა მის საცხოვრებელ ადგილად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21.3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააღსრულებო ფურცელში მიეთითება კრედიტორისა და მოვალის დასახელებები და რეკვიზიტები, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ ზ. ი-ის ფაქტობრივი ადგილსამყოფელია დაბა ქსანი, №15 დაწესებულება, თუმცა საქმის მასალებით: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 18.03.2013 წ. მინდობილობით და მოვალეთა რეესტრიდან 21.08.2013 წ. ამონაწერით დგინდებოდა, რომ ზ. ი-ის საცხოვრებელი ადგილის მისამართი მის დაპატიმრებამდე იყო: თბილისი, ... ქ. №33. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პირის საცხოვრებე-

ლი ადგილის გაუქმებას არ იწვევს, საცხოვრებლის იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით დატოვება (სკ-ის 20.3 მუხ.), საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ 25.11.2014წ. სააღსრულებო ფურცელში მოვალის მისამართად მართებულად მიუთითა: ქ. თბილისი, ... ქ. 33. ამასთანავე, არ არის გამორიცხული პირს ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი (სკ-ის 20.1 მუხ.), თუმცა სასამართლოს არ ეკისრება ვალდებულება მოიძიოს ყველა მათგანი და მიუთითოს სააღსრულებო ფურცელში. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ სასამართლო კორესპონდენციები იგზავნებოდა დაბა ქსანში, №15 დანესებულებაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის ცნობილი იყო ზ. ი-ის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, ხოლო კორესპონდენციის გაგზავნის მიზანი მისი ადრესატისათვის ჩაბარება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებაა, ამდენად, სასამართლო უფლებამოსილი იყო თვითონ შეერჩია კორესპონდენციის გაგზავნის მისამართი, რადგან სასამართლო თავად იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს და რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება (სსკ-ის 73.1 მუხ.).

სასკ-ის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი და აშკარა არითმეტიკული შეცდომები. განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება სააღსრულებო ფურცელში უსწორობის არსებობა, ამდენად, სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული ზ. ი-ის მოთხოვნა სააპელაციო პალატის 25.12.2014წ. განჩინების გაუქმებისა და 25.11.2014წ. სააღსრულებო ფურცელში უსწორობის გასწორების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. ი-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. ზ. ი-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 50 ლარის ანაზღაურება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-253-251(3კ-16)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

განიხილა ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საკითხი.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. შ-ემ 2014 წლის 18 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 მაისის განჩინებით №3/888-14 ადმინისტრაციულ საქმეში (მოსარჩელე ა. შ-ე, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაბმულ იქნა კ. (კ.) შ-ე და ი. ს-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის ა. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით აპელანტის – ა. შ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის – ა. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 24 იანვრის №... გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ი. ს-მა და კ. შ-ემ.

ა. შ-ის წარმომადგენელმა შ. ძ-ემ 2016 წლის 5 მაისს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომლითაც მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის სადავო უძრავ ქონებაზე (მდებარე: ქ. თბილისი, ... დასახლება მე-3 მ/რ, კვარტალი 4, კორპუსი 60, ბინა 4, ს/კ ...) ყოველგვარი ქმედების განხორციელების – გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის შესახებ რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღების აკრძალვა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ა. შ-ის წარმომადგენელ შ. ძ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით კ. შ-ის, ი. ს-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ა. შ-ის წარმომადგენელმა შ. ძ-ემ 2016 წლის 4 ოქტომბერს შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ამავე სასამართლოს 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის თანახმად: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრო-რაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ა. შ-ის წარმომადგენელ შ. ძ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა ი. ს-ის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრორაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. ამავე პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით მოცემული საქმის წარმოება დასრულდა, კერძოდ, კ. შ-ის, ი. ს-ისა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება. ამდენად, მითითებულ უძრავ ქონებაზე უზენაესი სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების მოქმედების ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული იყო საქმის წარმოების დასრულებამდე, ამ დროისათვის მოცემულ საკითხზე საქმის წარმოება ამავე პალატის 2016 წლის 7 ივნისის განჩინებით დასრულდა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. შ-ის სასარგებლოდ ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრორაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...) ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის განცხადების საფუძველზე გამოყენებულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეუბნით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიება – „მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა“. მოცემულ შემთხვევა-

ში კვლავ ა. შ-ის წარმომადგენელი შ. ძ-ე შუამდგომლობს მისი მოთხოვნის საფუძველზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ამდენად, ირკვევა, რომ დღეისათვის აღარ არსებობს ა. შ-ის სასარგებლოდ – ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრორაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში საკადასტრო კოდი – ... მდებარე უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის ღონისძიებების არსებობის საფუძველი, მხარე, რომლის მოთხოვნის საფუძველზეც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება – ა. შ-ე, განცხადებით მოითხოვს მის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები წარმომადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრორაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე ა. შ-ის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ა. შ-ის წარმომადგენლის შ. ძ-ის შუამდგომლობა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 მაისის განჩინებით (ქ. თბილისში, ... დასახლების, მე-3 მიკრორაიონის, მე-4 კვარტლის, მე-60 კორპუსში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი ...)) მოპასუხისათვის ყოველგვარი რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბასანივრავული აქტის შეჩერება, როგორც სარჩელის
უზრუნველყოფის საშუალება**

**ბანინება
საქართველოს სახელით**

№ბს-860-852(უს-16)

12 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 14.07.2014 წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასა-
მართლოში მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან
არსებული დავების განხილვის საბჭოსა და სსიპ შემოსავლების სამ-
სახურის მიმართ კამერალური საგადასახადო შემოწმების შესახებ
სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის
26.03.2014 წ. №17884 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის
07.05.2014 წ. №24005 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სა-
მინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.2014
წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 4 ოქტომბრიდან 2013
წლის 1 მაისამდე პერიოდში განხორციელდა შპს „...“ საგადასახა-
დო შემოწმება. თელავის რაიონული სასამართლოს 17.02.2014წ. გან-
ჩინების საფუძველზე შპს „...“ საქართველოს ფინანსთა სამინის-
ტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულ იქნა შესამოწმე-
ბელ პერიოდში ნაწარმოები ყველა სახის იურიდიული, საფინანსო-
ეკონომიკური, სალარო, საბანკო და საბუღალტრო დოკუმენტა-
ციის დედნები და ელექტრონული ინფორმაცია. 14.03.2014წ. შემო-
სავლების სამსახურმა მიმართა თელავის რაიონულ სასამართლოს
მეწარმის განმეორებით შემოწმების მოთხოვნით 2008 წლის 1 იან-
ვრიდან 2013 წლის 1 მაისამდე პერიოდზე, რაც არ დაკმაყოფილდა.
აღნიშნული ბრძანება უცვლელად იქნა დატოვებული სააპელაციო
ინსტანციის სასამართლოს მიერ. 29.04.2014წ. საგადასახადო მო-
ნიტორინგის დეპარტამენტის №22835 ბრძანებით შპს „...“ დაიწყო
სასაქონლო-მატერიალური ინვენტარიზაციის ჩატარება, ინვენტა-

რიზაციის პერიოდად განისაზღვრა 2014 წლის 30 აპრილიდან 29 მაისის ჩათვლით პერიოდი. ინვენტარიზაცია ვერ ჩატარდა სრულყოფილად, რის შესახებაც შპს-ს მიერ ეცნობა უფლებამოსილ ორგანოებს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 17.02.2014 წ. მდგომარეობით ყველა დოკუმენტი ამოღებულია საწარმოდან. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ინვენტარიზაცია და შემონემა რამდენჯერმე ჩატარდა საწარმოზე ზენოლის მიზნით, გამოთხოვილ იქნა დოკუმენტები, რითაც ხელი ეშლება საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.03.2015წ. განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

შპს „...“ 20.09.2016 წ. განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და აღნიშნა, რომ სასამართლოში დავის მიმდინარეობის მიუხედავად, მონინალმდეგე მხარე – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტი ითხოვს შპს-სგან საბუღალტრო, საბანკო და სხვა პირველადი დოკუმენტების გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება სასამართლოში საქმის განხილვის წესებს. მისი მოსაზრებით, მონინალმდეგე მხარეები ახდენენ სასამართლოში დავის მიმდინარეობის იგნორირებას და მოქმედებენ თვითნებურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ იშუამდგომლა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, სსიპ შემოსავლების სამსახურს (მათ შორის აუდიტის დეპარტამენტს) აეკრძალოს სასამართლო დავის დასრულებამდე სასამართლო წესით განსახილველი სადავო პერიოდის ირგვლივ შპს „...“ მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენა ან/და რაიმე დოკუმენტის მიწოდების დავალება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21.09.2016წ. განჩინებით უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა შპს „...“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14წ. №17884 ბრძანების გამოცემის ერთ-ერთ საფუძველს ქმნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 04.03.14წ. წერილი და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კა-

ხეთის სამმართველოს დადგენილება რევიზიის დანიშვნის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58.5 მუხლის თანახმად, კანონის შესაბამისად გამოძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისთვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, თუ აუდიტის დეპარტამენტის 16.09.16 წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია მოთხოვნილია საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს აუკრძალოს იმ ქმედების განხორციელება, რომლის შესრულების ვალდებულება განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალების თანახმად, საგამოძიებო ორგანოების მიერ თელავის რაიონული სასამართლოს 17.02.2014 წ. განჩინებით შპს „...“ ამოღებული იქნა 2007 წლის 04 ოქტომბრიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე პერიოდში საზოგადოების მიერ წარმოებული ყველა სახის იურიდიული, საფინანსო-ეკონომიკური, სალარო, საბანკო და საბუღალტრო დოკუმენტაცია. შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტს, სისხლის სამართლის №092170214001 საქმეზე დოკუმენტური რევიზიის ჩატარების მიზნით გაეგზავნა აგრეთვე შპს „...“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია. შესაბამისად, თუ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 16.09.2016წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია ან დოკუმენტაცია საწარმოდან ამოღებულია საგამოძიებო ორგანოების მიერ, აღნიშნული საწარმოს ათავისუფლებს მათი შემდგომი წარდგენის ვალდებულებისაგან და გამორიცხავს საწარმოს მიმართ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის მოტივით პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას.

აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა მოსარჩელემ და აღნიშნა, რომ არც ერთ მხარეს, მიუხედავად იმისა იქნება ის მოსარჩელე, მოპასუხე თუ საპროცესო ურთიერთობაში მონაწილე სხვა პირი, არ უნდა ჰქონდეს მიმდინარე დავის საგანთან დაკავშირებით ისეთი მოთხოვნების გავრცელების უფლება, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. განსახილველი დავის საგანია შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების ბათილად ცნობა. შპს „...“ დავის საგანთან დაკავშირებული ძირითადი დასაბუთება შეეხება სწორედ საგამოძიებლის მიერ მიწერილი დავალების არაკანონიერებას, რომლის მიხედვითაც საგამოძიებელი მიუთითებს, რომ მიმდინარეობს სისხლის სამართლის

საქმის გამოძიება 2007, 2008 წლებთან მიმართებით დოკუმენტის გაყალბების ფაქტზე და იქვე, ამ მოტივის გამოყენებით, ითხოვს 2013 წლიდან 2014 წლის 17 თებერვლამდე შპს „...“ საბუღალტრო დოკუმენტაციის შემონმებას და რევიზიას, რაც მოსარჩელის აზრით საერთოდ არ უკავშირდება საგამოძიებო მოტივებსა და საფუძვლებს. საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების ბათილად ცნობა, თუმცა დავის საგნის მიუხედავად, მონინალმდევე მხარემ სასამართლოს გვერდის ავლით მოითხოვა შპს „...“ ისეთი ქმედების განხორციელება, რაც დავის საგანს შეადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.16წ. განჩინებით შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.16 წ. განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დადგინდა საჩივრისა და თანდართული მასალების გადაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჩივარში შპს „...“ არ მიუთითებია თავისი მოსაზრების დამადასტურებელ ისეთ დამატებით გარემოებებზე, რაც გააბათილებდა სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულ საფუძვლებს და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სამართლებრივ შეფასებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საჩივრის საფუძვლების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებადი ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზ-

ლაურების დაკისრებით და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს გააჩნია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო მოსარჩელის განცხადების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი სახეა მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. ამასთან, სწორედ მოსარჩელეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით (სსკ 191-ე მუხლის პირველი ნაწილი). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მონინააღმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს მიმდინარე დავის საგანთან დაკავშირებით ისეთი მოთხოვნების გავრცელების უფლება, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი, მონინალმდეგე მხარე სასამართლოს გვერდის ავლით ითხოვს შპს „...“ ისეთი ქმედების განხორციელებას, რომლის საფუძველიც სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების კანონიერების შემოწმება მიმდინარე დავის საგანია, ამდენად, შპს „...“ ითხოვს აეკრძალოს სსიპ შემოსავლების სამსახურს სასამართლო დავის დასრულებამდე სასამართლო წესით განსახილველი სადავო პერიოდის ირგვლივ შპს „...“ მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენა ან/და რაიმე დოკუმენტის მიწოდების დავალება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მოითხოვს სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.14 წ. №17884 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 07.05.2014 წ. №24005 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.14წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია სუსპენზიური ეფექტის არსებობა, რაც გულისხმობს უფლების დაცვის იმ პრევენციული საშუალების გამოყენებას, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება დროებით ჩერდება. სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით ავტომატურად, მხარის შუამდგომლობის გარეშე, იწვევს გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერებას. სასკ-ის 29-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის სუსპენზიური ეფექტი უფლების დროებით დაცვას ემსახურება და მისი მიზანია დაიცვას პირი მმართველობის ღონისძიებების შედეგებისაგან დავის საგანზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საერთო წესიდან გამონაკლისს და ადგენს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება ავტომატურად არ იწვევს მის შეჩერებას და სადავო აქტის შეჩერებისათვის აუცილებელი წინაპირობა მხარის დასაბუთებული შუამდგომლობაა. სასკ-ის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ აქტი დაკავშირებულია სახელმწიფო ან ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელების გადახდასთან. განსახილველ შემთხვევაში სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სადავო 26.03.2014წ. ბრძანებით და-

ინიშნა შპს „...“ კამერალური საგადასახადო შემონმება, რომლის შედეგად გადასახადის ცვლილების გამომწვევი შეცდომების გამოვლენის შემთხვევაში, დგება საგადასახადო შემონმების აქტი (საგადასახადო კოდექსის 263.4 მუხ.), რაც თავის მხრივ, გადასახადის დარიცხვის საფუძველს ქმნის (საგადასახადო კოდექსის 61.2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ექცევიან სასკ-ის 29.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების ავტომატურ შეჩერებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 29.2 მუხლით განსაზღვრულ საგამონაკლისო შემთხვევებში სასამართლო უფლებამოსილია დასაბუთებული განჩინებით შეაჩეროს აქტის მოქმედება, უკეთუ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დასტურდება დასაბუთებული ეჭვის არსებობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ აქტის გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს აყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესის დაცვა. განსახილველ შემთხვევაში მხარეს არ მოუთხოვია გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერება, სასამართლოს არ მიუღია განჩინება სადავო აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ, ამდენად, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.146. №17884 ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 07.05.20146. №24005 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.06.146. გადაწყვეტილება მოქმედი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია, შესაბამისად, ორგანოს არ ერთმევა შესაძლებლობა მათ საფუძველზე განახორციელოს გარკვეული ქმედებები.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ იკვეთება, აგრეთვე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პატივსაღები სამართლებრივი ინტერესი, კამერალური შემონმება შეუმონმებელ პერიოდზე დაინიშნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 26.03.146. №17884 ბრძანების საფუძველზე ქმედების განხორციელება ზიანის მომტანი ვერ იქნება შპს „...“, ვინაიდან სასამართლოს მიერ შემდგომში სადავო აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, აქტის ბათილობა თავისთავად გამოიწვევს მის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებათა შედეგების ანულირებას. საგადასახადო კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო ორგანოს აქვს ინფორმაციის მოთხოვნის უფლება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემოსავლების სამსახურის აუდიტის

დეპარტამენტის 16.09.16წ. №21-14/88595 წერილის მსგავსი შინა-არსის 26.03.14წ. №21-14/2099 წერილზე, რომლითაც საგადასახადო ორგანო მოითხოვდა 2013 წლის 1 მაისიდან 2014 წლის 14 თებერვლამდე პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენას, შპს „...“ 31.03.14წ. წერილით დეპარტამენტს ეცნობა, რომ ყველა სახის დოკუმენტაცია რაიონული სასამართლოს 17.02.14წ. განჩინების საფუძველზე უკვე ამოღებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თუ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 16.09.16წ. №21-14/88595 წერილში ასახული ინფორმაცია/დოკუმენტაცია უკვე ამოღებულია სანარმოდან საგამოძიებო ორგანოების მიერ, აღნიშნული სანარმოს ათავისუფლებს მათი შემდგომი წარდგენის ვალდებულებისაგან და გამოორიცხავს მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო სანარმოს მიმართ პასუხისმგებლობის ზომის გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს შპს „...“ საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 29-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 193-ე, 198-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.09.2016 წ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის
შემთხვევაში იმავა მოთხოვნის მეორედ წარდგენის
დაუშვებლობა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-993-989(კ-უს-17)

3 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 28 აპრილს მ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 24 მარტის №1110 ბრძანების გაუქმების მოთხოვნით.

მოსარჩელე მ. ა-მა არაერთხელ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, მოპასუხეთა წრე და საბოლოოდ მოპასუხედ მიუთითა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 24 მარტის №1110 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. ა-ის დაზარალებულად ცნობა და შპს „...“ წარმომადგენლის – მ. ა-ის სასარგებლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის თანხის – 16 172 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2017 წლის 17 თებერვალს მ. ა-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლების – მ. რ-ის, კ. ჯ-ის, ი. ბ-ასა და შპს „ე...“-ის ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 23 თებერვლის განჩინებით მ. ა-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის მოსამზადებელ სხდომაზე

მოპასუხე მხარის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 24 მარტის №1110 ბრძანების ნაწილში, სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინებით მ. ა-ის სარჩელზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 24 მარტის №1110 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, შეწყდა საქმის წარმოება ამ ნაწილში სარჩელის დაუშვებლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ა-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

2017 წლის 21 აპრილს მ. ა-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 11 მაისს მ. ა-მა კვლავ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინებით მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დარჩა განუხილველი იმ მოტივით, რომ სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა აღნიშნულ მოთხოვნაზე და არ დაკმაყოფილდა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის განჩინება.

2017 წლის 4 და 7 აგვისტოს მ. ა-მა საჩივრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 სექტემბრის განჩინებით მ. ა-ის საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ა-ის საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრების ავტორის – მ. ა-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე, განცხადება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას, უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახ-

დის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მ. ა-ის სარჩელზე მოპასუხე მხარეს წარმოადგენს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, რომლის მიმართაც მოთხოვნილია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 24 მარტის №1110 ბრძანების ბათილად ცნობა, მ. ა-ის დაზარალებულად ცნობა და შპს „...“ წარმომადგენლის – მ. ა-ის სასარგებლოდ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის თანხის დაკისრება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ შპს „ე...“, რომლის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებასაც ითხოვს განმცხადებელი, განსახილველ საქმეში მხარეს არ წარმოადგენს, დავა მის მიმართ არ წარმოებს, შესაბამისად, იგი არ არის მოცემულ დავაში მოპასუხე, რაც გამორიცხავს მოთხოვნილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება განსახილველ საქმეზე მოპასუხისათვის გარკვეული უფლებების შეზღუდვის გზით. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც დროებითი ღონისძიება, გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო დავის დასრულებამდე გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების საფრთხის თავიდან აცილების საფუძველზე სწორედ მოპასუხის მიმართ, როგორცაც მოცემულ დავაში არ წარმოადგენს შპს „ე...“.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა მ. ა-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების თაობაზე, რაც მ. ა-ს სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ა-მა განმეორებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით სარ-

ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების მოთხოვნით, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ მხარეს უფლება არ აქვს სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნით კვლავ მიმართოს სასამართლოს იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან განმცხადებელმა ერთი და იმავე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ერთი და იმავე უზრუნველყოფის მოთხოვნით (შპს „ე...“-ის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება) და იმავე შინაარსის დასაბუთებით ორჯერ მიმართა განცხადებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომელიც ერთხელ არ იქნა დაკმაყოფილებული, სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განმეორებით წარდგენილი განცხადება განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ა-ის საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 194-ე მუხლებისა და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. მ. ა-ის საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მაისისა და 2017 წლის 7 სექტემბრის განჩინებები;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-928-920(უს-16)

21 თებერვალი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა შპს „...“ საჩივარი თბილისის
სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

სს „...“ 2013 წლის 10 მაისს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სა-
ქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს თბილისის სარეგის-
ტრაციო სამსახურისა და მესამე პირის შპს „...“ მიმართ. მოსარჩე-
ლემ მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მო-
ითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009
წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილე-
ბის; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009
წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილე-
ბის; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009
წლის 16 დეკემბრის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილე-
ბისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010
წლის 8 იანვრის №...-11 რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების
ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით სს „...“ სარ-
ჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტ-
ლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინის-

ტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ხაზობრივი ნაგებობის (გაზსადენის საერთო სიგრძე – 4120 გრძივი მეტრი) გავრცელების ზონის: ქ. თბილისი, გლდანის ... მ/რ-ის №3, №5, №7, №16, №24, №27, №32 კორპუსების რეგისტრაციის ნაწილში და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოაღნიშნულ სადავო კორპუსებთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება ხაზობრივი ნაგებობის (გაზსადენის საერთო სიგრძე – 2042 გრძივი მეტრი) გავრცელების ზონის: ქ. თბილისი, გლდანის ... მ/რ, გლდანის ... მ/რ-ის №1, №4, №6, №7, №10, №12, №13, №17, №23, №27, №28, №29 კორპუსების რეგისტრაციის ნაწილში და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზემოაღნიშნულ სადავო კორპუსებთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 16 დეკემბრის №... გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის 2010 წლის 8 იანვრის №... გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით; დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“ სარჩელის დაკმა-

ყოფილების ნაწილში და სს „...“ მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ წარმომადგენლის – ი. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ნაგებობებზე (გაზსადენებზე) (მდებარე: 1. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა ..., სექტორი ..., საზოგადოებრივი ნაგებობები – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე 1593მ. მესაკუთრე – შპს „...“ (08.01.2010წ. გადაწყვეტილება №...); 2. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა – ..., სექტორი – ..., საზოგადოებრივი ნაგებობები – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 34მ. მესაკუთრე – შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 3. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,2,6,10,14,15,24,26,28,29,31,32, კორპ:№3,5,7,16,27,30; კორპ. №8,9,17,18,20,21,22,23, ზონა – ..., სექტორი – ..., საზოგადოებრივი ნაგებობები – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 4120მ. მესაკუთრე – შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 4. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,4,6,7,10,12,13,17,23,27,28,29; კორპ: №2,3,8,9,11,14,15,16,18,19,20,30,31,32,33,34, ზონა – ..., სექტორი – ..., საზოგადოებრივი ნაგებობები – ..., საკადასტრო კოდი – №..., ობიექტის სიგრძე – 2042მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ., გადაწყვეტილება – №...)), განახორციელოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული რაიმე სახის ქმედებები: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინება გაასაჩივრა შპს „...“, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და სს „...“ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საჩივრის ავტორმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ

ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მოთხოვნა იურიდიულად დაუსაბუთებელია, როგორც მატერიალური, ასევე ფორმალური თვალსაზრისით, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილი ზემოაღნიშნული წინაპირობები. ამასთან, ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა, მაშინ როდესაც გასაჩივრებული განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შპს „...“ საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და იგი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმა მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ გასაჩივრებული განჩინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აეკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა დაასაბუთა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე უძრავი ქონების შენარჩუნება წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიისათვის აუცილებელ პირობას. სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის მითითება შპს „...“ მიერ სადავო ქო-

ნების (გაზსადენების) გასხვისება ქმნის ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი გახდება. იმის გათვალისწინებით, რომ დავის გადაწყვეტამდე მოსარჩელის საკუთრებიდან სადავო უძრავი ქონების გასვლის ალბათობა ქმნის ვარაუდს გადაწყვეტილების აღსრულების დაბრკოლებასთან დაკავშირებით, პალატამ ჩათვალა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიმართ მოსარჩელეს გააჩნია დაცვის ღირსი ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა გაბათილებული გასაჩივრებული განჩინების არგუმენტები სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, შესაბამისად მიიჩნია, რომ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 ოქტომბრის განჩინებისა და გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოსთვის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებით მიმართვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად.

განსახილველ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა სს „...“ წარმომადგენელმა, ი. გ-მა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ ხაზობრივ ნაგებობებზე (გაზსადენებზე) (მდებარე: 1. ქ. თბილისი, გლდანის

მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 1593მ. მესაკუთრე - შპს „...“ (08.01.2010წ. გადაწყვეტილება №...); 2. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორია, ზონა ..., სექტორი ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 34მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 3. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,2,6,10,14,15,24,26,28,29,31,32, კორპ:№3,5,7,16,27,30; კორპ: №8,9,17,18,20,21,22,23, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 4120მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ. გადაწყვეტილება №...); 4. ქ. თბილისი, გლდანის მე-... მ/რ, კორპ: №1,4,6,7,10,12,13,17,23,27,28,29; კორპ: №2,3,8,9,11,14,15,16,18,19,20,30,31,32,33, 34, ზონა - ..., სექტორი - ..., ხაზოვანი ობიექტი - ..., საკადასტრო კოდი - №..., ობიექტის სიგრძე - 2042მ. მესაკუთრე - შპს „...“ (16.12.2009წ., გადაწყვეტილება - №...)), განახორციელოს რეგისტრაციასთან დაკავშირებული რაიმე სახის ქმედებები: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებები, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. მოსარჩელის წარმომადგენელი - ი. გ-ი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა იმ დასაბუთებით, რომ არსებობს სს „...“ სარჩელით მოთხოვნილი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის რეალური საფუძვლები, (რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა კიდევ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ) მოსალოდნელი შედეგის გამო შესაძლოა „...“ სადავო გაზსადენები გაასხვისოს, გაზსადენების გასხვისებით კი შეუძლებელი გახდება სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, რადგანაც სს „...“ სასარჩელო მოთხოვნა საჯარო რეესტრის 2009 წლის 16 დეკემბრის №..., №..., №... და 2010 წლის 8 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ, ეხება სწორედ ამ სადავო გაზსადენების „...“ სახელზე რეგისტრაციის შესახებ, გადაწყვეტილებებს და გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შემთხვევაში თუ უკვე გასხვისებული იქნება გაზსადენები, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაეკარგება პრაქტიკული ღირებულება, შეუძლებელი გახდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება, მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების მიზნით, სადავო გაზსადენების გასხვისების საშუალებიდან გამომდინარე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს, სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის

ნის რეალიზაციის უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გადანყვეტილების ფაქტობრივი აღსრულების გაჭიანურების ან დაბრკოლების თავიდან აცილებას ემსახურება. სარჩელის უზრუნველყოფა მთლიანად მოტივირებულია უფლების სასამართლო წესით დაცვის უზრუნველყოფით, სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსალოდნელი სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების შესაძლებლობით, მისი გარდაუვალობით. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მართებულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხისათვის სადავო უძრავ ქონებასთან მიმართებაში გარკვეული მოქმედებების აკრძალვის შესახებ, რადგან რეგისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ქმედებების: ყიდვა-გაყიდვა, იპოთეკა, ქირავნობა, ქვექირავნობა, იჯარა, ქვეიჯარა და სხვა ქმედებების განხორციელების აკრძალვის პირობებში სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს ერთმევა შესაძლებლობა გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ის უძრავი ქონება, რომლებზეც შესაძლოა მოსარჩელის უფლებების არსებობა დადგინდეს. აღნიშნული უძრავი ქონების გასხვისების შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსრულება მნიშვნელოვნად გართულებდა ან შეუძლებელი გახდებდა კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დაცვის საჭიროების გათვალისწინებით. შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუსაბუთებლად, შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გარეშე განხორციელდა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების პირობა, ასევე არსებობს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადანყვეტილების აღსრულებას.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების აკრძალვა, მაშინ როდესაც გასაჩივრებული განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა არა გარკვეული მოქმედების, არამედ მთელი რიგი მოქმედებების განხორციელება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მიზნად ისახავს სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გაძნელების რისკების მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველყოფას. რისკი არის

მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს, იგი ჯერ არ არის რეალიზებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხორციელდეს. ამდენად, ის გარემოება, რომ მოსარჩელე სათანადო ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე მითითებით მოითხოვს სადავო უძრავ ქონებაზე საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის საფუძველზე ქმნის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობებს იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იქნება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მიზნის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 4 ოქტომბრისა და 2016 წლის 17 ნოემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-303-303(უს-18)

5 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – უზრუნველყოფის ღონისძი-
ების გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 6 იანვარს გ. უ-მა სარჩელით მიმართა ბოლნისის რა-
იონულ სასამართლოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული საა-
გენტოს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ზ. ჩ-ის მი-
მართ, 1997 წლის 5 აგვისტოს მარნეულის რაიონული საკრებულოს
გამგეობის №12/10 დადგენილების (წერეთლის ყოფილი სახელმწი-
ფო მეურნეობის ბოსტნეულის დასამზადებელი შენობის პრივატი-
ზაციის ნუსხაში შეტანის ნაწილში), მარნეულის რაიონის ქონების
საპრივატიზაციო კომისიის 1999 წლის 19 თებერვლისა №1 და 1999
წლის 22 თებერვლის №2 ოქმების (მე-5 დასახელებაში მითითეუ-
ლი წერეთლის ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის ბოსტნეულის და-
სამზადებელი შენობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა და შე-
ფასება), 1999 წლის 29 მარტის აუქციონის შედეგების ოქმის, 1999
წლის 31 მარტის საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სა-
მინისტროს მარნეულის რაიონული განყოფილების №53 ბრძანე-
ბის, მარნეულის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტო-
რიული განყოფილებასა და ზ. ჩ-ეს შორის 1999 წლის 5 აპრილს მარ-
ნეულის რაიონის სოფელ ... მდებარე უძრავ ქონებაზე (ს/კ ...) გა-
ფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის
მოთხოვნით.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გა-
დანყვეტილებით გ. უ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადანყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა
გ. უ-მა, რომელმაც ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის
9 ივნისის გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილე-

ბით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2017 წლის 7 თებერვლის განჩინებით გ. უ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

2017 წლის 24 ოქტომბერს გ. უ-მა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-198-ე მუხლების შესაბამისად, ქვემო ქართლის საალსრულებო ბიუროსათვის ქონების აღწერის დავალება და მის კუთვნილ ლიმონათის საამქროს ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა, რომელიც მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფელ ...ში ზ. ჩ-ის სახელზე რიცხულ უძრავი ქონების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით გ. უ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

გ. უ-მა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებდა, რომ სანამ უძრავ ქონებაზე აუქციონი ჩატარდებოდა აღნიშნულ მოძრავ ქონებას ფლობდა და სარგებლობდა. გახსნილი ჰქონდა ლიმონათის საამქრო შპს „...“, სადაც ინახავდა მის მიერ ჩამოთვლილ მოძრავ ქონებას. აუქციონზე გატანილი იყო მხოლოდ უძრავი ქონება, რომელიც უკანონოდ შეიძინა ზ. ჩ-ემ, რაზეც დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

საჩივრის ავტორის აღნიშვნით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ზ. ჩ-ე ყიდის მის ქონებას. აღნიშნულ საკითხზე მიმართა მარნეულის პოლიციას, რაზედაც არანაირი რეაგირება პოლიციას არ მოუხდენია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით გ. უ-ის საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. უ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში საჩივარი განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესებით. ამავე კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის – გ. უ-ის მოთხოვნას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის ქონების აღწერის დავალება და მის კუთვნილ ლიმონათის საამქროს ქონებაზე, რომელიც მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფელ ... ზ. ჩ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილში, ყადაღის დადება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლზე, რომლითაც გათვალისწინებულია მოსარჩელის უფლება მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. ამავე მუხლით განსაზღვრულია მითითებული საპროცესო უფლების რეალიზაციის წესი. კერძოდ, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ.

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების

ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების საფუძველზე იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება; ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუხის სანინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ამისათვის მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა დაასაბუთოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საჭიროება, რათა სასამართლოს შეუქმნას რწმენა კონკრეტულ გარემოებათა საფუძველზე გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ საქმეში გ. უ-ი სადავოდ ხდის უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესთან დაკავშირებით მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების საკითხს, დადებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას და აუქციონის შედეგებს, რომლითაც მოხდა უძრავი ქონების, მდებარე – მარნეულის რაიონის სოფელი ...ის ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის ბოსტნეულის დასამზადებელი შენობის პრივატიზება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით მოსარჩელე ითხოვს ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის ქონების აღწერის დავალებას და მის კუთვნილ ლიმონათის საამქროს ქონებაზე ყადაღის დადებას, რომელიც მდებარეობს მარნეულის რაიონის სოფელ ...ში ზ. ჩ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ნაწილში. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით მიმართულია მოძრავი ქონების დაცვისკენ, მაშინ, როდესაც დავის საგანს არ წარმოადგენს განცხადებაში მითითებული მოძრავი ქონება.

საკასაციო სასამართლო საჩივრის ავტორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ გ. უ-ის მოთხოვნა, რომელიც ჩამოყალიბებული აქვს განცხადებაში სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სცილდება მოცემული დავის ფარგლებს. ასევე, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ არსებობს ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა გ. უ-ის სარჩელი ზ. ჩ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 40%-ის მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ასევე, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ თუ მხარე

სადავოდ გახდის მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით სამოქალაქო წესით და სარჩელის აღძვრამდეც მოითხოვოს მისი უზრუნველყოფა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი ასევე უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და აფასებს, თუ რამდენად მოსალოდნელია სარჩელის დაკმაყოფილება, თუმცა აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული საკითხი მით უფრო აქტუალურია, როდესაც საუბარია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე.

მოცემულ შემთხვევაში ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით გ. უ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გ. უ-მა გაასაჩივრა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. უ-ს არ მიუთითებია იმ კონკრეტულ გარემოებებზე, რომლებიც დაადასტურებდნენ ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. უ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197¹-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გ. უ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ოქტომბრისა და 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებები;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააღსრულებო ბიუროს მიერ ყადაღადასმული
ქონების განკარგვის კანონიერება**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-849-845(კ-17)

3 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების აკრძალვა, ქმედების უკანონოდ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 11 ივნისს გ. გ-მა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე №... სააღსრულებო წარმოების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – რ. გ-ის 2015 წლის 3 ივნისის №... აქტის მოქმედების შეჩერება, ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №31, ... ქ. №2, საკადასტრო კოდი: ..., აუქციონის ჩატარების აკრძალვა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით გ. გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: ..., №... სააღსრულებო წარმოება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებაზე სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ წარადგინა საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საჩივრით მიმართა სს „...“. სს „...“ ასევე იშუამდგომლა მოსარჩელე გ. გ-ს დავალებოდა მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით 40 000 ლარის გარანტიის წარმოდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით სს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სს „...“ შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფით გამონეული მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სს „...“ საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

2015 წლის 26 ივნისს გ. გ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას 2015 წლის 8 ივნისს ჩაჰბარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის – რ. გ-ის 2015 წლის 3 ივნისის ... შეტყობინება, რომლის თანახმადაც, ბიუროს წარმოებაში იყო 2015 წლის 18 მარტს გაცემული ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ. ბრძანების მიხედვით, არაუზრუნველყოფილ კრედიტორს წარმოადგენდა სს „...“, ხოლო მოვალეებს – შპს „ა...“ და ი. კ-ა. სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, აუქციონი დაინიშნა მოვალის – ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: სააღსრულებო ბიუროს მიმართვის საფუძველზე 2015 წლის 28 აპრილს აღნიშნულ ქონებას ყადაღა დაედო. 2013 წლის 22 თებერვალს მოსარჩელემ სარჩელი აღ-

ძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ი. კ-ას და გ. კ-ის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურების სახით: გ. კ-ეს დაკისრებოდა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ი. კ-ას დაკისრებოდა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. კ-ასა და გ. კ-ეს სოლიდარულად დაეკისრათ 1 724 877 აშშ დოლარის, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული ქონების ღირებულება აშკარად შეუსაბამო იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის ოდენობასთან, მოსარჩელემ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ი. კ-ასა და გ. კ-ეს აეკრძალათ ქონების გასხვისება, იპოთეკით და გირავნობით დატვირთვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით.

თავდაპირველად მოსარჩელემ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №31, ... ქ. №2, საკადასტრო კოდი: ..., აღსრულების განხორციელების თაობაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისთვის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსთვის აღსრულების განხორციელების აკრძალვა ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე: ა) უძრავი ნივთი, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15 დუპლექსი, ტერასა, საკადასტრო კოდი: ...; ბ) ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ 100%-იან წილზე შპს „გ...“, ს/ნ ..., მისამართი: ყაზბეგის რაიონი, სოფელი ამასთან, მოსარჩელემ აღსრულების დაწყებისა და განხორციელების თაობაზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მოქმედების უკანონოდ ცნობა მოითხოვა მოვალის – ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე: მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: ... და 100%-იან წილი შპს „გ...“ (ს/კ ..., იურიდიული მისამართი

– საქართველო, ყაზბეგის რაიონი, სოფელი ...).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება სს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 25 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ი. კ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: ..., №... სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის №2/2225-13 გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე გ. კ-ეს მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; მოპასუხე ი. კ-ას მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. მოპასუხეებს ი. კ-ასა და გ. კ-ეს მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ, თითოეულს, 1500 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანგარიშში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინებით გ. გ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ; გ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო ი. კ-ას (პ/წ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: მდებარე, თბილისი, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15, დუპლექსი – 245.00 კვ.მ. ტერასა – 149.00 კვ.მ, (ზონა – ..., სექტორი – ... კვარტალი ..., ნაკვეთი – ..., კოდი – ..., დაზუსტებული ფართობი – 538.00 კვ.მ შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართობი – 2589.4 კვ.მ. (მათ შორის ბინების საერ-

თო ფართი – 206 კვ.მ.) და ავტოსადგომების ფართი – 400 კვ.მ.). ასევე ყადაღა დაედო ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ ქონებას: კერძოდ, 100%-იან წილს შპს „გ...“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ..., იურიდიული მისამართი – საქართველო, ყაზბეგის რაიონი, სოფელი ...).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინებით დადებული ყადაღა ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: მდებარე, თბილისი, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15, დუპლექსი – 245.00 კვ.მ. ტერასა – 149.00 კვ.მ (ს/კ №...) დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში.

2015 წლის 26 მარტის განცხადებით იძულებითი აღსრულების მიზნით კრედიტორის – სს „პ...“ სააღსრულებო დოკუმენტი მიღებულ იქნა წარმოებაში. მოვალეებს, შპს „ა...“ და ი. კ-ას გზავნილით, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2015 წლის 21 აპრილს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლების შესაბამისად, მიეცათ წინადადება ნებაყოფლობით, 7 დღის ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2015 წლის 18 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შესახებ.

„დავალიანების გადახდევინების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანებით, რესპონდენტებს – შპს „ა...“ და ი. კ-ას სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების გადახდა 100 ლარისა და 510101,89 დოლარის (ექვივალენტი ლარში) ოდენობით სს „პ...“ (ს/კ ...) მიმართ. 2015 წლის 11 მაისს განხორციელდა სს „პ...“ შერწყმა სს „ს...“.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 3 ივნისის №... მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება, სადაც არაუზრუნველყოფილ კრედიტორს წარმოადგენდა სს „...“ (შერწყმამდე სს „პ...“), ხოლო მოვალეებს – შპს „ა...“ და ი. კ-ა. ამავდროულად მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, ინიშნებოდა აუქციონი მოვალის – ი. კ-ას საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... №31, ... ქ. №2, საკადასტრო კოდი: ..., რომელზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინების საფუძველზე დარეგისტრირებული იყო ყადაღა გ. გ-ის სასარჩელო დავის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით, გ. გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა 31, ... ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: ..., №... სააღსრულებო წარმოება.

სასამართლომ მიუთითა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების), არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამავე კანონის საფუძველზე, აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებიდან, თუ აღსრულების პროცესში შესაძლებელია ზუსტად დადგენა ვის ეკუთვნის ქონება რეალურად.

სასამართლომ მიერ დადგენილია, რომ 2015 წლის 26 მარტის განცხადებით იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებო დოკუმენტი მიღებულ იქნა წარმოებაში. მოვალეების, შპს „ა...“ და ი. კ-ას მიმართ დაიწყო სააღსრულებო პროცედურები. „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანებით რესპონდენტებს – შპს „ა...“ და ი. კ-ას სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების გადახდა 100 ლარის და 510101,89 დოლარის (ექვივალენტი ლარში) ოდენობით სს „პ...“ მიმართ. ასევე დადგენილია, რომ 2015 წლის 11 მაისს განხორციელდა სს „პ...“ შერწყმა სს „...“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იყო ბრძანება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი კრედიტორის მიერ წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოპასუხე ვალდებული იყო ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე დაეწყო სააღსრულებო წარმოება.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის სახე შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; ამავე კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადანყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინებით გ. გ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ; გ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: მდებარე, თბილისი, ... ქ. №31, ... ქ. №2, ბინა №15, დუბლექსი – 245.00 კვ.მ. ტერასა – 149.00 კვ.მ, (ზონა – ..., სექტორი – ... კვარტალი ..., ნაკვეთი – ..., კოდი – ..., დაზუსტებული ფართობი – 538.00 კვ.მ შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართით – 2589.4 კვ.მ. (მათ შორის ბინების საერთო ფართი 206 კვ.მ.) და ავტოსადგომების ფართი – 400 კვ.მ). ასევე ყადაღა დაედო ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ ქონებას: კერძოდ, 100%-იან წილს შპს „გ...“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ... იურიდიული მისამართი – საქართველო, ყაზბეგის რაიონი, სოფელი ...). აღნიშნული განჩინებით დადებული ყადაღის რეგისტრაცია განხორციელდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ესაა გადანყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვაში. ანუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არის საპროცესო სამართლის ის ინსტიტუტი, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ქმნის სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების შესაძლებლობის საბაზისო საფუძველს და არა მყარ გარანტიებს, უპირობოდ აღნიშნული ქონებიდან აღსრულების თვალსაზრისით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის დაცვა მეორე მხარის არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისგან, რათა მოპასუხემ მოჩვენებითი ან რეალური გარიგებების დადების გზით არ აიცილოს სასამართლოს გადანყვეტილებით დამდგარი შედეგის აღსრულება.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღის არსებობისას სააღსრულებო ბიუროს არ უნდა დაენყო სასამართლოს მიერ ყადაღადადებული უძრავი ნივთის განკარგვა. ასეთი მსჯელობის განვითარების პირობებში, მესამე პირის – სს „პ...“ 2015 წლის 11 მაისის შერწყმის შემდგომ სს „...“ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, იძულებითი აღსრულების ხარჯზე მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება იზღუდება. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ გ. გ-სა და ი. კ-ას შორის დაწყებული სამოქალაქო დავა, რომლის ფარგლებშიც იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, საერთო სასამართლოების მიერ არსებითად გადაწყვეტილი არ არის.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით სარჩელის/გადანყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: მდებარე, თბილისი, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15, ს/კ ... და 100%-იან წილზე შპს „გ...“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...) ყადაღის დადებით მესაკუთრეს აკრძალული აქვს ამ ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვა ანუ აკრძალვა შეეხება მესაკუთრეს. განსახილველ შემთხვევაში კი სადავო არ არის ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონების გასხვისება ხორციელდება არა მესაკუთრე ი. კ-ას, არამედ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ, აუქციონის გზით, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთის გასხვისება ხდება მისი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ – აუქციონის გზით. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მოსაზრება, რომ სააღსრულებო ბიურო არ არის უფლებამოსილი განკარგოს სასამართლოს განჩინებით უზრუნველყოფილი ნივთი.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სასამართლო გადაწყვეტილებებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტების „იძულების ძალით“ განხორციელება, რაც ლეგიტიმირებულია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას მოვალის უფლებებსა და თავისუფლებებში კანონისმიერი ჩარევის გზით აღასრულოს კრედიტორის მოთხოვნა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ

აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს ქმედება მოვალის – ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე აღსრულების დაწყებისა და განხორციელების თაობაზე კანონიერია, ასევე არ არსებობს მოპასუხეებისათვის ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე აღსრულების განხორციელების აკრძალვის საფუძველი.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით, გ. გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა და ნაწილობრივ და განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა 31, ... ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: ..., №... სააღსრულებო წარმოება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. მითითებული ნორმის საფუძველზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმებულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქუჩა 31, ... ქუჩა №2, საკადასტრო კოდი: ..., №... სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი ინსტიტუტის დანიშნულებიდან გამომდინარე, კვლავაც ადასტურებდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა წარმოადგენდა სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და ემსახურებოდა მხოლოდ ყადაღადადებული ქონების მესაკუთრის მხრიდან განკარგვის აკრძალვას.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება და მიიჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება წარმოადგენდა მესაკუთრის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებას. განსახილველ შემთხვევაში კი სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ყადაღადადებული უძრავი ქონების გასხვისება ხორციელდებოდა არა მესაკუთრე ი. კ.-ას, არამედ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ, აუქციონის გზით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ნივთის გასხვისება ხდებოდა მისი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ – აუქციონის გზით. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება, რომ სააღსრულებო ბიურო არ იყო უფლებამოსილი განეკარგა სასამართლოს განჩინებით უზრუნველყოფილი ნივთი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს ქმედება მოვალის – ი. კ.-ას საკუთრებაში არსებულ სადავო უძრავ ქონებაზე აღსრულების დაწყებისა და განხორციელების თაობაზე კანონიერი იყო, რის გამოც არ არსებობდა მოპასუხეებისათვის ი. კ.-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე აღსრულების განხორციელების აკრძალვის და ამ გზით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნ-

ველყოფის ღონისძიება მხოლოდ მესაკუთრეს უკრძალავს განკარგოს ქონება და არა აღმასრულებელს, შესაბამისად, აღმასრულებლის მოქმედება ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით გასხვისების დაწყების თაობაზე, კანონიერი იყო.

კასატორის მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია სასამართლოს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გადაძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას წარმოადგენს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის, არის მასთან ან სხვა პირთან. აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანია მოპასუხის საკუთრებაში ან მასთან არსებული ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვა, რათა დავის გადაწყვეტამდე დაცული იქნეს ქონება, რომელზეც შესაძლებელია მოხდეს აღსრულება, დაბრკოლება არ შეექმნას სამომავლოდ აღსასრულებელ სასამართლოს გადაწყვეტილებას. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყადაღა არ ითვალისწინებს მხოლოდ მესაკუთრის მხრიდან ქონების განკარგვის შეზღუდვას. სასამართლოს მიერ ყადაღის გამოყენების მიზანი არის არა მხოლოდ მოპასუხის შეზღუდვა, არამედ მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, რაც გამოიხატება სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში. მოცემულ შემთხვევაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მხრიდან სასამართლოს მიერ დაყადაღებული უძრავი ნივთის განკარგვა აზრს უკარგავს სასამართლოს მიერ გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. კასატორის მითითებით, აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-821-805(კ-12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული გ. გ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით გ. გ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეული არ არის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, სასამართლომ უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს და დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 23 ივლისის №2/2225-13 გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე გ. კ-ეს მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; მოპასუხე ი. კ-ას მოსარჩელე გ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 1 724 877 აშშ დოლარის გადახდა, აგრეთვე, ამ თანხის წლიური 10%-ის გადახდა 2005 წლის ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინებით გ. გ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 იანვრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ; გ. გ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ყადაღა დაედო ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას: მდებარე, თბილისი, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15, დუპლექსი – 245.00 კვ.მ. ტერასა – 149.00 კვ.მ, (ზონა – ..., სექტორი – ... კვარტალი ..., ნაკვეთი – ..., კოდი – ..., დაზუსტებული ფართობი – 538.00 კვ.მ შენობა-ნაგებობები: №1 საერთო ფართობი – 2589.4 კვ.მ. (მათ შორის ბინების საერთო ფართობი – 206 კვ.მ.) და ავტოსადგომების ფართობი – 400 კვ.მ). ასევე ყადაღა დაედო ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ ქონებას: კერძოდ, 100%-იან წილს შპს „გ...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინებით დადებული ყადაღა ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე: მდებარე, თბილისი, ... ქუჩა №31, ... ქუჩა №2, ბინა №15, დუპლექსი

– 245.00 კვ.მ. ტერასა – 149.00 კვ.მ. დარეგისტრირდა საჯარო რე-
ესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსა-
ხურში.

ასევე დადგენილია, რომ 2015 წლის 26 მარტის განცხადებით,
იძულებითი აღსრულების მიზნით, კრედიტორის – სს „პ...“ სააღ-
სრულებო დოკუმენტი მიღებულ იქნა წარმოებაში. მოვალეებს, შპს
„ა...“ და ი. კ-ას, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ 2015 წლის
21 აპრილს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს
კანონის 25-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-
სის 78-ე მუხლების შესაბამისად, მიეცათ წინადადება ნებაყოფ-
ლობით, 7 დღის ვადაში, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ 2015
წლის 18 მარტს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების
შესახებ.

„დავალიანების გადახდევინების შესახებ“ აღსრულების ეროვ-
ნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანებით, რესპონდენ-
ტებს – შპს „ა...“ და ი. კ-ას სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანე-
ბის გადახდა 100 ლარისა და 510101,89 დოლარის (ექვივალენტი
ლარში) ოდენობით სს „პ...“ მიმართ. 2015 წლის 11 მაისს განხორცი-
ელდა სს „პ...“ შერწყმა სს „...“.

აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბი-
უროს 2015 წლის 3 ივნისის №... მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ აღ-
სრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანე-
ბის საფუძველზე მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება, სა-
დაც არაუზრუნველყოფილ კრედიტორს წარმოადგენდა სს „...“
(შერწყმამდე სს „პ...“), ხოლო მოვალეებს – შპს „ა...“ და ი. კ-ა. ამავე
მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრუ-
ლების მიზნით, ინიშნებოდა აუქციონი მოვალის ი. კ-ას საკუთრე-
ბაში აღრიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №31-
ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: ..., რომელზეც თბილისის სააპე-
ლაციო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩი-
ნების საფუძველზე დარეგისტრირებული იყო ყადაღა გ. გ-ის სა-
სარჩელო დავის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით, გ. გ-ის განცხადე-
ბა სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიე-
ბის გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და განსა-
ხილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კა-
ნონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ.
თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: ..., №...
სააღსრულებო წარმოება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ

აღსრულების ეროვნული ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს ქმედების კანონიერების დადგენა. კერძოდ, სასამართლოს შეფასების საგანია შეეძლო თუ არა სააღსრულებო ბიუროს ყადაღადადებული ქონების განკარგვა.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად ყურადღებას მიაქცევს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 63¹ მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, ყადაღის დადება ნიშნავს ქონების აღწერას და მესაკუთრისათვის მისი განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვიების, იზოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით ან აღნაგობით დატვირთვის, მასზე თხოვების ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულების დადების – აკრძალვის გამოცხადებას. მითითებული ნორმის თავდაპირველი რედაქცია არ შეიცავდა მითითებას რომელიმე კონკრეტულ სუბიექტზე ყადაღადადებული ქონების განკარგვის აკრძალვის თაობაზე, თუმცა მასში განხორციელებული ცვლილების თანახმად, შემოვიდა ახალი რეგულაცია და სპეციალურ სუბიექტს – მესაკუთრეს აეკრძალა ყადაღადადებული უძრავი ქონების განკარგვა, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ ამ ნორმით აღმასრულებელს ეკრძალება ყადაღადადებული ქონების აუქციონზე გატანა. პალატა ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებულ უძრავ ქონებაზე უზრუნველყოფის სახით დადებული ყადაღის არსებობა არ წარმოადგენს აღსრულების შეჩერების საფუძველს, რადგან მსგავს პირობას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აღსრულების ეროვნული ბიურო სააღსრულებო წარმოებას იწყებს იძულებითი აღსრულების შესახებ კრედიტორის წერილობითი განცხადებისა და სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამავ კანონის თანახმად, აღსრულება უნდა განხორციელდეს მოვალის ქონებიდან, თუ აღსრულების პროცესში შესაძლებელია ზუსტად დადგენა ვის ეკუთვნის ქონება რეალურად. საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2015 წლის 26 მარტის განცხადების შესაბამისად, იძულებითი აღსრულების მიზნით, მოვალეების, შპს „ა...“ და ი. კ-ას მიმართ დაიწყო სააღსრულებო პროცედურები. „დავალიანების გადახდევინების შესახებ“ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანებით შპს „ა...“ და ი. კ-ას სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების გადახდა 100 ლარისა

და 510101,89 დოლარის (ექვივალენტი ლარში) ოდენობით სს „პ...“ მიმართ, რომლის შერწყმაც სს „...“ 2015 წლის 11 მაისს განხორციელდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იყო ბრძანება ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ და მის საფუძველზე გაცემული იყო სააღსრულებო ფურცელი, რომელიც კრედიტორის მიერ წარედგინა თბილისის სააღსრულებო ბიუროს, მოპასუხე ვალდებული იყო ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე დაენყო სააღსრულებო წარმოება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ანესრიგებს საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების) არბიტრაჟის, რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიისა და მისი კომიტეტის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიღებული აქტების და ამ კანონით გათვალისწინებული აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების წესსა და პირობებს. მითითებული კანონის 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს კრედიტორი, რომლის მოთხოვნაც არ არის უზრუნველყოფილი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები რჩება უცვლელი. პალატა მიიჩნევს, რომ კანონმდებელი ამ ნორმის მიხედვით, ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებებში მოიაზრებს მხოლოდ სანივთო უფლებებს და იგი არ ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებულ ყადაღას, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას და იგი მხოლოდ ყადაღადადებული ქონების მესაკუთრის მხრიდან განკარგვის აკრძალვას ემსახურება, შესაბამისად, მას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისაგან განსხვავებით არ გააჩნია აქცესორული (მიმდევნებითი) ბუნება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფუნქციას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა წარმოადგენს, ხოლო მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების, ანუ სანივთო უფლების ფუნქცია კი შეუსრულებელი ვალდებულების შესრულებაა, რაც გულისხმობს, რომ მოვალისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება, ანუ მოვალის შესასრულებელ ვალდებულებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ანაცვლეს.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო ვერ გაიზიარებს კა-

საციის მოტივს იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოყენებული ყადაღის არსებობისას სააღსრულებო ბიუროს არ უნდა დაენყო სასამართლოს მიერ ყადაღადადებული უძრავი ნივთის განკარგვა. ასეთი მსჯელობის პირობებში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მესამე პირის – სს „პ...“ (2015 წლის 11 მაისის შერწყმის შემდგომ სს „...“) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, იძულებითი აღსრულების ხარჯზე მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება იზღუდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააღსრულებო სამართალი საჯარო სამართალს მიეკუთვნება, ვინაიდან მისი საგანია სასამართლო გადაწყვეტილებების და კანონით გათვალისწინებული სხვა აქტების „იძულების ძალით“ განხორციელება, რაც ლეგიტიმირებულია არა კრედიტორის კერძოსამართლებრივი მოთხოვნით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა სააღსრულებო სამართლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას მოვალის უფლებებსა და თავისუფლებებში კანონისმიერი ჩარევის გზით აღასრულოს კრედიტორის მოთხოვნა – სახელმწიფოს დახმარებით განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების მიერ (გადაწყვეტილებით) ტიტულირებული, დადასტურებული მოთხოვნა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს სააღსრულებო კომპეტენციის გამოვლინებას. ამდენად ცალსახაა, რომ ისევე როგორც სახელმწიფოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, სააღსრულებო ორგანოების, როგორც სახელმწიფო ორგანოების მოქმედებაც უნდა იყოს კონსტიტუციასთან შესაბამისი და სათანადოდ უნდა იცავდეს აღსრულების წარმოების ყველა მონაწილის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, რომლის მიხედვით, აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

დავის ობიექტურად გადაწყვეტისას მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ასევე ი. კ-ას საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე, მდებარე: ქ. თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, უძრავი ქონების აღმასრულებლის მიერ იძულებით განკარგვასთან დაკავშირებით წარმოებულ სააღსრულებო პროცესში გ. გ-ის უფლების ფარგლების განსაზღვრა, მისი დაინტერესებულ პირად მიჩნევის

თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაინტერესებული მხარის ცნება უკავშირდება პირის უფლებას – წარმოდგენილ იქნეს მხარედ, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში. დაინტერესებულ მხარედ ითვლება ის პირი, რომლის კანონიერ ინტერესზეც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება (ზაკ-ის მე-2 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი). ანუ ცალსახაა, რომ პირის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევის თვალსაზრისით სახეზე უნდა იყოს, როგორც მისი უფლების დარღვევის ფაქტი, ისე დავაში მისი უფლებადამცავი ინტერესი, ამასთან, პირის უფლება და ინტერესი კანონით უნდა იყოს დაცული ანუ სახეზე უნდა იყოს პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი პირის სამართლებრივად დაცულ უფლებებსა და ფაქტობრივ ინტერესზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობენ: ა) კრედიტორი და მოვალე (შემდგომში ასევე – სააღსრულებო წარმოების მხარეები); ბ) აღმასრულებელი; გ) კერძო აღმასრულებელი; დ) სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ სააღსრულებო წარმოების პროცესში. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გ. გ-ი წარმოადგენდა სს „...“ სასარგებლოდ გაცემულ სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოების პროცესის მონაწილე პირს – როგორც სასამართლოს გადანაცვლებით დადასტურებული მოთხოვნის უფლების მქონე დაინტერესებულ მხარეს, რომლის შესრულების გარანტიაც უზრუნველყოფილი იყო ი. კ-ას საკუთრებაზე, ასევე სასამართლოს განჩინებით გამოყენებული და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ყადაღით. საქმის მასალების მიხედვით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2015 წლის 3 ივნისის №... მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 18 მარტის №... ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობდა სააღსრულებო წარმოება, სადაც არაუზრუნველყოფილ კრედიტორს წარმოადგენდა სს „...“ (შერწყმამდე სს „პ...“), ხოლო მოვალეებს – შპს „ა...“ და ი. კ-ა. ამავე მიმართვით გ. გ-ს ეცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით, ინიშნებოდა აუქციონი მოვალის – ი. კ-ას საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე: ქ. თბილისში, ... №31-ში, ... ქ. №2-ში, რომელზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 8 თებერვლის №2ბ/465-13 განჩინების საფუძველზე დარეგისტრირებული იყო ყადაღა გ. გ-ის სა-

სარჩელო დავის გამო. ამდენად, კასატორი – გ. გ-ი ზემოაღნიშნულ ნორმათა დაცვით ინფორმირებული იყო სააღსრულებო წარმოების ყველა ეტაპსა და მოქმედებაზე.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის დანაწესის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 31 იანვრის №21 ბრძანების პირველი მუხლის მე-5 პუნქტში კრედიტორისა და მოვალის გარდა მოიაზრება ასევე სააღსრულებო წარმოების პროცესში მონაწილე ყველა ის პირი, ვის კანონით დაცულ უფლებებსა და ინტერესს პირდაპირ და უშუალოდ ეხება სააღსრულებო ბიუროს მიერ განხორციელებული მოქმედება, რაც გ. გ-თან მიმართებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეული არ არის, რის გამოც არ არსებობს მოპასუხეებისათვის ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე აღსრულების განხორციელების აკრძალვის და ამ გზით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით, გ. გ-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: ..., სააღსრულებო წარმოება. მითითებული ნორმის საფუძველზე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებულ განჩინებას, რომლითაც გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 12 ივნისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – განსახილველ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. №31-ში, ... ქ. №2-ში, საკადასტრო კოდი: ..., სააღსრულებო წარმოების შეჩერების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მი-

თითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 ივლისის განჩინებაზე (საქმე №ბს-821-805(კ-12)). აღნიშნული განჩინებით, გარკვეული მითითებებით, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე დადგა სხვა შედეგი, რომელიც დღეის მდგომარეობით კანონიერ ძალაშია შესული და იგი იდენტურია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 მაისის გასაჩივრებული განჩინებისა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე გ. გ-სა და მოპასუხეებს – ი. კ-ასა და გ. კ-ეს შორის მიმდინარე სამოქალაქო დავა, რომლის ფარგლებშიც იქნა გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არსებითად გადაწყვეტილია. კანონიერ ძალაში შესული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით, შეიცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების 1.1; 1.2; 1.3; 1.4 და მე-3 ნაწილი და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. კ-ასა და გ. კ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-2 ნაწილი დარჩა უცვლელად; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 თებერვლის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება; ყადაღა მოეხსნა ი. კ-ას საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონებას: მდებარე, ქ. თბილისი, ... ქ. №31, ... ქ. №2, ბინა №15, დუპლექსი – 245.00 კვ.მ, ტერასა - 149.00 კვ.მ, (ზონა – ..., სექტორი – ..., კვარტალი ..., ნაკვეთი – ..., კოდი – ..., დაზუსტებული ფართობი – 538.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობები: №1 – საერთო ფართობი – 2589.4 კვ.მ. (მათ შორის ბინების საერთო ფართობი – 2064.5 კვ.მ.) და ავტოსადგომების ფართობი – 400 კვ.მ); ყადაღა მოეხსნა ი. კ-ას (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებას: 100%-იან წილს შპს „გ...“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ..., იურიდიული მისამართი – საქართველი, ყაზბეგის რაიონი, სოფ. ...); ასევე, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა (სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინებით). შესაბამისად, გაუქმებულია სამოქალაქო დავის ფარგლებში გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კასატორს – გ. გ-ს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც

გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მაისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. გადაწყვეტილების განმარტება

გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები

განჩინება

საქართველოს სახელმწიფო

№8-926-1(გან-17)

12 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა რ. კ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილებით რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი რ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. კ-ის მიმართ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

18.08.2017წ. რ. კ-მა განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილების განმარტება. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ბუნდოვანია თუ რა გარემოებების გამოკვლევა და შეფასება უნდა მოახდინოს ორგა-

ნომ ახალი აქტის გამოცემამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რ. კ-ის განცხადებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და თვლის, რომ არ არსებობს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილებით რ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.12.2015წ. გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი რ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 20.02.2015წ. №04/12102 გადაწყვეტილება, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის 30.07.2014წ. №04-04/4683 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. კ-ის მიმართ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში ასახული მათი სამართლებრივი შეფასების შედეგი. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 30.06.2015წ. გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო აქტების ბათილად ცნობით ადმინისტრაციულ ორგანოს სას.კ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, მოსარჩელე რ. კ-ის მიერ სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, რ. კ-ი დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადან-

ყვეტილებას. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ რ. კ-ი საკასაციო საჩივრით იმთავითვე ითხოვდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.06.2015წ. გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას. ამასთანავე, კასატორ რ. კ-ის წარმომადგენლებმა საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვისას, პროცესზე დაადასტურეს მოთხოვნა სადავო აქტების სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოში არ დაიშვება მოთხოვნის გაზრდა (სსკ-ის 407-ე მუხ.) და საკასაციო პალატა დავის განხილვისას ვერ გაცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს (სსკ-ის 404.1 მუხ.), პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის სრულად დაკმაყოფილების პროცესუალური შესაძლებლობა. დავის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მოთხოვნის ფარგლებით, იგი ვერ მიაკუთვნებს მხარეს იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა (სსკ-ის 248-ე მუხ.). ამასთანავე, 25.05.2017წ. გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტა წარმოების ძირითადი წესების სრული იგნორირებით თავისთავად იძლეოდა სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი განხილვისათვის დავალების შესაძლებლობას. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ პენსიის შეჩერების დროს მოქმედი „სახელმწიფო პენსიის დანიშვნის და გაცემის წესის“ 8.3 მუხლის თანახმად, პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის, მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში გაუტანლობის შემთხვევაში პენსიის შეჩერების წყაროა პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულება. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დადასტურდა საბანკო დაწესებულების მიმართვა სოც.უზრუნველყოფის ორგანოსადმი, საქმეზე არ დადგენილა ასეთი მიმართვის კონკრეტული დრო. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვისას ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გაერკვია აგრეთვე სახელმწიფო გასაცემლის შეჩერების, ხოლო შემდგომში შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების რ. კ-ისათვის ოფიციალურად გაცნობის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.05.2017წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, გარკვევით და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არ შეიცავს ურთიერთგა-

მომრიცხავ და შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც არ არსებობს მისი განმარტების აუცილებლობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. რ. კ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბ-1388-3(გან-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ე-ემ 2015 წლის 27 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის სა-ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-

პასუხზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მოსარჩელის მიმართ ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი სერჟანტი – გ. ე-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 2002 წლის 17 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ლ. ე-ემ, როგორც გ. ე-ის მეუღლემ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა ოჯახის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საჭირო აქტის გამოცემის მოთხოვნით. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილებით ლ. ე-ის მოთხოვნა – „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შსს-ს მოსამსახურე გ. ე-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურებაზე, არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მისი მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე სრულ შესაბამისობაშია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლ პუნქტთან და დაუსაბუთებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი მისი უფლების დადასტურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ე-ის

სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ე-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ე-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილება; დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ე-ეს დაუდასტურდება მისი მეუღლის გ. ე-ის (დაბადებული 19.01.1963წ.) გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტი) სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ლ. ე-ის 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2018 წლის 21 სექტემბერს განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების, აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად განმარტება მოითხოვა.

განცხადების ავტორი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების საჩუქრულუციო ნაწილის მე-4 პუნქტით სამინისტროს დაევა ლ. ე-ის 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სამინისტროს მოსაზრებით მნიშვნელოვანია განიმარტოს რას გულისხმობდა საკასაციო სასამართლო სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით, რომელშიც საუბარია ახალი აქტის გამოცემის ვალდებულებაზე, რომლის შესაბამისად, სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს შეისწავლოს – ექვევა თუ არა მოსარჩელის შემთხვევა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულაციაში და უნდა გაიცეს თუ არა კომპენსაცია, თუ აღნიშნული პუნქტი შეიცავს პირდაპირ დავალებას მითითებული საფუძვლით კომპენსაციის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სამინისტროსათვის მიმართვის დროს 2015 წლის 3 აგვისტოს განმცხადებელი – ლ. ე-ე ითხოვდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის შესაბამისად კომპენსაციის გაცემას, აღნიშნული მოთხოვნა გააჩნდა მას მოგვიანებით ყველა ინსტანციის სასამართლოში, შესაბამისად, სამინისტროსათვის დღის წესრიგში არ იდგა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თანხის გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტრო ხანდაზმულობის მოტივით უარს ეტყოდა განმცხადებელს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის გაცემაზე. განმცხადებლის მოსაზრებით სამინისტროს აღნიშნული პოზიციის მართებულობას დამატებით ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 24 აპრილის განჩინება (საქმე №ზს-1040-1034(კ-17)), რომლითაც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კომპენსაციაზე სასამართლომ გაავრცელა ხანდაზმულობის ვადები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე პირველი პუნქტით გათვალის-

წინებული კომპენსაციის გაცემა დაწესდა 2005 წლის 20 აპრილის კანონით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ლ. ე-ის, როგორც გ. ე-ის მემკვიდრეს, მიღებული აქვს ერთჯერადი კომპენსაცია და დაკრძალვის ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო ითხოვს განიმართოს თუ რას გულისხმობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი, ხელახალ მსჯელობას – ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად კომპენსაციის მიღება თუ დავალებას კომპენსაციის გაცემის შესახებ. ამასთან, თუ უზენაესი სასამართლოს მიერ დავალებულია კომპენსაციის გაცემა, რა ოდენობის თანხა უნდა გაიცეს მოსარჩელეზე 1992 წელს არსებული რეგულაციების შესაბამისად არსებული 10 თვის ხელფასის ოდენობა თუ ამჟამად მოქმედი „პოლიციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული 15000 ლარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალა ლ. ე-ის 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-

ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადანყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადანყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადანყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადანყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადანყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადანყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადანყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადანყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადანყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადანყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადანყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადანყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადანყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადანყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებს განმარტებას, მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი უნდა ეთქვას გადანყვეტილების განმარტებაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი იძლევა გადანყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადანყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის მიერ მითითებული საკითხი – ეკუთვნის თუ არა მოსარჩელეს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამი-

სად კომპენსაციის მიღება, სცილდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით განხილულ დავის საგანს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. ე-ის მიერ სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე და 23-ე მუხლების საფუძველზე, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა კომპენსაციის დანიშვნის მიზნით ცნობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვლეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. მოცემულ დავაში სარჩელი არ იყო აღძრული ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების – კომპენსაციის დანიშვნის მოთხოვნით, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული საკითხი საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების მსჯელობის საგანი არ ყოფილა. რამდენადაც გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავოა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული, რომელი შემთხვევა ვრცელდება გ. ე-ის გარდაცვალებაზე. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კი გამოცემული იყო მხოლოდ „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ უფლებაზე, რის გამოც საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გაიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლ. ე-ის მოთხოვნაზე, რომელიც მოიცავდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებასაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ უმსჯელია. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მართალია, მოსარჩელის მეუღლის – გ. ე-ის გარდაცვალე-

ბა ვერ ექცეოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლ პუნქტში, მაგრამ ლ. ე-ის მოთხოვნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოადგენდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უფლების დადგენის შესაძლებლობას, რაც არ ნიშნავს კონკრეტული შინაარსის აქტის გამოცემის დავალებას და იმპერატიულად ადგენს კანონის შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილი სათანადოდ დასაბუთებული აქტის გამოცემის ვალდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ განმცხადებლის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების განმარტების ფარგლები

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბ-1404-4(გან-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ის, ა. ხ-ის წარმომადგენლის თ. ყ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. დ-ემ, ნ. ფ-ემ, ს. ლ-მა, დ. გ-ემ, თ. ბ-მა, ჯ. ბ-ემ და ა. ხ-მა 2015 წლის 17 თებერვალს სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების თბილისის აღსრულების ბიუროსა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიმართ. მოსარჩელებმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 15 იანვრის №127 ბრძანებისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის №88035 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს №2ბ/276-04 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროსათვის იძულებითი აღსრულების დავალება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მესამე პირად ჩაბმულ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით ზ. დ-ის, ნ.

ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ისა და ა. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 15 იანვრის №127 ბრძანება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 24 ნოემბრის №88035 გადაწყვეტილება; დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს დაეწყო იძულებითი აღსრულება თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 9 იანვრის №3ბ/276 გადაწყვეტილებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 8 აპრილს გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 30 მაისის განჩინებით, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მაისის განჩინება.

ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ისა და ა. ხ-ის წარმომადგენელმა თ. ჟ-მა 2018 წლის 26 სექტემბერს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც ამავე სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განჩინების განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო ბიურო ვალდებული იყო წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაეწყო იძულებითი აღსრულებისათვის საჭირო მოქმედებები (უფლებამონაცვლის დადგენა)“. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი ითხოვს განმარტებას, სააღსრულებო ბიურო არის თუ

არა ვალდებული თვითონ მიმართოს სასამართლოს უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ისა და ა. ხ-ის წარმომადგენლის თ. ყ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების (განჩინების) განმარტება დაიშვება მხოლოდ გადაწყვეტილების (განჩინების) აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, ამასთან, გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად და იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. გადაწყვეტილების განმარტება მისი ნაკლოვანების აღმოფხვრის ერთ-ერთი საშუალებაა. გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში განიმარტება, როდესაც მისი შინაარსი არის ბუნდოვანი, გაურკვეველი ან წინააღმდეგობრივი. გაურკვეველობა უნდა ეხებოდეს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების განმარტების მიცემაში პრიორიტეტულია არა მხარის სურვილი, მოისმინოს მიღებული გადაწყვეტილების დამატებითი არგუმენტები, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვანება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 მაისის განჩინება. განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინების სამოტივაციო ნაწილით გათვალისწინებული დასაბუთების განმარტებას. სამოტივაციო ნაწილში მითითებული დასაბუთების განმარტების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი, ხოლო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი სავსებით ცხადია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ის, ა. ხ-ის წარმომადგენელს თ. ჟ-ს უარი უნდა ეთქვას განჩინების განმარტებაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი იძლევა გადაწყვეტილების განმარტების შესაძლებლობას მისი შინაარსის შეუცვლელად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადანყვეტილების განმარტების მოტივით, თუნდაც ნაწილობრივ შეცვალოს იგი ან შეეხოს ისეთ საკითხს, რომელიც არ იყო მისი მსჯელობის საგანი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს მიიჩნიოს, რომ განმცხადებლის – ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ის, ა. ხ-ის წარმომადგენლის თ. ჟ-ის შუამდგომლობა გადანყვეტილების განმარტების თაობაზე უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ზ. დ-ის, ნ. ფ-ის, ს. ლ-ის, დ. გ-ის, თ. ბ-ის, ჯ. ბ-ის, ა. ხ-ის წარმომადგენლის – თ. ჟ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების განმარტების თაობაზე მოთხოვნის საუშუქლიანობა

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-569-566(კს-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადანყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 სექტემბერს გ. დ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მატერიალური ზიანის – 400 ლარისა და მკურნალობისთვის განსაზღვრული სამომავლო ხარჯის – 1 300 ლარის, მორალური ზიანის სახით – 50 000 ლარისა და სარჩოს სახით ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) – 850 ლარის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით გ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის (ფაქტობრივად მიყენებული ზიანის სახით – 400 ლარი და მკურნალობისათვის განსაზღვრული სამომავლო ხარჯის სახით – 900 ლარი) სახით – 1 300 ლარის გადახდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5 000 ლარის ოდენობით. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის სარჩოს სახით ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. დ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კო-

ლეგის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება მორალური ზიანის დაკისრებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; გ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. დ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 10000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება – 5000 ლარის ოდენობით; გ. დ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2017 წლის 10 თებერვალს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა თარიღიდან უნდა განხორციელებულიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. დ-ის სასარგებლოდ დაკისრებული ყოველთვიური სარჩოს სახით 194,20 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მესამე წინადადების შინაარსი განიმარტა შემდეგნაირად: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2012 წლის 25 მაისიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე“.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების განმარტების საპროცესო ინსტიტუტი გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ 1) განსამარტი გადაწყვეტილება აღსრულებადია სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით; 2) განმარტებას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის (განმარტების მიზანი უნდა იყოს ხელი შუწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას); 3) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში განმარტებას ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა გადაწყვეტილების აღსრულებისათვის, რა მიზნითაც მიუთითა შემდეგზე: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის განაჩენით დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს, დაახლოებით 4.20 საათზე, საჭაერო თავდაცვის ბრიგადის G4-ის ჯავშანსატანკო-საავტომობილო და შეიარაღების კონტროლის ოფიცერმა, უფროსმა ლეიტენანტმა – გ. ხ-მა გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და სადღეღამისო საყარაულო წესში მყოფ, ამავე სამხედრო ნაწილის წევრამდელს, რიგით გ. დ-ს გამოართვა ამ უკანასკნელზე განპირობებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, დაუწყო ინსტრუქტაჟის ჩატარება, მოუხდა ერთჯერადი გასროლა, რის შედეგადაც გ. დ-ს მიაყენა ცეცხლსასროლი ჭრილობა მარცხენა ფეხის არეში.

დადგენილია, რომ 2012 წლის 25 მაისს მიღებული ტრავმის გამო გ. დ-ს ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო მკურნალობა, თუმცა

აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელეს დაუდგინდა ქმედუნარიანობის ზომიერი შეზღუდვა უვადოდ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაუროდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით. დაზარალებულს უფლება აქვს მკურნალობის ხარჯები მოითხოვოს წინასწარ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა აუცილებელი ხდება პროფესიული გადამზადება. სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის მიღება, თუ არსებობს საამისო მნიშვნელოვანი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირის შესახებ.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს 2012 წლის 25 მაისი, რა დროსაც გ. დ-მა მიიღო ტრავმა და ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო მკურნალობა. შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. დ-ის სასარგებლოდ დაკისრებული ყოველთვიური სარჩოს სახის 194,20 ლარის გადახდა (ათვლა) უნდა განხორციელდეს მოცემული პერიოდიდან, კერძოდ – 2012 წლის 25 მაისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა როგორც გადანყვეტილების განმარტების, ასევე მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, ვინაიდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის საუბარი იმაზე, თუ რა თარიღიდან უნდა განხორციელდებულყო თავდაცვის სამინისტროსათვის სარჩოს დაკისრება. ამასთან, არც მოსარჩელის მხრიდან არ ყოფილა მითითებული, რა პერიოდიდან ითხოვდა მოსარჩელე მხარე თავდაცვის სამინისტროსათვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრებას. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ყოველთვიური სარჩოს სახით

194,20 ლარის ანაზღაურების ათვლა უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის 25 დეკემბრიდან, ანუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან და არა 2012 წლის 25 მაისიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გ. დ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება გაუქმდა მორალური ზიანის დაკისრებისა და ყოველთვიური სარჩოს დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მატერიალური ზიანის დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი; გ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის – 10000 ლარის ანაზღაურება; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 1 ნოემბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწ-

ყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გ. დ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 10000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება – 5000 ლარის ოდენობით; გ. დ-ის შეგებებული საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება.

2017 წლის 10 თებერვალს სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა, კერძოდ, რა თარიღიდან უნდა განხორციელებულიყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. დ-ის სასარგებლოდ დაკისრებული ყოველთვიური სარჩოს სახით 194,20 ლარის გადახდა (ათვლა).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინებით აღსრულების ეროვნული ბიუროს შუამდგომლობა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე, დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მესამე წინადადების შინაარსი განიმარტა შემდეგნაირად: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2012 წლის 25 მაისიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე“.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინების კანონიერებას გადაწყვეტილების განმარტების კუთხით; მოცემულ შემთხვევაში სადავოა ის გარემოება, თუ როდიდან უნდა მოხდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. დ-ისათვის ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 2017 წლის 23 მარტის განჩინებით გაცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც მან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2012 წლის 25 მაისიდან გ. დ-ის სა-

სარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა დააკისრა და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომელთა შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. დისპოზიციურობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია საპროცესო სამართალში, რაც ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს და თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მხარეები თავისუფალნი არიან თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებების განკარგვისას. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდულია დისპოზიციურობის პრინციპით, რის გამოც, სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გ. დ-მა სარჩელით სასამართლოს მიმართა 2014 წლის 17 სექტემბერს და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მატერიალური ზიანის (ფაქტობრივად მიყენებული ზიანის სახით – 400 ლარისა და მკურნალობისათვის განსაზღვრული სამომავლო ხარჯის სახით – 900 ლარის) სახით – 1 300 ლარის, მორალური ზიანის სახით – 50 000 ლარის და სარჩოს სახით ყოველთვიურად (სიცოცხლის ბოლომდე) – 850 ლარის დაკისრება. შესაბამისად, გ. დ-მა თავისი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე ნება გამოხატა 2014 წლის 17 სექტემბერს, როდესაც მან მიმართა სასამართლოს. საქმის მასალებიდან არ დასტურდება, რომ გ. დ-მა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსადმი სარჩოს სახით ყოველთვიურად – 850 ლარის დანიშვნა მოითხოვა 2012 წლის 25 მაისიდან, რა დროსაც მან მიიღო ტრავმა. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ მოთხოვნის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს 2012 წლის 25 მაისი, რა დროსაც გ. დ-მა მიიღო ტრავმა და ჩაუტარდა არაერთი სამედიცინო მკურნალობა, მაგრამ განმარტავს, რომ კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ როდის მოახდინა პირმა თავისი უფ-

ლები რეალიზება და ნება იმისა, რომ დანიშნოდა სარჩო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს სახის 194,20 ლარის გადახდა (ათვლა) უნდა დაეკისროს – 2012 წლის 25 მაისიდან, ვინაიდან, მას სარჩელით ამგვარი მოთხოვნა არ ჰქონია, მას არ მოუთხოვია სარჩოს დანიშვნა კონკრეტულად 2012 წლის 25 მაისიდან.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისა და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უნდა განემარტა გადაწყვეტილება, მაგრამ სასამართლომ არასწორად მოახდინა მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის გ. დ-ის სასარგებლოდ დაკისრებული ყოველთვიური სარჩოს სახის 194,20 ლარის გადახდა (ათვლა) უნდა განხორციელდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის დღიდან – 2014 წლის 17 სექტემბრიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინების მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მესამე წინადადების შინაარსი განიმარტოს შემდეგნაირად: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2014 წლის 17 სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე“.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 23 მარტის განჩინების მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მესამე წინადადების შინაარსი განიმარტოს შემდეგნაირად: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ. დ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 2014 წლის 17 სექტემბრიდან ყოველთვიური სარჩოს სახით 194,2 ლარის გადახდა, გ. დ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე“.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების განმარტების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელში

№ბ-1482-2(გან-17)

18 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 16 ივნისს ა(ა)იპ ... სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუღებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან

დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების, სრულყოფილი სახით, გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ..., რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ა(ა)იპ ... სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ..., რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა გასცეს ინფორმაცია, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

2017 წლის 18 დეკემბერს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, რომელმაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სამოტივაციო ნაწილში ასახული სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით, იმდენად გაურკვეველი და ბუნდოვანია, რომ დამატებითი განმარტების გარეშე, შეუძლებელია სამინისტროს

მიერ მისი აღსრულების უზრუნველყოფა. ამასთან, განმცხადებლის მითითებით, გადაწყვეტილება შეიცავს ერთგვარად ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც იუსტიციის სამინისტროსთვის სირთულეს წარმოადგენს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებაზე მსჯელობის დაწყებაც კი.

განმცხადებლის მითითებით, სასამართლოს მსჯელობა ბუნდოვანია იმ ნაწილში, სადაც ინფორმაციის საჯაროობის მნიშვნელობაზე ზოგადი მსჯელობის პარალელურად, სასამართლოს მიერ მოყვანილია კონკრეტული, ცალსახად სხვა სიბრტყეში არსებული მაგალითები; ხოლო მათ შორის სამართლებრივი კავშირის დასაბუთების ხარისხი დაბალია. მაგალითად, სასამართლოს მიაჩნია, რომ „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად, არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია და იგი აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს“. ამ მსჯელობის სანინააღმდეგოდ, ამავე გადაწყვეტილების სხვა ნაწილში სასამართლო აცხადებს, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დეფინიციამი ექცევა „...თუ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებთან...“. განმცხადებელი ციტირებულ ორ მსჯელობას წინააღმდეგობრივი შინაარსის მქონედ მიიჩნევს და სამინისტროსთვის გაუგებარია სასამართლოს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია ყველა შემთხვევაში ღია საჯარო ინფორმაციად მიაჩნია, თუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ინფორმაცია კონკრეტულად შესყიდვებს ეხება.

ამასთან, სამინისტრო მიიჩნევს, რომ ცალსახად განმარტებას საჭიროებს, სასამართლომ სამსახურებრივი ფოსტით გაგზავნილი ინფორმაციის შემთხვევაში აბსოლუტურად გამორიცხა ამ ინფორმაციის პირადი ხასიათი, თუ მხოლოდ იმ ფარგლებში, როცა სამსახურებრივი ფოსტით გაცვლილი ინფორმაცია უკავშირდებოდა სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას. განმცხადებლის მითითებით, აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ზოგადად, ელექტრონული ფოსტით იცვლება რამდენიმე სახის პირადი ინფორმაცია. მაგალითად, სამინისტროს თანამშრომლების სამსახურში დროებით გამოუცხადებლობის წესის დაცვის კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით იცვლება იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ცნობა ავადმყოფობის შესახებ (საავადმყოფო ფურცელი), რომელიც შეიცავს კონკრეტული თანამშრომლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას და რომელიც წარმოადგენს კანონით საჯარო

რო გამხელისგან დაცულ ინფორმაციას.

განმცხადებლის მითითებით, გარდა ამისა, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამონვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის“. ამავე დროს, სასამართლო აცხადებს იმასაც, რომ ეს განმარტება არ ეხება „უწყების შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადანყვეტილების შესაქმნელად წარმოებულ შიდა მოსამზადებელ მიმონერას...“, თუმცა, იქვე ადგენს, რომ „თუ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებული და გაგზავნილი ინფორმაცია დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებთან, იგი ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის დეფინიციაში“. გადანყვეტილების აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, სამინისტროსთვის გაუგებარია რას გულისხმობდა სასამართლო „სამსახურებრივ საქმიანობასთან“ დაკავშირებით გაგზავნილ და მიღებულ ინფორმაციაში და ასევე, გულისხმობდა თუ არა იგი ამ შემთხვევაშიც მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვებს ან/და შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადანყვეტილების მოსამზადებლად წარმოებულ მიმონერას.

ამდენად, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სასამართლომ უნდა განმარტოს: ა) ზემოაღნიშნული პირობები (ზოგადად ელექტრონული ფოსტით გაცვლილი ინფორმაცია; შესყიდვებთან მიმართებით არსებული ინფორმაცია; შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადანყვეტილებების მოსამზადებლად წარმებული მიმონერა) იუსტიციის სამინისტროს მიერ სადავო ინფორმაციის გაცემის მიზნებისთვის შეფასებულ უნდა იქნეს კუმულატიურად თუ ალტერნატიულად; ბ) მოიცავს თუ არა სასამართლოს მსჯელობა ელექტრონული ფოსტით გაცვლილ ინფორმაციაზე ყველა სხვა შემთხვევაშიც, რომელიც დაკავშირებულია ელექტრონული ფოსტით განხორციელებულ „სამსახურებრივ საქმიანობასთან“; გ) საკითხი განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების სფეროს და სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული ორგანოს შესაფასებელი უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ შორის, მოცემული გადანყვეტილების აღსრულების ყველა ზემოაღნიშნული პირობა არის თუ არა სახეზე.

ამასთან, განმცხადებლისთვის ბუნდოვანია რა მასშტაბის ინფორმაცია უნდა გასცეს ადმინისტრაციულმა ორგანომ იმისათვის, რომ

გადაწყვეტილება აღსრულებულად ჩაითვალოს, ვინაიდან, ადმინისტრაციულ ორგანოს/თანამდებობის პირს კონკრეტულ შემთხვევაში არ გააჩნდა არათუ სამსახურებრივი ფოსტით მიღებული ინფორმაციის შენახვის, არამედ ფოსტის გამოყენების ვალდებულებაც კი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლზე და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა გადაწყვეტილების განმარტების აუცილებლობა.

აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განცხადების ასლი გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარეს – ა(ა)იპ

2018 წლის 5 იანვარს ა(ა)იპ ... საკასაციო სასამართლოში წარმოდგინა მოსაზრებები განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით, ა(ა)იპ ... მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნათლად განმარტებულია ის სტანდარტები, რომლებზეც დაყრდნობით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ამ კუთხით არანაირი ბუნდოვანება არ არსებობს. შესაბამისად, უსაფუძვლო და გაუგებარია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თხოვნა გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებით. ამასთან, ა(ა)იპ ... მიიჩნევს, რომ სამინისტროს წერილში რიგი შეფასებები ცდება სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი კრიტიკის ეთიკურ ჩარჩოებს, რაც სამინისტროს მხრიდან უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს უპატივცემულობაზე შეიძლება მიუთითებდეს.

ა(ა)იპ ... მითითებით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ნათლად გამომდინარეობს, რომ „სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები, თავისთავად არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია და იგი აკმაყოფილებს საჯარო ინფორმაციისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს“, შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინებები ზოგადად საჯაროა, თუ არ არსებობს საჯაროობის შეზღუდვის კანონმდებლობით განერილი ლეგიტიმური საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ ... მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების (საქმე №ბს-286-284(კ-17)) სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილები გასაგები და ნათელია და არ არსებობს გადაწყვეტილების განმარტების საჭიროება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების გაცნო-

ბის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალი გასცეს ინფორმაცია, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სამოტივაციო ნაწილში ასახული სასამართლოს მსჯელობის გათვალისწინებით, გაურკვეველი და ბუნდოვანია. განმცხადებლისთვის ასევე გაურკვეველია გასაცემი საჯარო ინფორმაციის მოცულობა.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მითითებული დავის ფარგლებში ა(ა)იპ ... სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების, სრულყოფილი სახით, გაცემის დავალება. სწორედ აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში იმ-

სჯელა საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემაზე, რის გამოც გაუგებარია განმცხადებლის მოსაზრებები გადაწყვეტილების ბუნდოვანებასთან დაკავშირებით.

განსახილველი დავის ფარგლებში ზოგადად სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მნიშვნელობის განმარტების საჭიროება დადგა თავად დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც სარჩელით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის წყაროს სწორედ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა წარმოადგენდა, რომელსაც სააკველაციო სასამართლო არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებად მიიჩნევდა და რომელიც სააკველაციო სასამართლოს მოსაზრებით, წარმოადგენდა დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენებოდა შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ იყო დაცული. ფაქტობრივად, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მოსარჩელეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არა მისი შინაარსის, არამედ, მისი ფორმის გათვალისწინებით უთხრეს. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია თავისი ფორმით ექცევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიაში.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში დაადგინა ზოგადი სტანდარტი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით მიღებულ და გაგზავნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამონვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისთვის. თუმცა, საკასაციო სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს უწყების შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ გადაწყვეტილების შესაქმნელად წარმოებულ შიდა მოსამზადებელ მიმონერას.

ამასთან, საკასაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით განმტკიცებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმონერა, თუ მას აქვს პირადი ხასიათი, დაცულ უნდა იქნეს პირადი ცხოვრების

ხელშეუხებლობის გარანტიით. მოცემულ შემთხვევაში კი სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წარმოებული კომუნიკაცია, რომელიც ეხება გამარტივებულ შესყიდვებს, არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს პირადი ხასიათის ინფორმაციასთან და იგი არ ხვდება კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების დაცულ სფეროში.

ამდენად, საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ცალსახად და არაორაზროვნად განმარტა, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით განხორციელებული მიმონერა, თუ მას აქვს პირადი ხასიათი, დაცულ უნდა იქნეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიით, რის გამოც საკასაციო სასამართლოსთვის გაუგებარი და უსაფუძვლოა განმცხადებლის მითითება იმის თაობაზე, რომ სამინისტროს თანამშრომლების სამსახურში დროებით გამოუცხადებლობის წესის დაცვის კონტროლის მიზნებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით იცვლება იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების ცნობა ავადმყოფობის შესახებ (საავადმყოფო ფურცელი), რომელიც შეიცავს კონკრეტული თანამშრომლის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას და რომელიც წარმოადგენს კანონით საჯარო გამხელისგან დაცულ ინფორმაციას. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სისტემური ანალიზი ცალსახად იძლევა ამგვარი ინფორმაციის დაცულობის გარანტიებს.

აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემული დავა ეხება კონკრეტულად სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას და მას სამინისტროსთვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი აქვს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობისა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული ფარგლებით, სადაც ცალსახად და ნათლად არის მითითებული, რომ მოპასუხეს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა გასცეს ინფორმაცია, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები. ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული მოსაზრებები, რომელთა განმარტების საფუძველზეც საკასაციო სასამართლო აკეთებს საბოლოო დასკვნას, საკასაციო სასამართლოს დანიშნულებიდან გამომდინარე, წარმოადგენს საკასაციო სასამართლოს შეფასებებს ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის მიმართ. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა გადაწყვეტილების სა-

რეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული სუბიექტისთვის და კონკრეტულად სარეზოლუციო ნაწილით განსაზღვრული ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს ბუნდოვან დებულებებს, ხოლო ის გარემოება, თუ რა მექანიზმების გამოყენებით უნდა მოხდეს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და სამინისტროს მიერ გადაწყვეტილებით დავალებული ინფორმაციის გაცემა, სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს.

საკასაციო სასამართლო კვლავ მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაევალა გასცეს ინფორმაცია, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში ასახული მათი სამართლებრივი შეფასებების შედეგს; ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ასაბუთებს მიღებულ გადაწყვეტილებას. სწორედ აღნიშნული მოსაზრებით აკეთებს მითითებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებაზე. გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალურ წინაპირობას მითითებული მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება წარმოადგენს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული მსჯელობა ერთიანია, მასში ასახული მოსაზრებები აღიქმება სისტემურად, ერთიანობაში, ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდან ცალკე კონტექსტიდან ამოვარდნილი მოსაზრებები, ვერ გახდება გადაწყვეტილების ერთიანი აზრის ბუნდოვნად მიჩნევის საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობა ობიექტურად იძლევა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების აღქმის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ განსახილველ განცხადებასთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებებზე, რომლის მიხედვით, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ნათლად განმარტებულია ის სტანდარტები, რომლებზეც დაყრდნობით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება და ამ კუთხით არანაირი ბუნდოვანება არ არსებობს. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის უსაფუძვლო და გაუგებარია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თხოვნა გადაწყვეტილების განმარტებასთან დაკავშირებით. ამასთან, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ სამინისტროს წერილში რიგი შეფასებები ცდება სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი კრიტიკის ეთიკურ ჩარჩოებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული გადაწყვეტილების აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი, იგი ცალსახად შეიცავს მითითებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის ინფორმაციის, კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის დავალების შესახებ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილ განცხადებაში დასმული საკითხები სცილდება გადაწყვეტილების განმარტების ფარგლებს. განცხადება რეალურად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების კრიტიკას და გადაწყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარს წარმოადგენს და არ ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, ვინაიდან, მითითებული ნორმა სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას განმარტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მისი აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, სამოტივაციო ნაწილში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, გარკვევით და ნათლად არის ჩამოყალიბებული, არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო დებულებებს, რის გამოც არ არსებობს მისი განმარტების საჭიროება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადანყვეტილების განმარტების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-752-752(კს-18)

20 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების განმარტება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 17 დეკემბერს ზ. ს-ემ სარჩელით მიმართა თბილისისაკვე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საქართვე-

ლოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის №1/541 ბრძანების, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, პირადი შემადგენლობის სიებიდან ამოღების და თადარიგში ჩარიცხვის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის №1/810 ბრძანების ბათილად ცნობა და თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში იურისკონსულტის თანამდებობაზე აღდგენა, თავდაცვის სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ გადასახდელი 225,42 ლარის ოდენობით ხელფასის, სოროსის ფონდიდან მიუღებელი 465 ლარის, 1135 ლარის ოდენობით სანივთე ქონების მიუღებელი კომპენსაციის დაკისრება, აგრეთვე თანამდებობაზე აღდგენის ბრძანების გამოცემაზე განაცდურის, საადვოკატო მომსახურების – 400 ლარის ანაზღაურება და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოითხოვა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ზ. ს-ის სასარგებლოდ 2002-2004 წლების მიუღებელი სანივთე ქონების ფულადი კომპენსაციის – 1135,48 ლარის გადახდა დაეკისრა. არ დაკმაყოფილდა ზ. ს-ის მოთხოვნა ზ. ს-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის შესახებ თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 24 ივლისის №1/541 ბრძანების, ზ. ს-ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, პირადი შემადგენლობის სიებიდან ამოღებისა და თადარიგში ჩარიცხვაზე 2004 წლის 4 ოქტომბრის №1/810 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ. ასევე არ დაკმაყოფილდა ზ. ს-ის მოთხოვნა თანამდებობაზე აღდგენის, განაცდურის, სოროსის ფონდის დახმარებისა და საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ს-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ზ. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვე-

ტილება, რომლითაც ზ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2004 წლის 24 ივლისის №1/541 და 2004 წლის 4 ოქტომბრის №1/810 ბრძანებები და ზ. ს-ე აღდგენილ იქნა პირვანდელ თანამდებობაზე; ზ. ს-ეს აუნაზღაურდა იძულებით განაცდური დროის ხელფასი, რეფორმირებისა და განვითარების ფონდიდან მიღებული თანხა – 465 ლარის ოდენობით, ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯები – 400 ლარის ოდენობით, ხოლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაშვებაზე ეთქვა უარი.

2018 წლის 5 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ზ. ს-ემ, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის წინადადების – „აუნაზღაურდეს ზ. ს-ეს იძულებითი განაცდურის დროის ხელფასი“ – განმარტება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილების შესრულების თავის არიდების მიზნით, 2007 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა №3528 ბრძანება, რომლითაც მან, მართალია, ბათილად ცნო მის მიერ 2004 წლის 24 ივლისის №1/541 ბრძანება, თუმცა ამავე ბრძანებაში ძველი რიცხვით მიუთითა, რომ ზ. ს-ე სამსახურში აღდგენილია 2004 წლის 25 ივლისს, ხოლო 2004 წლის 10 ოქტომბრიდან კვლავ გაათავისუფლა თანამდებობიდან. განმცხადებელი კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევს, რომ საქმის მწარმოებელმა აღმასრულებელმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით საქმარისად მიიჩნია სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 12 ოქტომბრის №3528 ბრძანებით განხორციელებული ქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინებით ზ. ს-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა 262-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური წინაპირობა, რადგან სახეზე არ არის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას უკავშირებდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვეტილების შესრულების თავის არიდების მიზნით 2007 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა №3528 ბრძანება, რომლითაც მან, მართალია, ბათილად ცნო მის მიერ 2004 წლის 24 ივლისს გამოცემული №1/541 ბრძანება, თუმცა ამავე ბრძანებაში ძველი რიცხვით მიუთითა, რომ ზ. ს-ე სამსახურში აღდგენილია 2004 წლის 25 ივლისს, ხოლო 2004 წლის 10 ოქტომბრიდან კვლავ გაათავისუფლა თანამდებობიდან. ამასთან, საქმის მწარმოებელმა აღმასრულებელმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, საკმარისად მიიჩნია სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 12 ოქტომბრის №3528 ბრძანებით განხორციელებული ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ვერ გახდებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსის ბუნდოვნად მიჩნევის საფუძველი. 2007 წლის 12 ოქტომბრის №528 ბრძანება, ასევე აღმასრულებლის ქმედება შეიძლება სადავო გახდეს დაინტერესებული მხარის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ იყო ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საჭიროებდა დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან, მისი დასაბუთება მოცემული იყო ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ცხადი და გასაგები იყო. განცხადებაში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტებას, შესაძლოა, შეეცვალა მისი შინაარსი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დაუშვებელი იყო. შესაბამისად, არ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული საფუძველი მისი განმარტე-

ბის წინაპირობები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ს-ემ, რომელმაც მითითებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების თავის არიდების მიზნით, 2007 წლის 12 ოქტომბერს გამოსცა №3528 ბრძანება, რომლითაც, მართალია, ბათილად ცნო მის მიერ 2004 წლის 24 ივლისს გამოცემული №1/541 ბრძანება, თუმცა ამავე ბრძანების მოქმედება გაავრცელა გასულ დროზე და ზ. ს-ე სამსახურში აღადგინა 2004 წლის 25 ივლისიდან, ხოლო 2004 წლის 10 ოქტომბრიდან კვლავ გაათავისუფლა თანამდებობიდან. აღნიშნული ქმედება საქმის მწარმოებელი აღმასრულებლის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შინაარსზე მითითებით, საკმარისად იქნა მიჩნეული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების შესახებ დასკვნის გამოსატანად.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში მოცემულ წინადადებაში – „აუნაზღაურდეს ზ. ს-ეს იძულებით განაცდური დროის ხელფასი“, არ არის მითითებული ანაზღაურების პერიოდი, რასაც ბოროტად იყენებს მოვალე და იზიარებს საქმის მწარმოებელი აღმასრულებელიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ივლისის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ს-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასა-

ჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინებით ზ. ს-ის განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და იგი არ საჭიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან, შესაბამისად, გადაწყვეტილება არის გასაგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. ამავე ნორმის თანახმად, განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა ვადა, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს. მითითებული ნორმის შინაარსი ნათლად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ განმარტების გაცემა ხდება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტების ინსტიტუტი მიზნად ისახავს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობას, თუ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაურკვეველობა ქმნის მისი რეალიზაციის სირთულეს და წარმოშობს აღსრულების გაურკვეველობას.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს გადაწყვეტილების განმარტების წინაპირობებს: კერძოდ, სასამართლოს, მხარის ან აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე, შეუძლია განმარტოს გადაწყვეტილება თუ გადაწყვეტილება აღუსრულებელია, გადაწყვეტილების აღსრულების ვადა არ არის გასული და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია. ამასთან, გადაწყვეტილების აღსრულებისა და აღსრულების ვადის გასვლის ფაქტის არსებობა გამორიცხავს განცხადების დაშვებას განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებაზე. საქმის მასალებითა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2007 წლის 12 ოქტომბრის №3528 ბრძანებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის №1/541 ბრძანების 29-ე პუნქტი; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის №1/810 ბრძანების 43-ე პუნქტი; ვიცე-პოლკოვნიკი ზ. კ. ს-ე აღდგენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ეროვნული აკადემიის მმართველობის იურისკონსულტის თანამდებობაზე 2004 წლის 25 ივლისიდან; ვიცე-პოლკოვნიკი ზ. კ. ს-ე 2004 წლის 10 ოქტომბრიდან ჩაითვალა დათხოვნილად სხვა საფუძველზე (ზღვრული ასაკის მიღწევის გამო) შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის არაბუნდოვანებასთან მიმართებაში, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; კერძოდ, სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გადაწყდა, რომ ზ. ს-ეს უნდა აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდურის დროის ხელფასი და რეფორმირებისა და განვითარების ფონდიდან მიღებული თანხა – 465 ლარის ოდენობით, ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯები – 400 ლარის ოდენობით. გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიექცევა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-

ბებისა და სამოტივაციო ნაწილში ასახული მათი სამართლებრივი შეფასებების შედეგს, ხოლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ასახულებს მიღებულ გადაწყვეტილებას. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ არის ბუნდოვანი და შესაბამისად, იგი არ საქიროებს დამატებით განმარტებას სასამართლოს მხრიდან. მისი დასაბუთება მოცემულია ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, ხოლო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ცხადი და გასაგებია. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კერძო საჩივრის ავტორი არსად არ მიუთითებს, რომ მას 2004 წლის 25 ივლისიდან 2004 წლის 10 ოქტომბრამდე ანაზღაურება არა აქვს მიღებული.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილის განმარტებასაც მოითხოვს მხარე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 24 ივლისის №1/541 ბრძანების 29-ე პუნქტისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2004 წლის 4 ოქტომბრის №1/810 ბრძანების 43-ე პუნქტის ბათილად ცნობის ნაწილში აღსრულებულია და მის საფუძველზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2007 წლის 12 ოქტომბერს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2007 წლის 12 ოქტომბრის №3528 ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად, გამოსცა ახალი აქტი, რომლითაც ვიცე-პოლკოვნიკი ზ. კ. ს-ე 2004 წლის 10 ოქტომბრიდან ჩაითვალა დათხოვნილად სხვა საფუძველით (ზღვრული ასაკის მიღწევის გამო) შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფის მოხსნით). სადავო ბრძანებაში მიეთითა აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული აქტი წარმოადგენდა ახალ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც ზ. ს-ე სამსახურიდან გათავისუფლდა სულ სხვა საფუძველით – ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, თუმცა იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა (სზაკ-ის 180-ე მუხლი) და იმ დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ (127-ე მუხლი) კანონით დადგენილი წესით მხარის მიერ არ გასაჩივრებულა.

საკასაციო სასამართლო დამატებით განუმარტავს მხარეებს, რომ ზ. ს-ეს უდავოდ ეკუთვნის 2004 წლის 25 ივლისიდან 2004 წლის

10 ოქტომბრამდე ანაზღაურება, თუ დღემდე იგი მასზე არ არის გაცემული, რადგან კანონიერ ძალაში შესული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ანაზღაურებას მოიცავდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე, ზ. ს-ეს (პ/ნ ...) სრულად უნდა დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე 12.06.2018წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 მაისის განჩინება;
3. ზ. ს-ეს (პ/ნ ...) სრულად დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე 12.06.2018წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 50 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სააკველაციო საჩივრის შეტანის ვადის დაცვა

გზავნილის არაუფლებამოსილი პირისათვის ჩაბარებისას საპროცესო ვადის ათვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-685-678(კს-16)

26 იანვარი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა; ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. უ-მა და ლ. უ-მა 05.01.16წ. სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვოლთა სამინისტროს მიმართ და სარჩელის დაზუსტების შემდეგ მოითხოვეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვოლთა მინისტრის 14.12.15წ. №1955 და №1956 ბრძანებების ბათილად ცნობა, დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ, დევნილის სტატუსის ჩამორთმევის დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის განმავლობაში მისაღები შემწეობის ოდენობით ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.03.16წ. განჩინებით სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.16წ. გადაწყვეტილებით ე. უ-ისა და ლ. უ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებმა სააკველაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.16წ. განჩინებით ე. უ-ისა და ლ. უ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო საჩივარი გასაჩივრებისთვის დაწესებული 14 დღიანი ვადის დარღვევით იქნა სასამართლოში წარდგენილი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.16წ. გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ მოსარჩელებს ე. უ-სა და ლ. უ-ს საქმეში მითითებულ მისამართზე და ჩაბარდათ 13.07.16წ., ჩაბარების დასტურზე ხელს აწერს ოჯახის წევრი - ე. უ-ის ძმის ცოლი, ეთ. უ-ი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია არა მხოლოდ მხარეთა საპროცესო უფლებები, არამედ საპროცესო მოვალეობებიც, მხარის ერთ-ერთი საპროცესო უფლება - სააპელაციო წესით გასაჩივროს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება, შეიცავს საპროცესო მოვალეობას - უფლების რეალიზაცია მოახდინოს კანონისმიერ ვადაში. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ არ შეასრულა საპროცესო მოვალეობა კანონით დადგენილ ვადაში. ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი კანონით დადგენილი წესით 13.07.16წ. ჩაბარდა მოსარჩელე მხარეს, მას სააპელაციო საჩივრის წარდგენა სასამართლოში შეეძლო 27.07.16წ. ჩათვლით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი 28.07.16წ. არის სასამართლოში წარდგენილი. სააპელაციო პალატის მითითებით, საჩივარი, რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება, რადგან სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ე. უ-ისა და ლ. უ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.16წ. განჩინების გაუქმების მოთხოვნით ე. უ-მა და ლ. უ-მა კერძო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. კერძო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ სასამართლო უწყება ჩაბარებულად ჩაითვლისა და საპროცესო ვადების ათვლისათვის კანონი იმპერატიულად მოითხოვს მის ჩაბარებას პირადად მხარისათვის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრისათვის. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.16წ. გადაწყვეტილება ჩაბარდა არაუფლებამოსილ პირს, რომელმაც აღნიშნული მოგვიანებით გადასცა

მათ და ჩაბარების ზუსტი თარიღი ვერ დაუსახელა, რამაც გამოიწვია სააპელაციო საჩივრის 1 დღის დაგვიანებით წარდგენა. კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, ეთ. უ-ი არ წარმოადგენს მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ეთ. უ-ი ცხოვრობს გორში, სოფ. ..., №446 სახლში, ხოლო ე. უ-ი და ლ. უ-ი – №443 სახლში. მხარის მითითებით, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში გზავნილი უკან უნდა დაბრუნებულიყო და არ უნდა ჩაბარებოდა არაუფლებამოსილ პირს.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ ე. უ-ისა და ლ. უ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.16წ. გადაწყვეტილება ე. უ-ისა და ლ. უ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოსარჩელებს გაეგზავნათ საქმეში მითითებულ მისამართზე: სოფ. ..., სახლი 443, გორი. გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათი ხელმოწერილია ე. უ-ის ძმის ცოლის ეთ. უ-ის მიერ და ჩაბარების თარიღად მითითებულია 13.07.16წ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო გზავნილის მხარისთვის ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე და უბრუნდება სასამართლოს (სსკ-ის 73.5 მუხ.). სწორედ აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება გზავნილის მხარისათვის ჩაბარება და შესაბამისად, ამავე დოკუმენტით ხელმძღვანელობს სასამართლო მხარისათვის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების ათვლისას. განსახილველ შემთხვევაში გზავნილის ჩაბარების შესახებ წერილობით კორექსონდენციაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თარიღად მითითებულია 13.07.16წ. და გზავნილზე ე. უ-ის ძმის ცოლის ეთ. უ-ის ხელმოწერაა.

კერძო საჩივრის ავტორები უარყოფენ უფლებამოსილი პირის მიერ გზავნილის ჩაბარებას და აღნიშნავენ, რომ პირი, რომელმაც ჩაიბარა გადაწყვეტილება, არ წარმოადგენს მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრს, ამასთან, ჩაბარება განხორციელდა სხვა მისამართზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი

ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის, სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის ან მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესის მიხედვით. ამასთან, სსკ-ის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო, 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაცხებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შეტყობინება ჩაბარდა ე. უ-ის ძმის ცოლს – ეთ. უ-ს, რომელიც არ მიიჩნევა მოსარჩელე მხარესთან მცხოვრებ ოჯახის წევრად, რადგან მისი საცხოვრებელი მისამართი განსხვავდება ე. უ-ისა და ლ. უ-ის საცხოვრებელი მისამართისგან. კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი დევნილის მოწმობებით დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორები ცხოვრობენ გორში, სოფ. ..., №443 სახლში, ხოლო გზავნილის ჩაბარების დასტურზე ხელმომწერი პირი – №446 სახლში. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უფლებამოსილ პირს ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სსკ-ის 369.1 მუხლის საფუძველზე მხარეებს განემარტებათ დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან 14 დღის ვადაში საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობა. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის 61.3 მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას, ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. სსკ-ის 60.2 მუხლის შესაბამისად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ე. უ-სა და ლ. უ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.16წ. გადაწყვეტილება ჩაბარდათ 13.07.16წ., შესაბამისად, არ დასტურდება სასამართლოში სააპელაციო საჩივრის კანონით განსაზღვრული 14-დღიანი ვადის დარღვევით წარ-

დგენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ე. უ-ისა და ლ. უ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.16.წ. განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სააკველაციო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების
წინაპირობები**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-807-803(კს-17)

7 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სააკველაციო საჩივრის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 26 ოქტომბერს ლ. კ-ემ, გ. პ-მა და ხ. პ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელებმა ლ. კ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2826 ბრძანების, გ. პ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2827 ბრძანების, ხ. პ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2825 ბრძანების ბათილად ცნობა და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის ლ. კ-ისათვის, ხ. პ-ისა და გ. პ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის დაკავლება და 2014 წლის ნოემბრიდან ყოველთვიურად 45 ლარის ოდე-

ნობით ზიანის სახით მიუღებელი დევნილის შემწეობის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ახალგორის მუნიციპალიტეტის ბოლის თემის ტერიტორიული ორგანო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ლ. კ-ის, ხ. პ-ისა და გ. პ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2826 ბრძანება ლ. კ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2827 ბრძანება გ. პ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 22 სექტემბრის №2825 ბრძანება ხ. პ-ისათვის იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ; მოპასუხეს კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა დაევალა, რომლითაც მოსარჩელებს – ლ. კ-ეს, გ. პ-ს და ხ. პ-ს აღუდგებოდათ იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსი; მოპასუხეს მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი დევნილის შემწეობის ანაზღაურება დაევალა, მისი შეწყვეტიდან აღდგენამდე სრული პერიოდისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო

საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს სასამართლო აქტით განემარტა გასაჩივრების შესაძლებლობა, სასამართლო, სადაც შეიძლება გასაჩივრება, მისი ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, მაშინ გასაჩივრება შეიძლება სასამართლოს აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე, ხოლო მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექს-

სის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს, ხოლო ჩაბარების განსხვავებულ, გონივრულ წესზე მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – ამ შეთანხმებით გათვალისწინებული წესით. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით მხარეებს განემარტათ მისი გასაჩივრების ვადა და წესი. ხოლო საქმეში არსებული შეტყობინების მიხედვით, აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაბარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 5 ივლისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა 2017 წლის 20 ივლისს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასებების გათვალისწინებით, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 5 ივლისს, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრების ვადა დაიწყო 2017 წლის 6 ივლისს, რომელიც დასრულდა 2017 წლის 19 ივლისს, 24 საათზე, ხოლო სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა 2017 წლის 20 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის მიერ გავებული სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა (თოთხმეტი დღე), რომლის გაგრძელება არ შეიძლება, რის გამოც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით

გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ ის, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდათ არა 2017 წლის 5 ივლისს, არამედ 2017 წლის 6 ივლისს, რაც დასტურდება სამინისტროში გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტში საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომლის მიერ შესულ დოკუმენტზე დასმული შტამპით. შესაბამისად, სამინისტროს მიერ არ დარღვეულა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 7 ივლისს და ამოიწურა 2017 წლის 20 ივლისს 24 საათზე.

ამასთან, სამინისტროს განმარტებით, მოცემული გადაწყვეტილების გატარების თარიღად 2017 წლის 6 ივლისის მითითება არის მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი განყოფილების თანამშრომლის ტექნიკური შეცდომა. დოკუმენტი შემთხვევით შერეულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოდან 6 ივლისს შესულ კორესპონდენციაში, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების რეგისტრაციის ნომრის წინა და შემდგომი დავალებები ნომრებით რეგისტრირებულია სამინისტროში შესული ის კორესპონდენცია, რომელიც სამინისტროს ჩაბარდა 2017 წლის არა 5, არამედ – 6 ივლისს. აღნიშნული ტექნიკური ცდომილების წინასწარგანზრახული ინტერესი არ არსებობდა, ეს იყო მხოლოდ შემთხვევითი ტექნიკური შეცდომა.

ზემოხსენებული გარემოებების დასადასტურებლად, კერძო საჩივრის ავტორს წარმოდგენილი აქვს სამინისტროს კანცელარიის ჩანაწერები და ელექტრობრუნვის ამონაწერები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების რეგისტრაციის ნომრის წინა და შემდგომი ნომრებით გატარებული კორესპონდენციების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდ-

გენილი კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი, იმ მოტივით, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ჩაბარდა 2017 წლის 5 ივლისს, რაც დასტურდება საქმეში არსებული შეტყობინებით, ხოლო აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ წარდგენილ იქნა 2017 წლის 20 ივლისს, 14-დღიანი ვადის დარღვევით.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სადავოდ გახადა კერძო საჩივრის ავტორმა, რომლის მტკიცებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი სამინისტროს ჩაბარდა არა 2017 წლის 5 ივლისს, არამედ 2017 წლის 6 ივლისს, რაც კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, დასტურდება სამინისტროში საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომლის მიერ შესულ დოკუმენტზე დასმული შტამპით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივარში მიუთითებს, რომ მოცემული გადაწყვეტილების გატარების თარიღად 2017 წლის 6 ივლისის მითითება არის მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი განყოფილების თანამშრომლის ტექნიკური შეცდომა. დოკუმენტი შემთხვევით შერეულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოდან 6 ივლისს შემოსულ კორესპონდენციაში, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების რეგისტრაციის ნომრის წინა და შემდგომი დავალებები ნომრებით რეგისტრირებულია სამინისტროში შესული ის კორესპონდენცია, რომელიც სამინისტროს ჩაბარდა 2017 წლის არა 5, არამედ – 6 ივლისს. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, აღნიშნული ტექნიკური ცდომილების წინასწარგანზრახული ინტერესი არ არსებობდა, ეს იყო მხოლოდ შემთხვევითი ტექნიკური შეცდომა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში; ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში არსებულ შეტყობინებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ, რომლის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მითითებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2017 წლის 5 ივლისს.

ამასთან, მართალია, კერძო საჩივრის ავტორის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მასალების მიხედვით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი სამინისტროში გატარებულია 2017 წლის 6 ივლისს, თუმცა კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მითითებული გზავნილის 6 ივლისს გატარება შესაბამისი განყოფილების ტექნიკური შეცდომის შედეგად მოხდა.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო კერძო საჩივრით სადავოდ ხდის მათთვის გზავნილის ჩაბარების თარიღს, კერძო საჩივარში მოყვანილი განმარტებებით თავადვე ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას – სამინისტროსთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილის 2017 წლის 5 ივლისს ჩაბარების ფაქტს.

ამდენად, საქმის მასალებით დგინდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების შემცველი გზავნილი სამინისტროს ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, ხოლო ის გარემოება, რომ სამინისტროს შესაბამისმა განყოფილებამ გზავნილი ტექნიკური შეცდომის საფუძველზე არასწორი თარიღით გაატარა, ვერ გახდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის გაგრძელების/აღდგენის საფუძველი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე–78-ე მუხლების შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის – ამ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის ჩაბა-

რება, ხოლო სამინისტროს შიდა განყოფილებებს შორის გზავნილის განაწილების თარიღი გავლენას ვერ მოახდენს კანონით დადგენილ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 31 ივლისის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააკველაციო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების წინაპირობები

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-1047-1041(კს-17)

9 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ წარმომადგენელმა – გ. ჟ-მა სარჩელით მიმართა თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამ-
სახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და
მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 26
მარტის გადაწყვეტილების, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014
წლის 20 ნოემბრის №48011 ბრძანებისა და სსიპ შემოსავლების სამ-
სახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 7 ოქტომბრის დას-
კვნის ბათილად ცნობა. აღნიშნული დასკვნით შპს „...“ მიმართ სა-
გადასახადო შემონმების აქტით დამატებით დარიცხული თანხები
(892 366,67 ლარი) კორექტირებას (შემცირებას) არ ექვემდებარე-
ბა. მოსარჩელემ წარდგენილი სარჩელით მოითხოვა სახელმწიფო
ბაჟის გადახდის გადავადება, იმ საფუძველით, რომ შპს „...“ შეწყვე-
ტილი აქვს ფუნქციონირება და კომპანიის ანგარიშებს ადევს ყა-
დალა, თუმცა აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკი-
ცებულება არ იქნა წარდგენილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 მაისის განჩი-
ნებით შპს „...“ დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10-დღიანი ვადა ხარ-
ვეზის შესავსებად.

2015 წლის 18 ივნისს შპს „...“ განცხადებით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ხარვეზის შევსების მიზნით და წარადგი-
ნა გასაჩივრებული სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტები, ამავე განცხადებით იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გა-
დახდის გადავადებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის განჩინებით მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები არ იქნა მიჩნეული მისი გადახდისუნარიანობის დამადასტურებელ მტკიცებულებად და მოსარჩელეს უარი ეთქვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებაზე. ამავე განჩინებით ხარვეზის შევსების (სახელმწიფო ბაჟის გადახდის) მიზნით მოსარჩელეს გაუგრძელდა სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადა კვლავ 10 დღით.

მოსარჩელემ 2015 წლის 27 ივნისს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და წარადგინა ცნობა, რომლითაც დგინდება, რომ შპს „...“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებით გადახდისუუნარობის შესახებ და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინებით სასამართლომ მიუთითა, რომ პირის ბაჟისგან გათავისუფლება უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული. ამავე განჩინებით მოსარჩელეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად და განემარტა, რომ ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, სასამართლო მიიღებდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ მოსარჩელეს ჩაჰბარდა 6 აგვისტოს, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში განჩინებაში მითითებული ხარვეზი მოსარჩელის მიერ არ შევსებულა და არც რაიმე შუამდგომლობა ყოფილა წარდგენილი ხარვეზის შევსებისათვის დაწესებულ ვადაში ვადის გაგრძელების თაობაზე. 2015 წლის 26 აგვისტოს განჩინებით შპს „...“ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შესაძლებელი იყო თუ არა ბაჟის გადახდის გადავადება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინებით მხარეს სასამართლოსთვის აღარ მიუმართავს, მაგრამ მანამდე მის მიერ რამდენი-

მეჯერ იქნა დაყენებული შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე, წარადგინა მტკიცებულებები, თუმცა ისინი სასამართლოს მიერ არ შეფასებულა, არც უარყოფილა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, შესაბამისად, სარჩელი დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“ წარმომადგენელმა – გ. ჟ-მა. აპელანტმა მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტ შპს „...“ შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ და აპელანტს შპს „...“ დაევალა სახელმწიფო ბაჟის 7000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. ამასთან განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით, პირადად ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენელს – გ. ჟ-ს 2017 წლის 04 აგვისტოს. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით (გზავნილით) ეცნობება, სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ მხარეს გზავნილი უნდა ჩაბარდეს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, გ. ჟ-ზე განჩინების ჩაბარებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განჩინება ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით, 2017 წლის 04 აგვისტოს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილით წლებით, თვეებით ან დღე-ეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰპარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 05 აგვისტოს და ამოიწურა 2017 წლის 14 აგვისტოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „...“. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა ვერ შეძლო, რადგან არ გააჩნია არანაირი შესაძლებლობა, კომპანიამ შეწყვიტა ფუნქციონირება უკვე 4 წელია, ასევე კომპანიის ანგარიშს ადევს ყადაღა და არის გაკოტრებული, ხოლო შპს „...“ დირექტორის პირადი შემოსავალი ყოველთვიურად შეადგენს 100 ლარს და არის მეორე ჯგუფის ინვალიდი. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით ერთხელ უკვე გადაუვადდა ბაჟის გადახდა, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „...“ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-

ველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით შპს „...“ შუამდგომლობა ბაჟის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა და სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი იმ საფუძველით, რომ შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს – სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით შპს „...“ დაუდგინა ხარვეზი და მის შესავსებად განესაზღვრა ვადა, კერძოდ, დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, სახელმწიფო ბაჟის 7000 (შვიდი ათასი)ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარმოდგენა. ამასთან, აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

აპელანტის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რომლითაც იგი ითხოვდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარვეზის გადახდა – ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოება, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აპელანტს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც მხარის გადახდისუუნარობას დაადასტურებდა და შექმნიდა

სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინება შპს „...“ წარმომადგენელს – გ. ჟს ჩაჰბარდა 2017 წლის 4 აგვისტოს, კანონით დადგენილი წესით, რაც დასტურდება გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათზე მითითებული პირის ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინების ასლი შპს „...“ 2017 წლის 4 აგვისტოს ჩაჰბარდა, სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 5 აგვისტოს და ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული 10-დღიანი ვადა ამოიწურა 2017 წლის 14 აგვისტოს 24:00 საათზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი (გაცხადება, დოკუმენტი), რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, სასამართლოს მიერ განსაზღვრული საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა არის შეუქცევადი და მისი აღდგენა დასაშვებია, მხოლოდ კანონით იმპერატიულად განსაზღვრულ შემთხვევებში.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ აპელანტმა – შპს „...“ მისთვის განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ გამო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის უკანონობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლები ითვალისწინებს მხარეებისათვის შეღავათის განევას სახელმწიფო ბაჟის გადახდისას, თუმცა სავალდებულო პირობაა, რომ მხარემ უტყუარი მტკიცებულებებით დაადასტუროს სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა. განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“ ამგვარი მტკიცებულებები არ წარუდგენია სააპელაციო სასამართლოსათვის (მაგ. დეკლარაციები, საზოგადოების ბრუნვის ამსახველი დოკუმენტები, საზოგადოების საბანკო ანგარიშებზე საჭირო თანხის არ არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ა.შ), მხარის მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას გადახდის შეუძლებლობის და ანგარიშებზე ყადაღის არსებობასთან დაკავშირებით, სასამართლო მხედველობაში ვერ მიიღებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს შეზღუდვას, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, კონკრეტული საქმის გარემოებების, მათ შორის, მხარის გადახდისუნარიანობისა და საქმის წარმოების ეტაპის გათვალისწინებით (*FC MRETEBI v. GEORGIA, PODBIELSKI AND PPU POLPURE v. POLAND*). სასამართლო ხარჯების ინსტიტუტი, ზოგადად, მართლმსაჯულების ადმინისტრირების მიზანს ემსახურება კერძოდ, სასამართლო სისტემის საქმიანობის პროცესის დაფინანსებასა და აშკარად უსაფუძვლო, არასერიოზული სასარჩელო განცხადებებისაგან დაცვას. კონვენციის მე-6 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას თავისი სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა სასამართლომდე მიიტანოს. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლი ადგენს „სასამართლოს უფლებას“, რომლის მხოლოდ ერთი ასპექტია სასამართლოს ხელმისაწვდომობა. სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური, იგი შეიძლება შეიზღუდოს, რადგანაც ხელმისაწვდომობის უფლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ მოწესრიგებას მოითხოვს (*KREUZ v. POLAND*).

საყურადღებოა, შპს „...“ ისარგებლა სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით და თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა შპს „...“ სარჩელი, რომელიც არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

საკასაციო პალატა მიუთითებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ მხარეთა თხოვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ შპს „...“ ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოუსწორებია და არც ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება მოუთხოვია, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად მართებულად იქნა დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „...“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების თარიღის გათვალისწინება

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-1122-1116(კს-17)

9 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ცრუმაგიერ პირებად აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 08 აგვისტოს ხაშურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, მოპასუხეების – შპს „მ...“, შპს „ს...“, შპს „თ...“, ნ. გ-ის, ლ. ლ-ის, თ. ც-ის, დ. ტ-ის, ს. ბ-ის, რ. ტ-ის მიმართ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების მოთხოვნით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეები – შპს „ს...“, შპს „თ...“, ნ. გ-ი, ლ. ლ-ე, თ. ც-ე, შპს „მ...“, დ. ტ-ე ცნობილ იქნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად; სარჩელი ს. ბ-ისა და რ. ტ-ის მიმართ მოპასუხეებთან ერთად მათი ცრუმაგიერ პირებად ცნობის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „ს...“, შპს „თ...“, ნ. გ-მა, ლ. ლ-ემ, თ. ც-ემ, შპს „მ...“, დ. ტ-ემ და მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააპელაციო საჩივარი წარადგინა ასევე სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განჩინებით შპს „მ...“, დ. ტ-ის, შპს „ს...“, შპს „თ...“, ნ. გ-ის, ლ. ლ-ისა და თ. ც-ის სააპელაციო საჩივრები მიღებული იქნა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავლე-

ბის სამსახურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში არსებული შეტყობინების მიხედვით, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება სსიპ შემოსავლების სამსახურს ჩაჰბარდა 2017 წლის 4 მაისს. სააპელაციო საჩივარი კი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2017 წლის 19 მაისს, ვინაიდან სსიპ შემოსავლების სამსახურს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2017 წლის 4 მაისს, მისთვის გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 5 მაისს და ამოიწურა 2017 წლის 18 მაისს, 24 საათზე, შესაბამისად, 2017 წლის 19 მაისს შეტანილი სააპელაციო საჩივარი ითვლება გასაჩივრების ვადის დარღვევით შეტანილ სააპელაციო საჩივრად, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 15 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივარი საქართველოს ფოსტას ჩაჰბარდა გასაჩივრების ვადის უკანასკნელ დღეს, 2017 წლის 18 მაისს 16:38 წუთზე, რასაც ადასტურებს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება – საფოსტო უკუგზავნილი, შესაბამისად, არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაშია შეტანილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად,

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამევე კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, ხოლო 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება 2017 წლის 4 მაისს ჩაჰბარდა, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა 5 მაისიდან დაიწყო და 18 მაისს ამოიწურა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილი ვადა გასულად ითვლება, რადგან გზავნილი ხაშურის რაიონულ სასამართლოს ჩაჰბარდა გასაჩივრებისათვის დადგენილ ვადის ამოწურვიდან მეორე დღეს და მიუთითებს, რომ სასამართლომ განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების მიღებამდე, უნდა შეამოწმოს არა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის სასამართლოში დარეგისტრირების თარიღი, არამედ ფოსტით მიღებული გზავნილის შემთხვევაში, ასევე უნდა შემოწმდეს სააპელაციო საჩივრის ფოსტისათვის ჩაბარების თარიღი.

საქმის მასალები ადასტურებს, რომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ სააპელაციო საჩივრის №21-04/72206 მიმართვაზე, სასამართლოს მოხელის მიერ გაკეთდა აღნიშვნა (სარეგისტრაციო ბეჭედიზე) სააპელაციო საჩივრის მიღების თარიღისა და რაოდენობის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ 2017 წლის 19 მაისს 11:35 საათზე, ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ იქნა სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი 13 ფურცლად, 12 ეგზემპლარად, 1 CD დისკით და 1 ფურცლად კონვერტი, შესაბამისად, დგინდება, რომ გზავნილი რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულია ფოსტის მეშვეობით.

გარდა ამისა, კერძო საჩივარს ერთვის საფოსტო უკუგზავნილი, საიდანაც დასტურდება, რომ №21/04/72206 მიმართვით გაგზავნილი სააპელაციო საჩივარი შპს „...“ გადაეცა 2017 წლის 18 მაისს 16:38 საათზე და კურიერმა აღნიშნული გზავნილი ხაშურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2017 წლის 19 მაისს, 11:36 საათზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო უტყუარად დადასტურებულად მიიჩნევს, რომ გზავნილი ფოსტას საპროცესო ვადის ამონურვამდე გადაეცა, ამდენად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 420-ე, მე-60, 61-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განჩინება და საქმე სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეგებებულ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

ბანკინება საქართველოს სახელით

№ბს-83-83(კ-კს-18)

17 აპრილი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-ემ 2016 წლის 30 მარტს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2016 წლის 10 მარტის №1469/0202-23/03-01 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, გ. კ-ის ვეტერანის სტატუსით აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მასზე შესაბამისი მონუმობის გაცემა.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საადვოკატო მომსახურებისათვის ეტაპობრივად გასანევი ხარჯის სახით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ სსიპ ვეტერანების საქმეთა სამსახურისათვის ზიანის სახით 1000 ლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2016 წლის 10 მარტის №1469/0202-23/03-01 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; დაევალა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. კ-ის ვეტერანის სტატუსით აღრიცხვაზე აყვანის თაობაზე და მასზე შესაბამისი მონუმობის გაცემა. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს დაევალა წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული ხარჯის – 200 ლარის მოსარჩელისათვის – გ. კ-ისათვის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად და ამავე განჩინებით მოწინააღმდეგე მხარეს სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარსადგენად განესაზღვრა ვადა, სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარებიდან 10 დღე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივრის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 24 ოქტომბერს 13:00 საათზე.

სააპელაციო საჩივრის ასლი და 2016 წლის 7 ნოემბრის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება გ. კ-ეს ჩაჰბარდა 2017 წლის 17 ოქტომბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 24 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე დასრულდა საქმის განხილვა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 2017 წლის 31 ოქტომბერს.

2017 წლის 26 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა გ. კ-ემ, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის გაუქმება და წარმომადგენლისათვის ეტაპობრივად გასაწევი ხარჯის სახით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ 1000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ პირვანდელი და შეგებებული სააპელაციო საჩივრების განხილვა უნდა მოხდეს ერთდროულად და მიიღება ერთობლივი გადაწყვეტილება. იმ დროისთვის, როდესაც მხარის მიერ წარმოდგენილ იქნა შეგებებული სააპელაციო საჩივარი, სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დასრულებული იყო საქმის ზეპირი მოსმენა და გადადებული იყო მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეს საქმის განსახილველად მომზადების პერიოდში არ წარმოუდგენია შესაგებელი, სადაც შეეძლო დაეფიქსირებინა მოსაზრება შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის თაობაზე. ამასთან, 2017 წლის 24 ოქტომბერს, როცა სასამართლომ განიხილა საქმე ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით და გადაიდო მხოლოდ სარეზოლუციო ნა-

წლის გამოცხადება, სხდომაზეც არ განუცხადებიათ შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენის თაობაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. კ-ის წარმომადგენლის – რ. პ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი, ვერ აკმაყოფილებდა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დასაშვებობის მოთხოვნებს, ვინაიდან შეგებებული სააპელაციო საჩივარი სააპელაციო საჩივრისგან დამოუკიდებლად ვერ განიხილებოდა და 2017 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შეგებებული სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის განჩინებით სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება.

შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2017 წლის 28 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. კ-ემ.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა თავისი უარის საფუძვლად დასახელებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლი, რადგან აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეგებებული სააპელაციო საჩივრის განხილვას დასაშვებად მიიჩნევს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი სარჩელი ან შეგებებული სარჩელი, რასაც განსახილველ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. სარჩელისა და შეგებებული სარჩელისა ერთობლივად განხილვას არ აკისრებს სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტები.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი მის მიერ წარდგენილ იქნა საპროცესო ნორმით დადგენილ 10-დღიან ვადაში, მაშინ როდესაც სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივრის განხილვა ისე დაინიშნა, არ დაელოდა შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენისათვის განსაზღვრულ 10-დღიანი ვადის გასვლას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 თებერვლის განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული გ. კ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო

საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. კ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე და 379-ე მუხლებზე მითითებით განმარტავს, რომ სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. ამასთან, მონინალმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება. მითითებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანონ სააპელაციო საჩივარი, თუმცა ისეთი მხარისათვის, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზით არ სურდა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება ან კანონის მოთხოვნათა დარღვევის გამო არ წარადგინა ძირითადი სააპელაციო პრეტენზია, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ ვადაში შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ნოემბრის განჩინება სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინება გ. კ-ეს ჩაჰბარდა 2017 წლის 17 ოქტომბერს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას გ. კ-ის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე გაკეთებულ განმარტებას, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი წარმოდგენილ იქნა სსკ-ის 379-ე მუხლის საფუძველზე და მხარე სწორედ აღნიშნული მუხლით ითხოვდა მისი სააპელაციო საჩივრის განხილვას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის

თანახმად, მონინალმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, გაცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. იმის გათვალისწინებით, რომ გ. კ-ემ სააპელაციო საჩივარი ჩაიბარა 2017 წლის 17 ოქტომბერს, შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენის ათდღიანი ვადის ათვლა დაიწყო მომდევნო დღეს და დასრულდა 2017 წლის 27 ოქტომბერს 24 საათზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, არ დასტურდება შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის კანონით განსაზღვრული 10-დღიანი ვადის დაუცველობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დაცულობის, შესაბამისად, შეგებებული სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე და 379-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე. შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლები დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლით, კერძოდ, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება. განსახილველ შემთხვევაში სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს უარი სააპელაციო საჩივარზე არ უთქვამს და სააპელაციო საჩივარი განუხილველად არ დატოვებულა, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მიერ შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა, რომელიც დაყენებულია შეგებებული სააპელაციო საჩივრით, მართალია, ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ აისახა, შესაბამისად სააპელაციო პალატას საქმეზე სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებამდე უნდა ესმჯელა წარდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაზე და მხოლოდ მისი არსებითი განხილვისა და სამართლებრივი შეფასების შემდეგ მიელო შეგებებული სააპელაციო საჩივრით დაყენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი, თავისი შინაარსით წარმოადგენს დამოუკიდებელ შეგებებულ სააპელაციო საჩივარს, შესაბამისად, მისი განხილვის შედეგი დამოკიდებული არ არის ძირითადი სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგზე. ამასთან შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მართალია, წარდგენილია საქმის განხილვის დასრულებით

ბის შემდეგ, თუმცა კანონით დადგენილ ათდღიან ვადაში და საქმეზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებამდე, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას განეხილა და არსებითად გადაეწყვიტა შეგებებული სააპელაციო საჩივრით დაყენებული მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. კ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საქმე შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე 189-ე 379-ე, 414-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. გ. კ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საქმე გ. კ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარევიზიო შიშის საპროცესო ვადის დენის დანაშაულის წინაპირობები

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-356-356(კს-18)

28 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-მა 12.01.2017წ. სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის მიმართ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 03.02.2012წ. №... გადაწყვეტილების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური ოფისის 22.04.2016წ. №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

გორის რაიონული სასამართლოს 05.09.2017წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ რ.ს-ე, მ.ი-ი და ი.მ-ა, ხოლო 31.10.2017წ. განჩინებით – რ.ბ-ე.

გორის რაიონული სასამართლოს 29.11.2017წ. გადაწყვეტილებით ა.ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი კასპში, ..., ე.წ. ... მდებარე 800 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (საკარმიდამო) მიწის ნაკვეთის რ.ს-ის საკუთრებაში ... საკადასტრო კოდით რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 03.02.2012წ. №... გადაწყვეტილება ა. ბ-ის მიერ 21.07.2016წ. განცხადებით წარდგენილ საკადასტრო მონაცემებთან ზედდების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი კასპში, ... ქუჩაზე ე.წ. ... მდებარე 866 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთის მ.ი-ის საკუთრებაში ... საკადასტრო კოდით რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონალური ოფისის 22.04.2016წ. № ... გადაწყვეტილება ა.ბ-ის მიერ 21.07.2016წ. განცხადებით წარდგენილ საკადასტრო მონაცე-

მებთან ზედდების ნაწილში.

გორის რაიონული სასამართლოს 29.11.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, ი. მ-ამ და მ.ი-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.01.2018წ. განჩინებით ი.მ-ას და მ.ი-ის სააპელაციო საჩივრები დატოვებულ იქნა განუხილველად. ამავე სასამართლოს ამავე თარიღის განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარზე დადგენილ იქნა ხარვეზი, სააგენტოს დაეკისრა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ 08.01.2018წ. განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შიდა ქართლის რეგიონალურ ოფისს) და ჩაბარდა 17.01.2018წ. შესაბამისად, აპელანტისთვის ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 18.01.2018წ. და დასრულდა 29.01.2018წ.. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია განცხადება განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

კერძო საჩივრის ავტორმა სსკ-ის 59-ე, 63-ე, მე-60, 61-ე მუხლების საფუძველზე აღნიშნა, რომ სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, სააპელაციო სასამართლოს აპელანტისთვის არ გაუგზავნია ხარვეზის დადგენის შესახებ 08.01.2018წ. განჩინება. სააგენტოს გაეგზავნა მხოლოდ ი. მ-ას და მ. ი-ის სააპელაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის 08.01.2018წ. განჩინება, რომელიც სააგენტოს ჩაბარდა 17.01.2018წ.. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება სააგენტოს არ მიუღია.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობისა და კერძო საჩივრის საფუძველია-

ნობის შემონმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სსკ-ის 368.5 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ნორმაში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სსკ-ის 60.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატის 08.01.2018წ. განჩინებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარზე დადგინდა ხარვეზი და სააგენტოს მის შესავსებად მიეცა 10 დღის ვადა ხარვეზის შესახებ განჩინების ასლის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებიდან. ამდენად, ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის დენის დაწყებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ხარვეზის შესახებ განჩინების სააგენტოსათვის ჩაბარება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 08.01.2018წ. სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ იქნა ორი განჩინება: სააგენტოსათვის ხარვეზის დადგენის შესახებ და ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 15.01.2018წ. გაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.01.2018წ. განჩინება. სააპელაციო პალატის გზავნილი არ შეიცავს მითითებას 08.01.2018წ. სააპელაციო პალატის მიერ მიღებული ორივე განჩინების გაგზავნაზე, ასევე არ დგინდება გაგზავნილი განჩინების შინაარსი, გაურკვეველია გაიგზავნა ხარვეზის შესახებ განჩინება თუ სააპელაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება. კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას გაეგზავნა მხოლოდ ფიზიკური პირების სააპელაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება და წარმოდგენილ კერძო საჩივარს ურთავს ი. მ-ასა და მ. ი-ის სააპელაციო საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო პალატის 08.01.2018წ. განჩინების ასლს, რაც სარწმუნოს ხდის კერძო საჩივრის ავტორის მითითებას.

მართალია საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში (სსკ-ის 59.1 მუხ.), თუმცა ვადის დენა იწყება მხო-

ლოდ იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი (სსკ-ის 60.2 მუხ.). უკეთუ ვადის დენის დასაწყისად განსაზღვრული მოვლენის დადგომა – ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ადრესატისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარება, არ დასტურდება, დაუშვებელია ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის ათვლის დაწყება და შემდგომში ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინება და საქმე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, მე-60, 368-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.03.2018წ. განჩინება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. სასამართლოს გარეშე სარჩების ანაზღაურება

სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლისას სასამართლო სარჩების განადილების შეცვლა

განჩინება საქართველოს სასახლით

№ბს-263-261(3კ-კს-16)

17 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 23.04.2015 წ. გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სარჩელი მო-
პასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩულურეთის რაიონის
გამგეობის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო
და საპრეტენზიო კომისიების მიმართ არ დაკმაყოფილდა, რაც სა-
აპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. ს-ის მიერ, რომელმაც მოითხოვა
თბილისის საქალაქო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტი-
ლების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის
სრულად დაკმაყოფილება. ზ. ს-ის მიერ სააპელაციო წესით აგრეთ-
ვე გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-
ციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.2015 წ. საოქმო განჩინება ქ. თბი-
ლისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენ-
ტების საქმეზე დართვის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.03.2015 წ. განჩი-
ნება მოპასუხეების – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ამა-
ვე მერიის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის და ამავე კომისი-
ის საპრეტენზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და
მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ, თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.2015
წ., 02.03.2015 წ., 30.03.2015 წ. საოქმო განჩინებები საქმის ზეპირი
მოსმენით სხვა დროისათვის გადადების თაობაზე, თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.03.2015წ. და 21.04.2015 წ. საოქმო განჩინებები საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოსაცხადებლად სასამართლო სხდომის სხვა დროისათვის გადადების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2016 წ. გადაწყვეტილებით ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ზ. ს-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული საოქმო განჩინებების გაუქმების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.04.2015წ. გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 14.11.2014 წ. №6 ოქმით მიღებული საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საატესტაციო შედეგის არაადამაკმაყოფილებლად მიჩნევის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა ატესტაციის საკონკურსო-საატესტაციო საპრეტენზიო კომისიის 14.11.2014 წ. №1 სხდომის ოქმით მიღებული საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის საჩივრის უარყოფის ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის – ქ. თბილისის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 24.11.2014 წ. №7 სხდომის ოქმით მიღებული შემაჯამებელი საოქმო გადაწყვეტილება ზ. ს-ის თაობაზე საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული საოქმო გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 03.12.2014 წ. №2/77 ბრძანება ზ. ს-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ და დაევალა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისროთ სასამართლო გარეშე ხარჯის სახით, ადვოკატის დახმარებისთვის 600 ლარის ანაზღაურება და პროცესის სხვა ხარჯის 100 ლარის ანაზ-

ლაურება.

20.01.2016 წ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ზ. ს-მა, რომელმაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2016 წ. შემავამებელ გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.2016წ. განჩინებით ზ. ს-ის შუამდგომლობა დამატებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, 37-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ს-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე მონაწილემდეგ მხარისათვის სასამართლოს გარეშე პროცესის ხარჯების ანაზღაურების დაკისრებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.01.2016წ. გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ თანაბარნილად დაეკისრათ სასამართლოსგარეშე ხარჯის სახით, ადვოკატის დახმარებისთვის 600 ლარის ანაზღაურება (თითოეულ ინსტანციაში 300-300 ლარი) და პროცესის სხვა ხარჯის 100 ლარის ანაზღაურება (თითოეულ ინსტანციაში 50-50 ლარი). ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებით იმსჯელა ზ. ს-ის მოთხოვნებზე სასამართლოსგარეშე ხარჯების და პროცესის სხვა ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხზე, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების და დამატებითი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრდა ზ. ს-ის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ შემავამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით მოწინააღმდეგე მხარეებს დაეკისრათ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯების ნაწილი, სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ისე განმარტა

საკითხი, თითქოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეხებოდა ორივე ინსტანციის სასამართლოში განეულ ხარჯებს, რაც არასწორია, ამასთანავე, მხარეს გადაწყვეტილების განმარტება არ მოუთხოვია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებისა და კერძო საჩივრის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 249.5 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. ამავე კოდექსის 261-ე მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი (1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დამატებითი გადაწყვეტილება წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების ხარვეზის შევსების ერთ-ერთი საშუალებას, უკეთეს სასამართლოს არ გადაუწყვეტია რომელიმე მოთხოვნის, უფლების ან სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი, მას აქვს შესაძლებლობა თავისი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების გზით აღმოფხვრას არსებითი გადაწყვეტილების ხარვეზი.

განსახილველ შემთხვევაში ზ. ს-ი დამატებითი გადაწყვეტილების გამომტანას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ სააპელაციო პალატის მიერ სრულად არ არის გადაწყვეტილი პროცესის ხარჯების საკითხი, კერძოდ, სააპელაციო პალატის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯები, სააპელაციო პალატას არ უმჯელია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ამ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან (სსკ-ის 249.1 მუხ.). გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით საბუთდება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე დავის გადაწყვეტის კონკრეტული შედეგის მართლზომიერება, ხოლო კონკრეტული, აღსრუ-

ლების ქვემდებარე, სამართლებრივი შედეგი აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომლის დებულებები გაგებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და სამოტივაციო ნაწილში მითითებული სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 13.01.2016წ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (ბპ. საპროცესო ხარჯები) აღნიშნულია, რომ მოპასუხეებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ადვოკატის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 600 ლარის (300-300 ლარი თითოეული ინსტანციისათვის) და პროცესის სხვა ხარჯის – 100 ლარის (50-50 ლარი თითოეული ინსტანციისათვის) ანაზღაურება, აქვე სასამართლო ასაბუთებს პროცესის დანარჩენი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უსაფუძვლობას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს 13.01.2016წ. გადაწყვეტილება შეიცავს მსჯელობას ორივე ინსტანციის სასამართლოებში განეული პროცესის ხარჯებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-8 პუნქტი სწორედ ამ მსჯელობის შედეგად დამდგარი სამართლებრივი შედეგია. სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეცვლისას, ცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებაასაც, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები ჯამდება და შემდეგ ნაწილდება მხარეთა შორის (სსკ-ის 53-ე მუხ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზ. ს-ის კერძო საჩივარი მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 372-ე, 399-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ზ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.01.2016წ. განჩინება;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული
ხარჯების ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-918-910(კ-16)

11 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 20 იანვარს ა(ა)იპ ... სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლისთვის, სხვა პირის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით, შემდეგი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება მოითხოვა: სკოლის წესდების ასლი; სკოლის შინაგანანგის ასლი; სკოლის ადმინისტრაციის, ასევე სკოლის პედაგოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლები, ასევე, ამ გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების, მოხსენებითი ბარათებისა და ანგარიშების ასლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული და ადაპტირებული ღონისძიებების და კლასგარეშე აქტივობების ამსახველი დოკუმენტების ასლები 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლების საორიენტაციო პერიოდში; სკოლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემები; სკო-

ლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების ან სამსახურებრივი მოხსენებითი ბარათების ასლები; სკოლის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საქმიანობის მიზნით გამოყოფილი დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები; სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობის არჩევის/გადარჩევის დოკუმენტების ასლები, ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სხდომის ოქმების ან მოხსენებითი ბარათების, ასევე, ღონისძიების ამსახველი დოკუმენტების ასლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 21 აპრილის სხდომაზე მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლისთვის სკოლის შინაგანაწესის ასლის გაცემის დავალების ნაწილში შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოსთვის, სხვა პირის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით, შემდეგი საჯარო ინფორმაციის გადაცემა დაევალა: სკოლის წესდების ასლი; სკოლის ადმინისტრაციის, ასევე სკოლის პედაგოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლები, ასევე ამ გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების, მოხსენებითი ბარათებისა და ანგარიშების ასლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული და ადაპტირებული ღონისძიებების და კლასგარეშე აქტივობების ამსახველი დოკუმენტების ასლები 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლების საორიენტაციო პერიოდში; სკოლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემები; სკოლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი

თი და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების ან სამსახურებრივი მოხსენებითი ბარათების ასლები; სკოლის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საქმიანობის მიზნით გამოყოფილი დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები; სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობის არჩევის/გადარჩევის დოკუმენტების ასლები, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სხდომის ოქმების ან მოხსენებითი ბარათების, ასევე ღონისძიების ამსახველი დოკუმენტების ასლები. ამასთან, სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარი, მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 4 იანვარს ა(ა)იპ ... სააგენტომ განცხადებით მიმართა სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა ელექტრონული ფორმით შემდეგი საჯარო ინფორმაციის მიწოდება: 1) სკოლის წესდების ასლი; 2) სკოლის შინაგანაწესის ასლი; 3) სკოლის ადმინისტრაციის, ასევე, სკოლის პედაგოგთა და დამხმარე პერსონალის უფლებებისა და სამსახურებრივი მოვალეობების განაწილების, საათობრივი დატვირთვის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები; 4) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში შემუშავებული და დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ასლები, ასევე, ამ გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების, მოხსენებითი ბარათებისა და ანგარიშების ასლები; 5) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გათვალისწინებული და ადაპტირებული ღონისძიებების და კლასგარეშე აქტივობების ამსახველი დოკუმენტების ასლები 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლების საორიენტაციო პერიოდში; 6) სკოლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სტატისტიკური მონაცემები; 7) სკოლის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სკოლისგარეშე ან კლასგარეშე საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტების ან სამსახურებრივი მოხსენებითი ბარათების ასლები; 8) სკოლის 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში შეზ-

ლუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საქმიანობის მიზნით გამოყოფილი დაფინანსების შესახებ ინფორმაცია და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები; 9) სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის შემადგენლობის არჩევის/გადარჩევის დოკუმენტების ასლები, ასევე, მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ 2009, 2010, 2011, 2012, 2013 და 2014 წლებში ჩატარებული სხდომის ოქმების ან მოხსენებითი ბარათების, ასევე, ღონისძიების ამსახველი დოკუმენტების ასლები.

სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის 2016 წლის 14 იანვრის №MES 0 16 00025872 წერილით ა(ა)იპ ... სააგენტოს ეცნობა, რომ სკოლის წესდება განთავსებული იყო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ინტერნეტგვერდზე. ამასთან, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია შიდაუწყებრივი ხასიათის იყო და შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, რის გამოც სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლა მოკლებული იყო ა(ა)იპ ... სააგენტოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარჩელო მოთხოვნის მიზანია სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლისთვის მის მიერ 2016 წლის 4 იანვრის განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალევა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხეს კანონით დადგენილ ვადაში საჯარო ინფორმაცია არ გაუცია – 2016 წლის 14 იანვრის წერილით მან ა(ა)იპ ... სააგენტოს აცნობა, რომ სკოლის წესდება განთავსებული იყო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ინტერნეტგვერდზე, ხოლო განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი სხვა დოკუმენტაცია შიდაუწყებრივი ხასიათის იყო და შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს, რის გამოც სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლა მოკლებული იყო ა(ა)იპ ... სააგენტოს მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სასამართლომ მიუთითა, რომ ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციური პრინციპი – საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაცენოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთე-

ლობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სასამართლოს განმარტებით, ინფორმაციის თავისუფლებას, როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას, საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფორმაციის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის. ამასთან ერთად, დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან ინფორმაციის მიღება ექვემდებარება კანონისმიერ მონესრიგებას. პირად მონაცემებზე უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. გამჭვირვალობის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განისაზღვრა ინფორმაცია, რომლის ღიაობა არ აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებული იყო არ გაეხმაურებინა პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. სასამართლომ განმარტა, რომ პერსონალური მონაცემების

დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მისი აგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმზე, რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ან თუ პირი თავად არ ახდენს მონაცემის გახმაურებას. პერსონალური მონაცემი არის პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი საშუალება. პერსონალური მონაცემის დაცვაში საბოლოოდ პრიორიტეტი ენიჭება არა მგრძობიარობის, არამედ იდენტიფიკაციის კრიტერიუმს – მონაცემი დაცვას ექვემდებარება, რამეთუ შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია შეიცავს სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს, თუმცა, ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე საჯარო ინფორმაციის გაცემას მოითხოვდა დეპერსონიზებული წესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ის გარემოება, რომ საჯარო ინფორმაცია შეიცავს პირთა პერსონალურ მონაცემებს, ვერ გახდება ინფორმაციის გაცემაზე სრულად უარის თქმის საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლა ვალდებული იყო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაეცა სხვა პირის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით.

სასამართლოს განმარტებით, თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. როგორც აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების სუბიექტად საჯარო დაწესებულებას მიიჩნევს მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაციის მიმართ. საჯარო ინფორმაციის ამგვარი სახით არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მის მომთხოვნზე გასცეს იგი სრულყოფილი სახით, მის მიერ არჩეული საჯარო ინფორ-

მაციის მიღების ფორმით.

სასამართლომ მიუთითა „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებაზე, რომლის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება ადმინისტრაციულ ორგანოს არ ათავისუფლებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან. იმავე წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელეს ეცნობა, რომ მის მიერ განცხადებით მოთხოვნილი ერთ-ერთი საჯარო ინფორმაცია – სკოლის წესდება, განთავსებული იყო საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ინტერნეტგვერდზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მასზედ, რომ სხენებული ინფორმაციის განმცხადებლისთვის მიწოდებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ ... სააგენტოს მოთხოვნა სკოლის წესდების ელექტრონული ასლის მიწოდების თაობაზე. სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება, ანუ შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ რესურსზე განთავსება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის, აგრეთვე „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისაგან. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველას აქვს უფლება აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, მოსარჩელეს კი საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმად – საჯარო ინფორმაციის გაცემა, შესაბამის ვებგვერდზე მითითებით, არ მოუთხოვია. განმცხადებელი საჯარო ინფორმაციის მიღებას მოითხოვდა ელექტრონულ ფოსტაზე ელექ-

ტრონული ფორმით, სკანირებული სახით.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია მხარეთა შორის ხარჯების განაწილების წესი. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, აგრეთვე, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი და სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოდასახელებულ გარემოებებთან ერთად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს აქვს იურიდიული განყოფილება, მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის წინააღმდეგ საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, წარმომადგენლობითი მომსახურების ხელშეკრულება დადო სხვა კომპანიასთან – „...“, კონკრეტულად, ა(ა)იპ ... სააგენტოს სახელით სასამართლოში საქმის წარმოების უფლება მიეცა ბიუროს იურისტს – გ. ტ-ს, რომელიც, იმავდროულად, არის სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას მოსარჩელე ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა

მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ... სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისთვის მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული 400 ლარის ოდენობით ხარჯის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლისთვის განეული ხარჯის – 400 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 19 იანვარს „...“ და ა(ა)იპ ... სააგენტოს შორის გაფორმებული იქნა წარმომადგენლობითი მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლითაც წარმომადგენლის მომსახურების ოდენობა განისაზღვრა 550 ლარით. ა(ა)იპ ... სააგენტოს 2016 წლის 19 იანვარს „...“ გადარიცხული აქვს 550 ლარი წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარისათვის განეული ხარჯის – 400 ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სა-

სამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურება მონინაალმდევე მხარეს შესაძლოა დაეკისროს 2 000 ლარამდე ოდენობით. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე ან სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-1330-1315(კ-11) საქმეზე 2012 წლის 9 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილებით „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოსგარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ განეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია“.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ განეული შრო-

მის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა ან თუნდაც წარმომადგენლობა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ქველმოქმედების სახით. საქმეში „ფადეევა, რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) სასამართლომ ადვოკატის მომსახურებისათვის ხარჯის დაკისრებასთან დაკავშირებით განმარტა, „სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასსა და მის ადვოკატებს შორის დადებული რაიმე წერილობითი ხელშეკრულება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. ხელშეკრულება იუ-რდიული, საკონსულტაციო-საადვოკატო მომსახურების განწვევის შესახებ შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც და არაფერი აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო განმცხადებელსა და წარმომადგენლების შემთხვევაში. მაშასადამე, ადვოკატების ჰონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რეალურია. ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ ეკისრებოდა ამ თანხების წინასწარ გადახდის მოვალეობა“.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე დასტურდება, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს 2016 წლის 19 იანვარს „...“ გადარიცხული აქვს 550 ლარი წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივად განუული ხარჯის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის განუული ხარჯის 400 (ოთხასი) ლარის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება საკაცო წესით გაასაჩივრა სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ეხება სასამართლოს მიერ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საკითხს. რაც შეეხება მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს, კასატორის განმარტებით, განსაზღვრულია სა-

ქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით.

კასატორისთვის გაურკვეველია გ. ტ-ის ბიუროს სამართლებრივი ფორმა და მიუთითებს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. კერძოდ, ადვოკატს უფლება აქვს საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამენარმეო იურიდიული პირის სახით. საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს. ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საადვოკატო ბიუროს მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა და სამართლის ის დარგები, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე მოძიებულ იქნა საადვოკატო ფირმები და აღნიშნული ბიურო არ ფიქსირდება როგორც საადვოკატო ბიურო.

კასატორის მითითებით, საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით და აგრეთვე სასამართლო პროცესებზე გ. ტ-ის აღიარებით უტყუარად დასტურდება, რომ გ. ტ-ი არ არის ადვოკატი, შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან არასწორადაა შეფასებული ამ უკანასკნელისათვის, როგორც ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხი.

ამასთან, სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებასა და ასევე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, განმარტებულია ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, რის გამოც კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის მოყვანას განსახილველ საქმესთან კავშირში.

კასატორის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლი გასაზღვრავს სასამართლო ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს, აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე სხვა აუცილებელი ხარჯები. კასატორის მითითებით, ვინაიდან უტყუარად დასტურდება, რომ ტ-ი არ არის ადვოკატი,

შესაბამისად სასამართლოს არ უმსჯელია თუ რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული თანხა სხვა აუცილებელ ხარჯებს. საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა გადაწყვეტილებაში არ არის წარმოდგენილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლოს მიერ არასათანადოდ იქნა შეფასებული აღნიშნული გარემოება.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მიერ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, არ მომხდარა მტკიცებულებების შეფასება, რამაც გამოიწვია ის, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა 400 ლარის – როგორ ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული თანხის დაკისრება, რის შედეგადაც საქმეზე მიღებულ იქნა უკანონო გადაწყვეტილება.

ამასთან, კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლით განსაზღვრულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები, რომელიც ადგენს შემდეგს: 1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან მეტი ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა; 2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც; 3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მონესრიგდეს მისი წესდებით, რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამონმებას; არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები.

კასატორის მითითებით, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ა(ა)იპ ... სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გ. ტ-ი, რომელიც ა(ა)იპ-ის დებულების მიხედვით წარმოადგენს სააგენტოს უფროსს (იხ. დებულება). დებულების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უმაღლეს მმართველობითი და ასევე წარმომადგენლობითი

თი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომელიც გადანყვეტილებებს იღებს ერთპირობულად. დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფროსის ფუნქციები, კერძოდ, სააგენტოს უფროსი წარმოადგენს სააგენტოს, ყველა ინსტანციის სასამართლო და ადმინისტრაციულ, ასევე საგამოძიებო და საერთაშორისო ირგანიზაციებში, თუ მის მიერ არ არის გაცემული შესაბამისი დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეთა მიმართ ზემოთ მოცემული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე.

კასატორის მითითებით, გ. ტ-ს არ გაუცია დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეებზე – წარმოედგინათ სააგენტოს ინტერესები სასამართლოში. გ. ტ-ი ითხოვს სააგენტოს იმ წარმომადგენლობაზე განუღებოს ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწია სასამართლოში და რაც მისი, როგორც სააგენტოს უფროსის უშუალო ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახეზე გვაქვს იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განუღებოს ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის „იურიდიული დახმარება“, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელი პირობა.

კასატორი აქვე აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს თავმჯდომარე – გ. ტ-ი და გ. ტ-ის ბიუროს წარმომადგენელი – გ. ტ-ი ერთი და იგივე პიროვნებაა. კასატორის მითითებით, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სარჩელის დავის საგანი, თავისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება იმგვარ დავათა კატეგორიას, რომელზეც აუცილებელია კვალიფიცირებული საადვოკატო მომსახურების ან/და წარმომადგენლობის განევა, შესაბამისად წარმომადგენლობითი ხარჯის განევის აუცილებლობა საჭიროებას არ წარმოადგენდა. გ. ტ-ს, როგორც სააგენტოს თავმჯდომარეს შეეძლო რომ წარმოედგინა სააგენტო სასამართლო პროცესზე და დამატებითი ხარჯი არ გაეღო ამისთვის.

კასატორის მითითებით, აღნიშნული საქმე სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ა(ა)იპ ... სააგენტოს მიერ მსგავსი შინაარსის საქმეზე 100-მდე სარჩელია აღძრული. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გ. ტ-ი ბოროტად იყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, იგი სკოლებისაგან ითხოვს განსაკუთრებით დიდი მოცულობის ინფორმაციას, რომლის დამუშავება/მოძიება დაკავშირებულია ხანგრძლივ პერიოდთან, ხშირ

შემთხვევებში სკოლები ვერ ახერხებენ დაცვან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი 10-დღიანი ვადა. მიუხედავად იმისა, რომ ტ-ი მოქმედებს თითქოს და კანონის სრული დაცვით, აშკარაა, რომ მის მიერ შემუშავებული გეგმა – საჯარო სკოლებისგან თანხების მითვისებასთან დაკავშირებით ერთგვარ „შემოსავლის წყაროდ“ არის გამხდარი.

კასატორის მოსაზრებით, აგრეთვე უტყუარად არ დასტურდება, რამდენად ავთენტურია საქმეში წარმოდგენილი ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი და რეალურად მოახდინა თუ არა ტ-მა კონკრეტული ხარჯის განწევა.

ამასთან, კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა მოსარჩელე მხარის ქონებრივი მდგომარეობა, საქმის სირთულე და შინაარსი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 თებერვლის განჩინებით სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექ-

სის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

წარმოდგენილი სარჩელით ა(ა)იპ ... სააგენტომ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლისთვის, სხვა პირის პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფით, საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალება მოითხოვა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა 50 ლარი, მოსარჩელის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისთვის მის მიერ წარმომადგენლის დახმარების გამო განეული ხარჯის – 400 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

დაურების დაკისრება მოითხოვა; ხოლო სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებია. სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლა სადავოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლისთვის განეული ხარჯის – 400 ლარის ანაზღაურება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლისთვის ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს. ამასთან, საკასაციო სასამართლო სადავო საკითხის გადაწყვეტისას შეზღუდულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების ფარგლებით, რომლითაც სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ასანაზღაურებლად დაეკისრა 50 ლარი, ვინაიდან აღნიშნული გადაწყვეტილება სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას არ გაუსაჩივრებია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოსგარეშე ხარჯებს.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გამოთვლის წესი, რომელიც უნდა იყოს გონივრული და შეესაბამებოდეს დავის საგნის ღირებულებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლო-

დაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

ამდენად, მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს ქონებრივი და არაქონებრივი დავის დროს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც უნდა დაეკისროს მეორე მხარეს. ამასთან, მხარისათვის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების დაკისრებისას, აუცილებელია, შეფასება მიეცეს ამგვარი ხარჯის განევის აუცილებლობას და საჭიროებას, პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ამგვარი ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვს ე.ი. უნდა შეფასდეს ფაქტობრივი საფუძველი, რაც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების აუცილებლობას, მით უფრო იმ ოდენობით, რომელსაც მხარე მოითხოვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ქმნის, როგორც მხარე მოითხოვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, ასევე, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში აქცევს (ზღუდავს) სამართალწარმოების ხარჯზე, მეორე მხარისაგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

განსახილველ შემთხვევაში კასაციის ძირითად მოტივს სწორედ ის გარემოება წარმოადგენს, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს თავმჯდომარე – გ. ტ-ი და „...“ წარმომადგენელი – გ. ტ-ი ერთი და იგივე პიროვნებაა, რომლის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა სააგენტოს წარმომადგენლობა, ამასთან, კასატორის მტკიცებით, აღნიშნული ბიურო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე მოძიებული ინფორმაციით, არ ფიქსირდება როგორც საადვოკატო ბიურო და გ. ტ-ი არ არის ადვოკატი.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლით განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები, რომლის თანახმად, 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძლოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი

პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა; 2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც; 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამონშებას; 4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ამონაწერზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის თანახმად, ა(ა)იპ ... სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია გ. ტ-ი (იხ. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან), რომელიც წარმოადგენს სააგენტოს უფროსს.

ამასთან, ... სააგენტოს დებულების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უმაღლეს მმართველობითი, ასევე წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომელიც გადანყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად. დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფროსის ფუნქციები, კერძოდ, სააგენტოს უფროსი: ახორციელებს სააგენტოს მართვას; წარმოადგენს სააგენტოს მე-სამე პირებთან ურთიერთობაში და სხვ. ამავე მუხლის მე-2¹ პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფროსი წარმოადგენს სააგენტოს, ყველა ინსტანციის სასამართლო და ადმინისტრაციულ, ასევე საგამოძიებო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუ მის მიერ არ არის გაცემული შესაბამისი დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეთა მიმართ ზემოთ მოცემული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე.

ამდენად, ა(ა)იპ ... სააგენტოს კანონისმიერ წარმომადგენელს სააგენტოს უფროსი – გ. ტ-ი წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში გ. ტ-ი ითხოვს სააგენტოს იმ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწავლია სასამართლოში და რაც მისი, როგორც სააგენტოს უფროსის (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) უშუალო კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახეზეა იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის „იურიდიული დახმარება“, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელი პირობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ... სააგენტოს დებულების მე-3 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სააგენტოს სტრუქტურა, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია იურიდიული განყოფილება; ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სააგენტოს სრულ იურიდიულ მომსახურებას, წარმოადგენს სააგენტოს სასამართლო, საგამოძიებო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ადგენს სააგენტოს უფროსის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს, ახორციელებს კანონით და სააგენტოს უფროსის ბრძანებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სააგენტოს უფროსს – გ. ტ-ს არ გაუცია დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეზე – წარმოედგინა სააგენტოს ინტერესები სასამართლოში. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელემ ა(ა)იპ ... სააგენტომ სასამართლოში წარმომადგენლობით უფლებამოსილება მიანიჭა „...“ (ს/კ ...), რომლის იურისტს თავად გ. ტ-ი წარმოადგენს. ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს აქვს იურიდიული განყოფილება, მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის № 147 საჯარო სკოლის წინააღმდეგ საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა სხვა კომპანიას – „...“, კერძოდ, ა(ა)იპ ... სააგენტოს სახელით სასამართლოში საქმის წარმოების უფლება მიეცა ბიუროს იურისტს – გ. ტ-ს, რომელიც, იმავდროულად, არის სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების საფუძველი. სააგენტოს უფ-

როსმა – გ. ტ-მა განახორციელა მასზე დაკისრებული სააგენტოს წარმომადგენლობის კანონისმიერი ვალდებულება, რის გამოც მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ „...“ არ წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ საადვოკატო ბიუროს, ხოლო თავად გ. ტ-ი არ არის განვერიანებული ადვოკატთა ასოციაციაში.

ამასთან, ზემოაღნიშნული მსჯელობა ეჭვქვეშ არ აყენებს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, არამედ სააგენტოს უფროსის მიერ მასზე კანონით დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. სსიპ ქ. თბილისის №147 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების დაკისრების საფუძველიანობა

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-294-292(კ-17)

19 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ა(ა)იპ ... სააგენტომ 2016 წლის 20 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის მიმართ. მოსარჩელემ სარჩელის არაერთგზის დაზუსტების შემდეგ საბოლოოდ მოპასუხისათვის ააიპ ... სააგენტოსათვის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლის წესდების ასლის ელექტრონული ფორმით გადაცემა და მოსარჩელის მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯის – წარმომადგენლობით მომსახურების – 550 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოსარჩე-

ლის ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლას დაევალა ა(ა)იპ ... სააგენტოს გადასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, კერძოდ, სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის წესდების ასლი ელექტრონული ფორმით; მოსარჩელეს უარი ეთქვა წარმომადგენლობით მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმომადგენლობითი მომსახურების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა(ა)იპ ... სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ... სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის წარმომადგენლობით მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლას ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა, ამ უკანასკნელის მიერ წარმომადგენლისთვის განეული ხარჯის – 500 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სარჩელის დავის საგანი, თავისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება იმგვარ დავათა კატეგორიას, რომელზეც აუცილებელია კვალიფიცირებული საადვოკატო მომსახურების განევა. ამგვარი მსჯელობა სურათს წარმოაჩენს იმგვარად, რომ სხვა შემთხვევაში, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დავა არ არის რთული კატეგორიის და მასზე აუცილებელი არაა ადვოკატის მომსახურების განევა, პალატის მოსაზრებით, გამოიწვევს მხარის უფლების შეზღუდვას, სასამართლოში წარმოდგენილი იყოს კვალიფიცირირებული ადვოკატით, ნებისმიერ (რთულ თუ ისეთ დავებზე, რომელიც სასამართლოს აზრით, არ განეკუთვნება რთულ დავათა კატეგორიას) საქმეზე. შესაბამისად, ვერ იქნება რეალიზებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, მეორე მხარისათვის დაკისრება, სასამართლოს მიერ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფ-

ლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადვოკატის მომსახურებისთვის განეული ხარჯების ანაზღაურება მოწინააღმდეგე მხარეს შესაძლოა დაეკისროს 2 000 ლარამდე ოდენობით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს. ასეთი წესი ქმნის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქმის მოცულობა, მისი ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე ან სხვა ისეთი გარემოებები, რომლებიც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გონივრულ ფარგლებს და სასამართლო არ უნდა შეუდგეს იმის მტკიცებას, რომ დავის კატეგორიიდან გამომდინარე, საქმეზე საერთოდ არ იყო საჭირო ადვოკატის მომსახურების განევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-1330-1315(კ-11) საქმეზე 2012 წლის 9 თებერვალს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებსა და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოსგარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ განეული ხარჯების ოდენობა, თუკი ამკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია“.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ განეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა ან თუნდაც წარმომადგენლობა განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, ქველმოქმედების სახით. საქმეში „ფადეევა, რუსეთის წინააღმდეგ“ (Fadeyeva v. Russia) სასამართლომ ადვოკატის მომსახურებისათვის ხარჯის დაკისრებასთან დაკავშირებით განმარტა, „სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია მასსა და მის ადვოკატებს შორის დადებული რაიმე წერილობითი ხელშეკრულება. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს. ხელშეკრულება იურიდიული, საკონსულტაციო-საადვოკატო მომსახურების განევის შესახებ შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც და არაფერი აჩვენებს, რომ ეს ასე არ იყო განმცხადებელსა და წარმომადგენლების შემთხვევაში. მაშასადამე, ადვოკატების ჰონორარები ანაზღაურებადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და რეალურია. ამ დასკვნაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ განმცხადებელს არ ეკისრებოდა ამ თანხების წინასწარ გადახდის მოვალეობა“.

საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ა(ა)პ ... სააგენტოს 2016 წლის 19 იანვარს, „... ბიუროსათვის“ გადარიცხული აქვს – 550 ლარი წარმომადგენლობითი მომსახურებისათვის.

პალატამ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულების გათვალისწინებით, სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლას ა(ა)პ ... სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის განეული ხარჯის 500 (ხუთასი) ლარის ანაზღაურება.

იმ პირობებში, როცა საცილოდ არავის გაუხდია დავალების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია სააგენტოსა და გ. ტ-ს შორ-

რის, იმაზე აპელირებით, რომ გ. ტ-ი ერთი და იგივე პერსონაა, მონინალმდევე მხარისათვის ადვოკატისათვის განეული ხარჯის მეორე მხარისათვის დაკისრების უსაფუძვლოდ მიჩნევა დაუსაბუთებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლამ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ მართალია, სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით, თუმცა არასწორად განმარტა იგი. მაშინ, როცა მითითებული ნორმა განსაზღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს ქონებრივი და არაქონებრივი დავის დროს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა, რომელიც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს, მაგრამ იმისათვის რომ მხარისათვის მისი დაკისრება მოხდეს, აუცილებელია შეფასება მიეცეს ამგვარი ხარჯების განევის აუცილებლობას და საჭიროებას, პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ამგვარი ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვს ე.ი. უნდა შეფასდეს ფაქტობრივი საფუძველი, რაც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების

აუცილებლობას, მით უფრო იმ ოდენობით (იგულისხმება, ფაქტობრივ-სამართლებრივი სირთულე, საქმის მნიშვნელობა და სხვა), რომელსაც მხარე მოითხოვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა და წესი ქმნის, როგორც წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, ასევე კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში აქცევს (ზღუდავს) სამართალწარმოების ხარჯზე, მეორე მხარისაგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლით განსაზღვრულია ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები, რომელიც ადგენს შემდეგს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოწვევას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

კასატორი მიუთითებს, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ა(ა)იპ ... სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გ. ტ-ი, რომელიც ა(ა)იპ-ის დებულების გათვალისწინებით წარმოადგენს სააგენტოს უფროსს. დებულების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უმაღლეს მმართველობითი, ასევე წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად.

დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფროსის ფუნქციები. კერძოდ, სააგენტოს უფროსი ახორციელებს: სააგენტოს მართვას, წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირებთან ურთიერთობაში და სხვა. იმავე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფროსი წარმოადგენს სააგენტოს ყველა ინსტანციის სასამართლო და ადმინისტრაციულ, ასევე საგამოძიებო და საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ მის მიერ არ არის გაცემული შესაბამისი დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეთა მიმართ ზემოთ მოცემული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. დადგენილია, რომ გ. ტ-ს არ გაუცია დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეზე – წარმოედგინა სააგენტოს ინტერესები სასამართლოში. ასევე დადასტურებულია, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელმა – გ. ტ-მა ყველა ინსტანციის სასამართლოში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო წარმომადგენლობით უფლებამოსილება მიანიჭა „... ბიუროს“, რომლის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსაც თვითონ წარმოადგენს. გ. ტ-ი ითხოვს სააგენტოს იმ „წარმომადგენლობაზე“ განეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწია სასამართლოში და რაც მისი, როგორც სააგენტოს უფროსის (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) უშუალო (სააგენტოს მიზნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე დებულებით განსაზღვრულ) ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახეზეა იმ „პირის“ მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის „იურიდიული დახმარება“, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების აუცილებელი პირობა.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მხარე გადახდისუუნაროა და საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ამ საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა მიზანშეწონილია, სასამართლოს უფლება აქვს, აღნიშნული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23⁻-ე მუხლით დადგენილ ფარგლებში დანიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. სასამართლომ გადაწყვეტილების 4.2.1 პუნქტში არასწორად მიუთითა, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს 2016 წლის 19 იანვარს, „... ბიუროსთვის გადარიცხული აქვს 550 ლარი წარმომად-

გენლობითი მომსახურებისათვის. ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილია ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს არა გადარიცხვას, არამედ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებას, მომხმარებლის ტერიტორიაზე (სახლში, ორგანიზაციებში, სანარმოებში), „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კასატორი მიუთითებს, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განვირინებულობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. დადასტურებულია, რომ „... ბიუროს“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – გ. ტ-ი არ არის ადვოკატი. აქედან გამომდინარე, უტყუარად დასტურდება, რომ მოთხოვნილი თანხა არ წარმოადგენს ადვოკატისთვის განეულ ხარჯებს. ამასთან, მართალია, როგორც სააპელაციო სასამართლო უთითებს, სსიპ ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლას ამ ეტაპზე საცილოდ არ გაუხდია დავალების ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია სააგენტოსა და ... ბიუროს შორის, ცალსახაა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების მხარეებად ერთი და იგივე პიროვნება ფიგურირებს, რაც თავისთავად ბადებს ეჭვს, რომ ხელშეკრულება არის მოჩვენებითი გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგი მოჰყვეს. ვინაიდან, გ. ტ-ი არის როგორც სააგენტოს წარმომადგენელი (თავმჯდომარე), ასევე ბიუროს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, მოთხოვნილი წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება არ წარმოადგენს აუცილებელ ხარჯს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ივნისის განჩინებით სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასამ-

ვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული

ლი პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი დაკმაყოფილდა და სსიპ ქ. თბილისის №130 სკოლას დაევალა ა(ა)იპ ... სააგენტოს გადასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის №130 საჯარო სკოლის წესდების ასლი ელექტრონული ფორმით, სსიპ ქ. თბილისის №130 სკოლის მიერ არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლისთვის ა(ა)იპ ... სააგენტოს სასარგებლოდ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯის – 550 ლარის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ადვოკატისათვის განეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია წარმომადგენლის დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობის გამოთვლის წესი, რომელიც უნდა იყოს გონივრული და შეესაბამებოდეს დავის საგნის ღირებულებას. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. შესაბამისად, მითითებული ნორმა განსაზღ-

ღვრავს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯების იმ ოდენობის მაქსიმუმს, რომელიც შეიძლება დაეკისროს მეორე მხარეს ქონებრივი და არაქონებრივი დავის დროს. ამ მაქსიმუმის ფარგლებში სასამართლოს შეუძლია, თავისი შეხედულებით, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯების ოდენობა, რომელიც უნდა დაეკისროს მეორე მხარეს. ამასთან, მხარისათვის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯების დაკისრებისას, აუცილებელია შეფასება მიეცეს ამგვარი ხარჯის განევის აუცილებლობას და საჭიროებას, პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ამგვარი ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვს ე.ი. უნდა შეფასდეს ფაქტობრივი საფუძველი, რაც განაპირობებს წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯის ანაზღაურების აუცილებლობას, მით უფრო იმ ოდენობით, რომელსაც მხარე მოითხოვს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ქმნის, როგორც წარმომადგენლის დახმარებისათვის განუყოფელი ხარჯების ოდენობის ხელოვნურად გაზრდის დაბრკოლებას, ასევე, კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში აქცევს (ზღუდავს) სამართალწარმოების ხარჯზე, მეორე მხარისაგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას, რაც იცავს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც ამ ხარჯის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

განსახილველ შემთხვევაში კასაციის ძირითად მოტივს სწორედ ის გარემოება წარმოადგენს, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს თავმჯდომარე – გ. ტ-ი და „... ბიუროს“ წარმომადგენელი – გ. ტ-ი ერთი და იგივე პიროვნებაა, რომლის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა სააგენტოს წარმომადგენლობა, ამასთან, კასატორის მტკიცებით, აღნიშნული ბიურო, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე მოძიებული ინფორმაციით, არ ფიქსირდება როგორც საადვოკატო ბიურო და გ. ტ-ი არ არის ადვოკატი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლით განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხები, რომლის თანახმად, 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა; 2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერ-

ციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც; 3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მონესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამონშებას; 4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ამონაწერზე მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის თანახმად, ა(ა)იპ ... სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია გ. ტ-ი (იხ. ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან), რომელიც წარმოადგენს სააგენტოს უფროსს. ამასთან, ... სააგენტოს დებულების მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უმაღლეს მმართველობითი, ასევე წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირია სააგენტოს უფროსი, რომელიც გადანყვეტილებებს იღებს ერთპიროვნულად. დებულების მე-4 მუხლით განსაზღვრულია სააგენტოს უფროსის ფუნქციები, კერძოდ, სააგენტოს უფროსი: ახორციელებს სააგენტოს მართვას; წარმოადგენს სააგენტოს მესამე პირებთან ურთიერთობაში და სხვ. ამავე მუხლის მე-2¹ პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფროსი წარმოადგენს სააგენტოს ყველა ინსტანციის სასამართლო და ადმინისტრაციულ, ასევე საგამოძიებო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, თუ მის მიერ არ არის გაცემული შესაბამისი დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეთა მიმართ ზემოთ მოცემული უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე. ამდენად, ა(ა)იპ ... სააგენტოს კანონისმიერ წარმომადგენელს სააგენტოს უფროსი – გ. ტ-ი წარმოადგენს.

განსახილველ შემთხვევაში გ. ტ-ი ითხოვს სააგენტოს იმ წარმომადგენლობაზე განეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მან გასწია სასამართლოში და რაც მისი, როგორც სააგენტოს უფროსის (ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის) უშუალო კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა. ამდენად, სახეზეა იმ პირის მიერ წარმომადგენლობაზე განეული ხარ-

ჯის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელმაც კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე სააგენტოს ინტერესების დაცვის მიზნით წარმომადგენლობითი უფლებამოსილება განახორციელა სასამართლოში. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის „იურიდიული დახმარება“, როგორც ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელი პირობა.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს ... სააგენტოს დებულების მე-3 მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სააგენტოს სტრუქტურა, კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია იურიდიული განყოფილება; ამავე მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს სააგენტოს სრულ იურიდიულ მომსახურებას, წარმოადგენს სააგენტოს სასამართლო, საგამოძიებო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, ადგენს სააგენტოს უფროსის მიერ მისაღები გადაწყვეტილებების პროექტებს, ახორციელებს კანონით და სააგენტოს უფროსის ბრძანებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ სააგენტოს უფროსს – გ. ტ-ს არ გაუცია დავალება სააგენტოს სხვა მოსამსახურეზე – წარმოდგინა სააგენტოს ინტერესები სასამართლოში. ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელემ ა(ა)იპ ... სააგენტომ სასამართლოში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა „... ბიუროს“ (ს/კ ...), რომლის იურისტს თავად გ. ტ-ი წარმოადგენს. ამდენად, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ა(ა)იპ ... სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს აქვს იურიდიული განყოფილება, მოსარჩელემ სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის წინააღმდეგ საქმის სასამართლოში წარმოების მიზნით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მიანიჭა სხვა კომპანიას – „... ბიუროს“, კერძოდ, ა(ა)იპ ... სააგენტოს სახელით სასამართლოში საქმის წარმოების უფლება მიეცა ბიუროს იურისტს – გ. ტ-ს, რომელიც, იმავდროულად, არის სააგენტოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ვლინდება წარმომადგენლის დახმარებისათვის განუვლი ხარჯების ანაზღაურების საფუძველი. სააგენტოს უფროსმა – გ. ტ-მა განახორციელა მასზე დაკისრებული სააგენტოს წარმომადგენლობის კანონისმიერი ვალდებულება, რის გამოც მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ „... ბიუროს“ არ წარმოადგენს კანონით დადგენილი წესით რეგისტრი-

რებულ საადვოკატო ბიუროს, ხოლო თავად გ. ტ-ი არ არის განეწერიანებული ადვოკატთა ასოციაციაში. ამასთან, ზემოაღნიშნული მსჯელობა ეჭვქვეშ არ აყენებს მხარის მიერ წარმომადგენლის დახმარებისათვის განეწული ხარჯების ანაზღაურებას. საკასაციო სამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა წარმომადგენლის დახმარებისათვის განეწული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, არამედ სააგენტოს უფროსის მიერ მასზე კანონით დაკისრებული კანონისმიერი ვალდებულების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეწული ხარჯების – 550 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. სსიპ ქ. თბილისის №130 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა(ა)იპ ... სააგენტოს სარჩელი წარმომადგენლის დახმარებისათვის განეწული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასამართლო სარეგისტრაციო განყოფილება
ბათუმის უფლებების პირი**

**განჩინება
საქართველოს სასამართლო**

№ბს-827(კს-18)

2 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერითი ნაწილი:

ა. ბ-მა 2014 წლის 7 მარტს სარჩელით მიმართა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ 2001 წლის 21 სექტემბერს განხორციელებული ე. გ-ას საკუთრების უფლებების რეგისტრაციის ბათილად ცნობა უძრავ ნივთზე ს/კ ...; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 12 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 26 თებერვლის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 20 სექტემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-მა თავისი წარმომადგენლის დ. ნ-ის მეშვეობით და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინებით, აპელანტი – ა. ბ-ს დაუდგინდა ხარვეზი, სასამართლოს მიერ მითითებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღე და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის განჩინებით დადგენილ ვადაში წარდგენა, ამასთან კანონით დადგენილი წესით განემარტა, რომ თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ

იქნებოდა შევსებულნი, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ივლისის განჩინებით ა. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად, ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოუსწორებლობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაიგზავნა აპელანტ ა. ბ-ის წარმომადგენელს – დ. ნ-ს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ჩაჰპარდა 2018 წლის 31 მაისს (ჩაიბარა საადვოკატო ბიუროს წარმომადგენელმა ო. ს-მა პ/ნ ...). დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინებაში მითითებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად აპელანტს სასამართლოსთვის არ მიუმართავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მან სასამართლოს განჩინებით განსაზღვრულ ვადაში სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზი არ შეავსო.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2018 წლის 22 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. ბ-მა.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2018 წლის 30 მაისის განჩინებით დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა, რომლის წარუდგენლობის გამოც 2018 წლის 22 ივნისს განუხილველად იქნა დატოვებული სააპელაციო საჩივარი. კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ აბრკოლებს ადმინისტრაციულ საქმეზე სააპელაციო საჩივრის განხილვას, ამდენად სააპელაციო სასამართლოს მიერ დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგულირებელი ძირითადი ნორმაა და შეიცავს მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივ გარანტიებს. ამასთან უზრუნველყოფს უფლების სასამართლო წესით დაცვას. კონსტიტუციური ნორმის ანალოგიურად, აღნიშნული უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ უნდა აბრკოლებდეს საქმის არსებითად განხილვას, აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა და ხარვეზის შეუსებლობა მიჩნეულ იქნეს საპატიოდ და დაევალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 1 აგვისტოს განჩინებით წარმოებაში იქნა მიღებული ა. ბ-ის კერძო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია საპროცესო სამართლის ნორმების დაცვით, სასამართლომ ობიექტური შეფასება მისცა საქმის მასალებს, რის გამოც არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის დაცვით მოხდა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების გაგზავნა და შესაბამისად, ხარვეზის ვადაში გამოუსწორებლობის საფუძველით გასაჩივრებული განჩინების გამოტანა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესი, რომელიც ასევე გამოიყენება სასამართლო აქტის მხარისათვის ჩაბარებასთან დაკავშირებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 30 მაისის განჩინება ა. ბ-ის წარმომადგენელს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ჩაჰბარდა 2018 წლის 31 მაისს (ჩაიბარა საადვოკატო ბიუროს წარმომადგენელმა ო. ს-მა 3/6 ...).

განსახილველ შემთხვევაში, ხარვეზის შევსების შესახებ აპელანტისათვის საპროცესო ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 1 ივნისს, შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა დასრულდა 2018 წლის 11 ივნისს. აღნიშნულ ვადაში ა. ბ-ის მიერ არ იქნა შევსებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის განჩინებით დადგენილი ხარვეზი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვა-

დაში, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით. განსახილველ შემთხვევაში, ა. ბ-ს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ მიუმართავს განცხადებით, განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა საპატიო მიზეზია და არ უნდა მოჰყვეს ასეთი შედეგი – სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება, რამდენადაც სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა განთავისუფლება შესაძლებელია კანონის იმპერატიული ნების საფუძველზე, როდესაც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან პირის გათავისუფლება სასამართლოს ერთმნიშვნელოვანი, კანონისმიერი ვალდებულებაა, კერძოდ, საერთო სასამართლოებში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან კანონისმიერი გათავისუფლების საფუძველს ითვალისწინებენ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლი და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი. ხსენებული საკანონმდებლო აქტებით დადგენილია, როგორც კონკრეტული კატეგორიის დაევების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, ასევე იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია

მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ასეთი პოზიცია პირდაპირ გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დამკვიდრებული პრინციპიდან, „სასამართლო უფლება“, განსაკუთრებით სასამართლოსადმი წვდომის უფლება არ არის აბსოლუტური და ექვემდებარება ნაგულისხმევ შეზღუდვებს, თუმცა ამ შეზღუდვებმა არ უნდა უგულებელყონ მოსარჩელის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა იმ სახით და იმ დონემდე, რომ მან გავლენა იქონიოს სასამართლო უფლების არსზე. ამდენად, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გაათავისუფლების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, ა. ბ-ს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ მიუძღვრათ ვანცხადებით, განჩინებით დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის ან ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე, შესაბამისად, კერძო საჩივარში მითითებული გარემოებები არ იძლევა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე კერძო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხარვეზის დადგენილ საპროცესო ვადაში შეუვსებლობის გამო, სააპელაციო პალატას გააჩნდა ა. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 22 ივნისის განჩინება ა. ბ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-

წილით; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 64-ე, 372-ე, 399-ე, 414-420-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 22 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.